დამოუკიდებელი და ზეპარტიული
WWW.ASAVALI.COM
# ასავალ დასავალი
2022 წლის 16 - 22 მაისი
N 21 1433
ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

# მოსალოდნელია დიდი პროვოკაცია!




„როგორც კი სააკაშვილს საზღვარგარეთ გაუშვებენ, მას ერთ კვირაში კლინიკაში მიაკითხავენ ევროპარლამენტარები „ევროპის სახალხო პარტიიდან“, მოჰკიდებენ ხელს, რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციის შტაბბინაში გადაიყვანენ, პოლიტიკური პატიმრის ან დევნილის სტატუსს მიანიჭებენ და ქართულ ციხეში მისი დაბრუნება ვეღარ მოხდება!“

4

## ნაცბანდა გეგმავს, კლინიკა „ვივამედიდან“ რუსთავის ციხეში სააკაშვილის დაბრუნება არ დაუშვას!

2-3

# ხელისუფლებაავ, მზად იყავი!



## „სააკაშვილმა მილიარდერ რინატ ახმეტოვს დიდძალი ფული გამოართვა, „გადააგდო“ და მარიუპოლიდან საქართველოსკენ გამოიპარა, რადგან ახმეტოვი სიკვდილით დაემუქრა!“



6-7

## ასე მითხრა შევარდნაძემ...

## ის ტერაქტი რომ არა, პრეზიდენტი ვერ გავხდებოდი!



მიხეილ ოსაძე ზვიად გამსახურდიას მკვლელობას მიადგა და, ვფიქრობ, ამ საქმეს შეეწირა!

10






„გია გულუას მალე მიაყოლეს გია ჭანტურია, სვანაძე, ვეფხვაძე, არსენა მიქელაძე... აი, მაშინ კი ნამდვილად დავფიქრდი!“

11

ორი გაზეთი ერთ გაზეთში!


№2 (126) ★ 2022 წლის 16 მაისი ★ გამოდის 2003 წლიდან

იოსებ ტუხაშვილი:
ირაკლი ღარიბაშვილი საქართველოს ომის ალში არ გახვევს!
მე ვარ სტალინის არმიის მეომარი!

სტალინი რომ არ მოეკლათ, დღეს სულ სხვა მსოფლიო გვექნებოდა!

„მტერი დამარცხებულია, მაგრამ განადგურებული არ არის!“
გრიგოლ ონიანი:
სტალინის ეს სიტყვები თითქოს გუშინ ითქვა!

დღეს იყო გუშინ!

წაიკითხეთ უკვე მე-2 ნომერი!

# მოსალოდნელია დიდი პროვოკაცია!

# ხელისუფლებავ, მზად იყავი!

***მიუხედავად იმისა, რომ პატიმარი სააკაშვილი რუსთავის ციხიდან საუნივერსიტეტო კლინიკა „ვივამედში“ გადაიყვანეს, ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები მაინც ხმაშეწყობილად აცხადებენ, რომ მესამე პრეზიდენტის საზღვარგარეთ სამკურნალოდ გაგზავნა აუცილებელია.***




— **„ვივამედში“ მიღებულ სამედიცინო სერვისს მხოლოდ ის დანიშნულება ექნება, რომ მიხეილ სააკაშვილი ფიზიკურად მოაძლიეროს, რათა ევროპაში მისი ტრანსპორტირება გახდეს შესაძლებელი!** — ასეთია ნაცსექტის ე.წ. მესიჯბოქსი, რომელსაც **ხატია დეკანოიძე, ეკა ხერხეულიძე, რომან გოცირიძე, ლევან ხაბეიშვილი, გიორგი ჩალაძე** და სხვები წამდაუწუმ ახმოვანებენ.

გარდა ამისა, სააკაშვილის „ვივამედში“ გადაყვანის შემდეგ დედამისმა **გიული ალასანიამ** განაცხადა, რომ **პოლონეთის ხელისუფლება მზად არის, მიშას ტრანსპორტირებისათვის საპრეზიდენტო თვითმფრინავი გამოგზავნოს.**

მოკლედ, მიუხედავად იმისა, რომ პატიმარ სააკაშვილს საუნივერსიტეტო კლინიკა „ვივამედში“ ყველა საჭირო გამოკვლევა და მკურნალობა მაღალ დონეზე უტარდება, ნაციონალური მოძრაობა დღის წესრიგიდან არ ხსნის მოთხოვნას მისი უცხოეთში გაშვების შესახებ.

ყოველივე აქედან გამომდინარე და კიდევ იმის გათვალისწინებით, რომ სააკაშისტები მუდამ მზად არიან, ქვეყანაში დესტაბილიზაციისა და არეულობის გამოსაწვევად ნებისმიერ სიბინძურესა და უკანონობას მოაწერონ ხელი, **სრული საფუძველი გვაქვს, ვივარაუდოთ — ნაცბანდას დაგეგმილი აქვს დიდი პროვოკაცია, რათა კლინიკა „ვივამედიდან“ რუსთავის ციხეში სააკაშვილის დაბრუნება არ დაუშვას!**

კერძოდ, ნაციონალური მოძრაობა მისი ყველაზე ცხელთავიანი აქტივისტებისა და გამოცდილი ზონდერჯგუფების მეშვეობით **შეეცდება, ფიზიკური წინააღმდეგობა გაუწიოს სააკაშვილის ეტაპირებას საავადმყოფოდან სასჯელაღსრულების დაწესებულებაში,** რისთვისაც არამხოლოდ ცოცხალ ძალას, არამედ გარკვეულ ტექნიკურ საშუალებებსაც გამოიყენებს. მაგალითად, **ნაცები ეცდებიან, ერთდროულად მოახდინონ კლინიკა „ვივამედისა“ და რუსთავის ციხის შემოგარენის ბლოკირება ავტომობილებით, რკინის კონსტრუქციებითა და სხვადასხვა სახის ბარიკადებით, რათა პენიტენციურმა სამსახურმა და პოლიციამ სააკაშვილის სამკურნალო დაწესებულებიდან გამოყვანა და სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შეყვანა ველარ შეძლონ.**

შეგახსენებთ, რომ ნაცები მსგავს პროვოკაციას ჯერ კიდევ გასულ წელს გეგმავდნენ, როცა სურდათ, რომ არ დაეშვათ სააკაშვილის გადაყვანა რუსთავის ციხიდან გლდანის ციხის სამკურნალო დაწესებულებაში. **მაშინ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა ამ პროვოკაციის პრევენციულად აღკვეთა შეძლო და სასამართლოს განჩინების საფუძველზე მოპოვებული ფარული აუდიოჩანაწერიც გამოაქვეყნა, რომელშიც ისმის, რომ „სააკაშვილის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკაში“ შეკრებილი ნაცები, ბესიკ ტერელიანის მეთაურობით, გლდანის ციხესთან მისასვლელი გზების სხვადასხვა ხერხით ბლოკირების გეგმას ამზადებდნენ, რათა იქ სააკაშვილის გადაყვანა არ დაეშვათ, რასაც ქაოსი და უკონტროლო ვითარება, საბოლოო ჯამში კი, ხელისუფლების დამხობა უნდა მოჰყოლოდა.**

სწორედ ამ ჩანაწერის საფუძველზე, **სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა** სისხლის სამართლის საქმეც აღძრა მძიმე მუხლით, რომელიც ხელისუფლების დასამხობად შეთქმულებას გულისხმობს, თუმცა, მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა და **სუს**-ში მიმდინარე გამოძიების შესახებ საზოგადოებისათვის ახალი არაფერი უცნობებიათ. საერთოდ, **უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ, სულ ცოტა, 5-ჯერ მაინც აღძრა საქმე ნაცმოძრაობის მიერ სახელმწიფო გადატრიალების მზადებისა და ხელისუფლების დამხობის მცდელობასთან დაკავშირებით, მაგრამ არცერთი ეს საქმე კონკ-**

## სააკაშვილი „ვივამედში“ კი არა, „ვავა-მედში“ უნდა გადაეყვანათ!

### ვავა!

***ვიდრე წინამდებარე წერილის კითხვას შეუდგებოდეთ, მანამდე უნდა გამოგიტყდეთ, რომ გაზეთის ამ გვერდზე სულ სხვა მასალის გამოქვეყნება გვქონდა დაგეგმილი...***

კერძოდ, **ვაპირებდით, საგანგებოდ გაგვეფრთხილებინა ხონის, სურამისა და თბილისის ფსიქიატრიული დაწესებულებების დირექტორები,** რომ ყოველი შემთხვევისათვის სასწრაფოდ გამოეცხადებინათ მობილიზაცია, გადასულიყვნენ მუშაობის საგანგებო რეჟიმზე და მედპერსონალისთვის დაერიგებინათ რკინის მუზარადები, ჯაჭვის პერანგები, ჩაჩქანები და რკინის ქალამნები. საქმე ის გახლავთ, რომ, ჩვენი ვარაუდით, გლდანის №12 დაწესებულებიდან **ქუთაისის, სურამის ან გლდანის საგიჟეთში** აუცილებლად გადაიყვანდნენ **მღელვარე პატიმარ მიხეილ სააკაშვილს,** რომელიც, მოგეხსენებათ, რაც ხელში მოჰყვება, ყველაფერს წაღმაუკუღმა ისვრის, ამტვრევს, საკანში აბდუშაჰილივით წელზევით ტიტველი დარბის, იგინება, ბღავის, ჯღავის, იფურთხება და ტლინკებს ყრის...

მოკლედ, გვინდოდა, რესპუბლიკის **სამი ყველაზე უფრო ცნობილი საგიჟეთის დირექტორატი და მთელი ადმინისტრაცია** წინასწარ შეგვემზადებინა, რომ ერთგან, მეორეგან ან მესამეგან სააკაშვილის გადაყვანის შემთხვევაში თანამშრომლების უსაფრთხოებას მაქსიმალურად გაფრთხილებოდნენ, მაგრამ 2022 წლის 12 მაისს ჩვენი ვარაუდი არ გამართლდა და პატიმარი **სააკაშვილი საგიჟეთის ნაცვლად კლინიკა „ვივამედში“ გადაიყვანეს!**

ეს ის **„ვივამედია“**, რომელსაც ადრე **„ლანცეტი“** ერქვა და პროფესორ **ფარმან ჯეირანლის** ეკუთვნოდა. **მრავალპროფილური რეგიონალური ცენტრი „ლანცეტი“ წლების წინათ დიდ სკანდალში გაეხვა. სახელმწიფო მაშინ „ლანცეტის“ ხელმძღვანელობას პაციენტების — ჩუბინიძისა და კეკელიძისთვის ღვიძლის უკანონო გადანერგვის ოპერაციების გამო ედავებოდა!**

ადვოკატ **ნესტან ლონდარიძის** განცხადებით, **„კეკელიძის შემთხვევაში კლინიკამ მიმართა ტრანსპლანტაციის საბჭოს ნებართვის ასაღებად და უარი მოუვიდა. მიუხედავად ამისა, მაინც გააკეთეს ოპერაცია. ჩუბინიძის შემთხვევაში კი არც მიუმართავთ. შემდეგ სამხარაულის ბიუროს ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ჩუბინიძეს ეს ოპერაცია არც სჭირდებოდა, კეკელიძეს კი, მართალია, სჭირდებოდა, მაგრამ არა დაუყოვნებლივ, როგორც ამას თავად აცხადებდნენ. ახლობლები მოლაპარაკებებს ჯეირანლისთან აწარმოებდნენ. ერთ-ერთმა ამ ოპერაციაში 40 ათასი დოლარი გადაიხადა!“**

სწორედ ამის გამო „ლანცეტის“ დამფუძნებელი და დირექტორი, **პროფესორი ფარმან ჯეირანლი** მაშინ სამართალდამცავებმა დააპატიმრეს და ციხეში გამოამწყვდიეს. **ჩვენი ინფორმაციით, დღეს ფარმან ჯეირანლი თავისუფალია, თუმცა, კლინიკას მეპატრონეც შეეცვალა და სახელიც...** როგორც გაუწყეთ, **„ლანცეტს“** დღეს **„ვივამედი“** ჰქვია, ხოლო კლინიკა საუნივერსიტეტო გახდა.

ერთი კია, **იმ შენობაში, სადაც ორგანოთა უკანონო ტრანსპლანტაციას ეწეოდნენ, ჩვენი აზრით, სააკაშვილს დიდი საფრთხე ემუქრება.** კერძოდ, სააკაშვილის ცოლყოფილმა **სანდრა რულოვსმა,** რომელიც სწორედ ადამიანის ორგანოების უკანონო ვაჭრობაშია მხილებული, შურისძიების მიზნით, შესაძლოა, ექიმები მოისყიდოს, **გიული ალასანია ბადრი შუბლაძეს დააძინებინოს და სააკაშვილს თავის ნაცვლად ნიკუტა გვარამიას უკანალი გადაუნერგოს!**

მიგვაჩნია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა, როცა ნაცსექტის რაიხსფიურერი **„ვივამედის“** ნაცვლად **„ვავამედში“,** ანუ იმავე საგიჟეთში არ გაამწესა! **ჩვენი აზრით, ისეთი ავადმყოფისთვის, როგორიც სააკაშვილია, მისწრება სწორედ „ვავამედი“, ანუ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ხონის რაიონის სოფელ ქუტირში მდებარე ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრია, რომელსაც 1978 წლიდან მოყოლებული, მთელი საქართველო საგიჟეთს ეძახის.** ცნობისათვის, ეს ერთადერთი დაწესებულებაა საქართველოში, რომელიც **„არანებაყოფლობით და იძულებით ფსიქიატრიულ-სტაციონარულ დახმარებას უწევს“** ისეთი ტიპის პაციენტებს, როგორიც სააკაშვილია! აქედან გამომდინარე, **თუ დღევანდელ ხელისუფლებას საქართველოს სიკეთე უნდა, სააკაშვილი უნდა გაკოჭოს, ხონის საგიჟეთში ჩააბაროს და იძულებით უმკურნალოს!**

ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელია ის კონფიდენციალურობა და ბურუსი, რომლითაც სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობაა შესუდრული.

**ჩვენ უნდა ვიცოდეთ, ბოლოს და ბოლოს, რა სჭირს სააკაშვილს, რომელმაც 9 წლის განმავლობაში ციხეებსა თუ სამეგრელოს ტყეებში ქართველი მამაკაცების გაუპატიურება აკურთხა, ხოლო 2008 წლის აგვისტოს ომით საქართველო დაღუპა.**

საქართველოს იუსტიციის ახალგაზრდა მინისტრი **რატი ბრეგაძე,** რომელსაც პატიოსნების, ინტელექტის, ოჯახიშვილობისა და მაღალი ზნეობის ბეჭედი შუბლზე აზის, ამ რამდენიმე დღის წინათ ტელევიზიით გამოვიდა და განაცხადა — **სააკაშვილის ავადმყოფობის შესახებ ვერ ვილაპარაკებ, უფ-**

### ქვირგვინოსნები

**ირაკლი ღარიბაშვილი**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



ამ ქვეყანაში **ყველა უნდა დაემორჩილოს კანონს!** ვინც გაბედა და კანონზე მაღლა დააყენა თავისი თავი, ნახეთ ყველამ, როგორი ადგილი მივუჩინეთ, მათ შორის, მაგ ვაჟბატონ **მელიას** და პატიმარ **სააკაშვილს.** ყველა მოქალაქე, ვინც კანონს დაარღვევს, დაისჯება კანონის შესაბამისად, დანარჩენი სპეკულაციები, **გადაყვანა-გადმოყვანა არ მაინტერესებს.** პატიმარია და **კეთილი ინებოს, მოიხადოს ბოლომდე სასჯელი საქართველოში.** ყველას მოგიწოდებთ, რომ **შევინარჩუნოთ მშვიდობა, გავუფრთხილდეთ ამ მონაპოვარს, რაც არის მშვიდობა, სტაბილურობა.** ვიფიქროთ განვითარებაზე და შენებაზე.

„იმედინიუსი“

**გია გაჩეჩილაძე**
*მუსიკოსი*



უკრაინა-რუსეთის ომი და **საქართველოში მშვიდობა** არავის აძინებს, ვინც ჩვენი მტერია შიგნით თუ გარეთ. ხალხით **ვერ ტეხენ,** ქუჩით **ვერ ტეხენ,** რევოლუციით **ვერ ტეხენ,** ახლა **უნდათ რომ გადატეხონ ბიძინა ივანიშვილის სანქციებით** და რა გგონიათ, რომ ამას **გადატეხთ?** ასე მალე გადაანგრევთ ქართველი კაცის ნებას, რომ ისევ იმ კოშმარულ სიზმარში დავბრუნდეთ, სადაც ვიყავით და იმაზე უარესში? **გამოვა კი არა, თუკი სადმე როდისმე ადამიანების სიმრავლე გამოსულა, ასი იმდენი იქნება,** იმიტომ, რომ საქართველოში იციან ერთმანეთის გვერდით დგომა, როცა ქვეყანას და საქმეს დასჭირდება!

„უცნობის კიდობანი“

**რატი ბრეგაძე**
*იუსტიციის მინისტრი*



**სააკაშვილი არის 24-საათიანი სამედიცინო მეთვალყურეობის ქვეშ** და საჭიროების შემთხვევაში, უტარდება ყველა სამედიცინო ღონისძიება, **ტყუილია, თითქოს დამოუკიდებლად ვერ გადაადგილდება.**

„პირველი არხი“

# ნაცბანდა გეგმავს, კლინიკა „ვივამედიდან“ რუსთავის ციხეში სააკაშვილის დაბრუნება არ დაუშვას!

**რეტული შედეგითა და შესაძლო დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემით არ დამთავრებულა.** ამის გამო ნაცებს, საშუალება ეძლევათ, ილაპარაკონ — ხელისუფლება სახელმწიფო გადატრიალების შესახებ გამოძიებას მხოლოდ წინასაარჩევნოდ, საკუთარი პოლიტიკური მიზნებისათვის იწყებსო! **რაც მთავარია, ყოველი ასეთი სისხლის სამართლის საქმის ბოლომდე არმიყვანა ნაცბანდას დაუსჯელობის სინდრომს უჩენს და ახალ-ახალი პროვოკაციების მოსაწყობად მეტ სითამამეს სძენს. ისინი ახლაც ეცდებიან, სისრულეში მოიყვანონ გეგმა, რომელიც ერთი წლის წინათ — სააკაშვილის გლდანის ციხეში გადაყვანისას ჩაუფლავდათ!**

მოკლედ, **კლინიკა „ვივამედიდან“** რუსთავის ციხეში სააკაშვილის დაბრუნების დღეს ნაცებისაგან დიდი პროვოკაციაა მოსალოდნელი, რომელიც დიდ არეულობასა და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში შეიძლება, გადაიზარდოს და ხელისუფლება ამას ყოველნაირად მომზადებული უნდა შეხვდეს.

სხვათაშორის, **სამედიცინო ცენტრ „ვივამედის“ ოფიციალურ ვებგვერდზე ვკითხულობთ, რომ კლინიკის შენობის სახურავზე ვერტმფრენის დასაჯდომი მოედანია მოწყობილი, რათა საჭიროების შემთხვევაში პაციენტი ოპერატიულად გადაიყვანონ სხვა სამკურნალო დაწესებულებაში.**

**უპრიანი იქნება, პენიტენციურმა სამსახურმა სააკაშვილი „ვივამედიდან“ რუსთავის ციხეში სწორედ ვერტმფრენით დააბრუნოს, ხოლო, თუ ნაცბანდა ეცდება, საკუთარი ბელადის საკანში დაბრუნებას უშუალოდ ციხის შენობის ბლოკირების ან მასზე შტურმის მიტანის გზით შეუშალოს ხელი, საპოლიციო ძალებმა კანონის მთელი სიმკაცრით უნდა იმოქმედონ.**

როგორ ექცევიან ცივილიზებულ და სუპერდემოკრატიულ ქვეყნებში სახელმწიფო შენობებზე შტურმის მიმტან და შიგ შეჭრილ დემონსტრანტებს, ამის მკაფიო მაგალითი გასულ წელს ვნახეთ, **როცა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის შენობაში — კაპიტოლიუმში შეცვენილ პროტესტანტებს პოლიციამ პირდაპირ ცეცხლი გაუხსნა და რამდენიმე მათგანის ლიკვიდაცია ადგილზევე მოახდინა!**

ასე რომ, საქართველოს ხელისუფლებას სულაც არ სჭირდება „ახალი ველოსიპედის“ გამოგონება ისეთი დანაშაულის აღსაკვეთად, რომელიც სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობის, დემოკრატიისა და ქვეყნის სტაბილურობის წინააღმდეგ არის მიმართული!

**ასეთ შემთხვევაში საქართველოს ხელისუფლებამ სტრატეგიული პარტნიორის, დემოკრატიის მექად აღიარებული აშშ-ის გამოცდილებით უნდა იხელმძღვანელოს!**

***ჯაბა ხუბუა***

## ვაავა!

**ლება არ მაქვსო!** იუსტიციის მინისტრისადმი ჩვენი პატივისცემის მიუხედავად, მიგვაჩნია, რომ უზუსტესი მონაცემები სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ **სწორედ სახელმწიფომ უნდა გაასაჯაროოს და ერთხელ და სამუდამოდ ითქვას, თუ რა ჭირს ნაპრეზიდენტალ სააკაშვილს!** ბოლოს და ბოლოს, საქართველომ ახლა მაინც გაიგოს, თუ ვის ებარა ჩვენი ბედი ცხრა წლის განმავლობაში და რამდენად დალაგებულია კაცი, რომელიც თავის დამნაშავე სექტასთან ერთად საქართველოს ხელისუფლებაში მობრუნებას ისევ აპირებს!

**როცა ფრანსუა მიტერანს საფრანგეთის პრეზიდენტის პოსტზე მეორეჯერ ირჩევდნენ, მისმა მკურნალმა ექიმმა დამალა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მიტერანს კიბო ჰქონდა. როგორც კი საფრანგეთის პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ საიდუმლო გამჟღავნდა, საფრანგეთში დიდი პოლიტიკური სკანდალი ატყდა და ამის გამო მიტერანის ექიმი ტურის ხვრელში შეაძვრინეს.**

მიტერანს საფრანგეთისთვის არაფერი დაუშავებია, პირიქით, ქვეყანა ააყვავა, მაგრამ იმის გამო, რომ კიბო ჰქონდა და ეს ფაქტი დამალა, საფრანგეთის ძლევამოსილი პრეზიდენტი სკანდალიდან ძლივს გამოძვრა!

**სააკაშვილმა ქვეყანა დაანგრია, უამრავი ადამიანი გააუბედურა და გაგვაგებინეთ, ვის ხელში ვიყავით!**

**გაგვაგებინეთ, რა ჭირს კაცს, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის დროს გვიმტკიცებდა — რუსების რაკეტებსა და სამხედრო ავიაციას ღრუბელ-ღრუბელ დავემალეთ და ასე გადავრჩითო!**

გუბაზ სანიკიძე წლების წინათ გვიმტკიცებდა — **სააკაშვილი აწყვეტილი გიჟია, რომელსაც „თეთრი ბილეთი“ აქვსო!** გუბაზი მაშინ გვარწმუნებდა — **სააკაშვილს, რაც გინდა ჩაიდინოს, ვერ დაიჭერენ, რადგან იმ „თეთრ ბილეთს“ ამოიღებს და სასამართლო დარბაზიდან მაშინვე გამოაგდებენ, მაგრამ ბრალი ჩვენი და ჩვენი უბედური ქვეყნისაო!**

გუბაზისი არ გვჯერა, მაგრამ ქართულმა სახელმწიფომ აუცილებლად უნდა გვითხრას, აქვს თუ არა სააკაშვილს გიჟის ბილეთი!

რაც შეეხება საუნივერსიტეტო კლინიკა **„ვივამედს“**, ისევ ჩვენს აზრზე ვდგავართ და კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, რომ სააკაშვილი **„ვივამედში“** კი არა, **„ვავამედში“** უნდა გადაეყვანათ!

***დიტო ჩუბინიძე***




## კვირგვინოსნები

**კარლ ჰარცელი**
*ევროკავშირის წარმომადგენელი საქართველოში*



**ევროკავშირი** საქართველოს გვერდით დგას — **ძლიერი, აყვავებული და დემოკრატიული ქვეყნის** აღმშენებლობის მხარდასაჭერად.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



ყველა, ვინც ამბობს **„თავისუფლება მიშას“**, დასცინის **სააკაშვილის** მიერ ჩადენილი დანაშაულის მსხვერპლებს!

„საქართველოს რესპუბლიკა“

**სალომე ზურაბიშვილი**
*საქართველოს პრეზიდენტი*



ევროპა არის ერთადერთი გამოსავალი, რომ აღარ გაისმას კითხვა: **„მშვიდობა თუ თავისუფლება“**, რამეთუ ჩვენ ყველას გვინდა **მშვიდობაც და თავისუფლებაც**, მაშასადამე, გვინდა ევროპა.

„ინტერპრესნიუსი“



# არმაზის ბილინგვა

**წავიდა არმაზ სანებლიძე!**

მარადისობაში გადასახლდა პიროვნული და პროფესიული თვალ-მარგალიტებით მოოჭვილი ქართველი კაცი და ქართველი ჟურნალისტი, რომელმაც ქართულ ტელე და რადიომაუწყებლობაში საკუთარი ეპოქა შექმნა, ბეჭდურ მედიაში კი თავისი დახვეწილი კალმით დიდი და ნათელი კვალი დატოვა!

რამდენ ხანსაც ქართული ჟურნალისტიკა იარსებებს, იმდენ ხანს გაანათებს და გაათბობს მას **არმაზ სანებლიძის გამოსხივება!** თავად არმაზ სანებლიძეს კი **მისი ცხოვრების უკანასკნელი 36 წლის განმავლობაში საბედისწერო გამოსხივების მძიმე ნაკვალევი სდევდა,** გამოყოლილი ჩრდილოეთ უკრაინის ქალაქ ჩერნობილიდან, რომლის ატომური ელექტროსადგურიდან 1986 წლის 26 აპრილს სიცოცხლისათვის სახიფათო რადიოაქტიური ნივთიერებანი ამოიფრქვა.

**არმაზ სანებლიძე** მაშინ საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გახლდათ და თავისუფლად შეეძლო, საბჭოთა იმპერიაში მომხდარი ატომური კატასტროფის გასაშუქებლად თბილისიდან ჩერნობილში რომელიმე კორესპონდენტი გაეგზავნა, რათა თავიდან აერიდებინა პროფესიული მოვალეობის შესრულება იქ, სადაც ეს სასიკვდილო საფრთხესთან ან, უკეთეს შემთხვევაში, ჯანმრთელობის უმძიმეს დაზიანებასთან იყო დაკავშირებული! **მაგრამ ის არმაზ სანებლიძე გახლდათ — რაინდი არამხოლოდ ცხოვრებაში, არამედ პროფესიაშიც და არ შეეძლო, არ მოქცეულიყო ისე, როგორც მოიქცა** — დიახ, მან არა რომელიმე თანამშრომელი, არამედ საკუთარი თავი ჩააგდო საფრთხეში და პირადად გაემგზავრა სიკვდილის ზონაში, საიდანაც წამოიღო **ეპოქალური მნიშვნელობის ჟურნალისტური ნადავლი და რადიაციული დასხივების დიდი დოზა,** რამაც მისი ჯანმრთელობა სამუდამოდ შეარყია.

ალბათ, სიმბოლურია, რომ **არმაზ სანებლიძის უკანასკნელი პროფესიული ვალდებულებაც ჩერნობილთან იყო დაკავშირებული** — ორიოდე კვირის წინათ, ატომური ელექტროსადგურის აფეთქების 36 წლისთავთან დაკავშირებით, „ასავალ-დასავალისათვის“, სადაც მან არაერთი ნაყოფიერი წელიწადი გაატარა, პუბლიკაცია უნდა მოემზადებინა, მაგრამ ჯანმრთელობამ ამის საშუალება აღარ მისცა!

**ეს იყო პირველი და ერთადერთი პროფესიული ვალდებულება, რომელიც არმაზ სანებლიძემ მისი არცთუ ხანმოკლე ცხოვრების განმავლობაში ვერ შეასრულა!**

თუმცა, 86 წლის არმაზ სანებლიძე ამ ქვეყნიდან პირნათლად ვალმოხდილი წავიდა! პირნათლად ვალმოხდილი საქართველოსა და ქართული ჟურნალისტიკის წინაშე, ოჯახის წინაშე, კოლეგების წინაშე, მეგობრების წინაშე! პირნათლად ვალმოხდილი, როგორც კაცი და როგორც ჟურნალისტი!

**რადიოაქტიურ ნივთიერებებს, რომელთა მომწამლავ ულუფასაც არმაზ სანებლიძე 36 წლის განმავლობაში საკუთარი ორგანიზმით დაატარებდა, ნახევარდაშლის მრავალწლიანი პერიოდი გააჩნიათ, მაგრამ ნახევარდაშლას არ ექვემდებარება ღირსება, წესიერება, ნამდვილი ინტელიგენტობა, ნიჭიერება, თავმდაბლობა და სიყვარულის უნარი, რომლის განსახიერებაც არმაზ სანებლიძე გახლდათ!**

დიახ, ესენი მარადიული სამშვენისებია, რომლებიც მარადისობაში გადასახლებულმა **არმაზ სანებლიძემ** სააქაოს დატოვა, ვითარცა სახელმძღვანელო ქართველი კაცებისა და ქართველი ჟურნალისტებისათვის, მათ შორის, ჩვენთვის — მისი კოლეგებისა და მეგობრებისათვის, რომელთა გულწრფელი ცრემლის მდინარეც მას უკეთესი სამყაროსაკენ მიაცილებს!

მშვიდობით, ჩვენო არმაზ!

შენი სულის ეპიტაფია **ახალი არმაზის ბილინგვა** იქნება, რომელიც **ორ ენაზე — ქართველი კაცისა და ქართველი ჟურნალისტის ენაზე** — მუდამ შეგვახსენებს: **იცხოვრა ისე, როგორც უნდა იცხოვროს ნამდვილმა კაცმა! ილვაწა ისე, როგორც უნდა ილვაწოს ნამდვილმა ჟურნალისტმა და პუბლიცისტმა!**

მამაზეციერმა დაგიმკვიდროს სასუფეველი და მსუბუქი ჰყოს შენთვის სამშობლოს მიწა, რომელიც იყავი და რომლადაც მიიქეცი!

***ლაშა ნადარეიშვილი,***
***ჯაბა ხუბუა,***
***ნუგზარ ფოფხაძე,***
***გიორგი მამაცაშვილი***

**„ასავალ-დასავალის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება,** რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ჟურნალისტი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის ყოფილი თავმჯდომარე, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ყოფილი მთავარი რედაქტორი, „ასავალ-დასავალის“ ყოფილი თანამშრომელი

## არმაზ სანებლიძე

**და სამძიმარს უცხადებს ოჯახს, მეგობრებსა და კოლეგებს.**

***პანაშვიდი:*** ორშაბათს, 16 მაისს, საბურთალოს სასაფლაოზე მდებარე მთავარანგელოზის პატარა ტაძარში, უნივერსიტეტის ქუჩიდან მარცხნივ ასახვევი სასაფლაოზე („ნეოგზზთან“). ***გამოსვენება:*** სამშაბათს, 17 მაისს, 15 საათზე, იმავე ტაძრიდან.

## ტელემონიტორი

### ტრამპის შვილმა ზელენსკი სტრიპტიზის მოცეკვავეს შეადარა

***აშშ-ის ექსპრეზიდენტ დონალდ ტრამპის ვაჟმა დონალდ ტრამპ-უმცროსმა მწვავედ გააკრიტიკა აშშ-ის ხელმძღვანელობა, რომელმაც განაცხადა, რომ განზრახული აქვს, 40 მლრდ დოლარით დაეხმაროს უკრაინას.***

ექსპრეზიდენტის შვილმა აღშფოთება სოციალურ ქსელში გამოხატა — პოსტს დაურთო ფოტო, რომელზეც ქალის საცურაო კოსტიუმში გამოწყობილი უკრაინის პრეზიდენტი **ვოლოდიმირ ზელენსკი** სტრიპტიზს ცეკვავს. იქვე გამოსახულია აშშ-ის პრეზიდენტი **ჯო ბაიდენი,** რომელიც სტრიპტიზის მოცეკვავისთვის ფულს არ იშურებს.

**„40 მილიარდი! ფულის წვიმა უკრაინისთვის... ამ დროს ამერიკელები იტანჯებიან და ბავშვებისთვის საკვები არ ჰყოფნით“,** — დაწერა **უმცროსმა ტრამპმა.** მისი თქმით, უკრაინისთვის გამოყოფილი 40 მილიარდიდან უკრაინელებს, დიდი-დიდი, 7 მილიარდი მოხმარდეთ, დანარჩენი ფული კი კორუფციონერთა ჯიბეებში დაილექება.




### უკრაინა საქართველოსაგან ბევრს მოითხოვს, თვითონ კი ბელარუსს ეკურკურება!

***მას შემდეგ, რაც უკრაინაში შეიარაღებული კონფლიქტი დაიწყო, ამ ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლებმა არაერთხელ დაადანაშაულეს საქართველოს ხელისუფლება, არასათანადოდ გვიჭერთ მხარს რუსეთთან კონფლიქტშიო.***

უკრაინელები საქართველოს რუსეთისთვის დაწესებულ სანქციებთან მიერთებას მოითხოვენ, თუმცა, განაგრძობენ რუსული ბუნებრივი აირის მილსადენით ევროპაში გატარებას, რის შედეგადაც რუსეთი ყოველდღიურად რამდენიმე მილიარდს გამოიმუშავებს. უფრო მეტიც, უკრაინას არ შეუწყვეტია სავაჭრო ურთიერთობები ბელარუსთან, რომელიც რუსეთის მთავარი მოკავშირეა. სტატისტიკა ჯიუტია: **მხოლოდ მიმდინარე წლის მარტში ბელარუსსა და უკრაინას შორის სავაჭრო ბრუნვამ 15 მილიონი დოლარი შეადგინა.**




### ვიქტორ ბუტი შეიძლება ამერიკელ კალათბურთელ ქალზე გაცვალონ

***ვიქტორ ბუტი, რომელიც იარაღით უკანონო ვაჭრობისთვის აშშ-ში 25-წლიან სასჯელს იხდის, შეიძლება ამერიკელ კალათბურთელ ქალ ბრიტნი გრაინერზე გაცვალონ, რომელსაც ნარკოტიკების კონტრაბანდაში ადანაშაულებენ.***



**ვიქტორ ბუტი** 2008 წელს დააპატიმრეს ტაილანდში. ორი წლის შემდეგ აშშ-ში გადაიყვანეს და ორი მუხლით გაასამართლეს. თვითონ ბუტი უარყოფს იარაღით უკანონო ვაჭრობასა და ტერორისტების სპონსორობას.



რაც შეეხება **ბრიტნი გრაინერს,** იგი ამა წლის თებერვალში მოსკოვში, შერემეტიევოს აეროპორტში დააკავეს და ჰაშიშის ზეთი უპოვეს, რისთვისაც 5-დან 10 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

### „ბორჯომს“ ქართველი ბიზნესმენი ყიდულობს!

***კონსორციუმი „ალფა გრუპი“ „IDS ბორჯომი საქართველოში“ კუთვნილი საკონტროლო პაკეტის (55 პროცენტი) გასაყიდად ემზადება. დასახელდა მყიდველიც — მოსკოვში მცხოვრები ქართველი ბიზნესმენი გია ორჯონიკიძე.***




კომპანიამ „IDS ბორჯომი საქართველოში“ მიმდინარე წლის 29 აპრილიდან დროებით შეაჩერა საწარმოო პროცესი „ბორჯომის“ ჩამომსხმელ ორივე ქარხანაში. ცალკეულმა ქვეყნებმა კი ქართული მინერალური წყლის შეძენაზე უარი პოლიტიკური მოტივით თქვეს. **აღსანიშნავია, რომ „ალფა გრუპი“ დასავლეთის მიერ სანქცირებული კომპანიების სიაშია.**

## პოლიტიკოსის სიტყვა



# „მსოფლიო ბირთვული ომისაკენ მიექანება!“

## გიგლა ბარამიძე:

# მე გეტყვით იმას, რაზეც უკრაინის ომთან დაკავშირებით არც საქართველოში ლაპარაკობენ და არც – დასავლეთში!

***მიუხედავად იმისა, რომ პატიმარი სააკაშვილი რუსთავის ციხიდან თბილისის სამოქალაქო კლინიკა „ვივამედში“ გადაიყვანეს, ნაცსექტის წევრები კვლავ მის უცხოეთში ტრანსპორტირებას ითხოვენ. რა შეიძლება, მოხდეს, თუ სააკაშვილს საზღვარგარეთ გაგზავნიან და როგორია რეალური ვითარება უკრაინის ფრონტზე? ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე უპარტიო ოპოზიციონერი, აღმოსავლეთმცოდნე გიგლა ბარამიძე გვესაუბრება:***

— რასაც ახლა სააკაშვილის გარშემო ვხედავთ, ეს მეტად უნიჭოდ დადგმული ტრაგიკომედიაა. საერთოდ, სააკაშვილი, როგორც რუსული ოხრანკის აგენტის — **მღვდელი გაპონის რეინკარნაცია,** ანტიეროვნული საქმეების კეთებაში საკმაოდ ნიჭიერი და ეფექტიანი იყო, მაგრამ როგორც ტრაგიკომიკოსი, ძალიან უგერგილოდ გამოიყურება. ციხის ზღურბლზე ფეხი არ ჰქონდა გადადგმული, რომ მაშინვე **„ვაიმე, დედიკოს“** ძახილი მორთო და დღემდე აგრძელებს ამ სამარცხვინო წკმუტუნს, არადა, პატიმრობის 6 თვის განმავლობაში ციხეში 800-ზე მეტი მნახველმანუგეშებელი მიიღო, რითიც ნამდვილი მსოფლიო რეკორდსმენია. **ძალიან მედარდება, რომ ისტორიაში დარჩება და მომავალი თაობები შეიტყობენ, როგორი სამარცხვინო პრეზიდენტი და მთავარსარდალი ჰყავდა საქართველოს სააკაშვილის სახით.**

**— თქვენი აზრით, სააკაშვილის საზღვარგარეთ სამკურნალოდ გაშვება ნიშნავს თუ არა პატიმრობიდან მის გათავისუფლებას?**

— არც კი მინდა წარმოვიდგინო, რომ „ქართული ოცნება“ საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის ნების წინააღმდეგ წავა, ნაცსექტის პოლიტიკურ ხუშტურს დააკმაყოფილებს და სააკაშვილს ევროპის რომელიმე კლინიკაში გაგზავნის. თუ ხელისუფლება ამას დაუშვებს, ქართველი ხალხის რისხვას ვერ გადაურჩება.

**როგორც კი სააკაშვილს საზღვარგარეთ გაუშვებენ, მას ერთ კვირაში კლინიკაში მიაკითხავენ ევროპარლამენტარები „ევროპის სახალხო პარტიიდან“, მოჰკიდებენ ხელს, რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციის შტაბბინაში გადაიყვანენ, პოლიტიკური პატიმრის ან დევნილის სტატუსს მიანიჭებენ და ქართულ ციხეში მისი დაბრუნება ველარ მოხდება.**

**— კი მაგრამ, სააკაშვილის სიცოცხლის გადასარჩენად საქმეში უცხოელი ექიმების ჩარევა თუ გახდა აუცილებელი, ხელისუფლებას სხვა რა გზა დარჩება?**

— თუ აუცილებელი გახდება, **სააკაშვილის მულტიმილიონერ დედას გიულიხანუმს** ჩარტერული თვითმფრინავი დააქირავებინონ და მაღალკვალიფიციური უცხოელი ექიმები აქეთ ჩამოიყვანონ. ამ შემთხვევაში საქმე ერთ კონკრეტულ ადამიანს — სახედაკარგულ სააკაშვილს კი არა, პრინციპსა და პრეცედენტს ეხება: საქართველოში **„ქართული ბუჩის“ მრავალჯერ მომწყობი სადისტური რეჟიმის ლიდერი და მისი ბანდა ხელისუფლებამ პრივილეგირებულ მდგომარეობაში არ უნდა ჩააყენოს და არც კანონზე მაღლა დააყენოს, რადგან ეს საქართველოს ეროვნულ ინტერესებს დააზიანებს!** დიახ,

**თუ სააკაშვილს „სამკურნალოდ“ უცხოეთში გაუშვებენ, ანუ ციხიდან გაათავისუფლებენ, მთელი მსოფლიო დაინახავს, რომ საქართველოში ანტისახელმწიფოებრივი ძალები მძლავრობენ, სახელმწიფო და მისი ინსტიტუტები კი აღარ არსებობენ!**

ეს იქნება გზავნილი უკრაინაში მოკალათებული არესტოვიჩების, პოდოლიაკების, არახამიებისა და მათი ქართველი მონათესავე სულებისათვის,



**„პოდოლიაკმა 2010 წელს ინტერვიუში განაცხადა, რომ მისთვის კარგი და ცუდი პოლიტიკოსები არ არსებობენ, მთავარია, ვინ რას დაუკვეთს და ვინ გადაუხდის მეტ ფულს! არესტოვიჩიც რამდენიმე წლის წინათ მოსკოვში ოლიგარქების კორპორატიულ წვეულებებზე იქნევდა გავას და ამით შოულობდა ფულს!“**



## კვირგვინოსნები

**ვოლოდიმირ ზელენსკი**
*უკრაინის პრეზიდენტი*



მე, როგორც პრეზიდენტი, **მზად ვარ, ვესაუბრო პუტინს,** მაგრამ მხოლოდ მას, **შუამავლების გარეშე.**

„ინტერპრესნიუსი“

**მიხეილ სააკაშვილი**
*პატიმარი*



უკრაინა და საქართველო **ორივე ჩემი ქვეყანაა** და მათ შორის ნებისმიერი დაძაბულობა ჩემთვის **პიროვნული ტრაგედიის ტოლფასია** — ყველაფერს ვიღონებ, რომ პრობლემები მოიხსნას.

„ინტერპრესნიუსი“

**მიხაილო პოდოლიაკი**
*უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელის მრჩეველი*



10 ათასობით უკრაინელმა **სიცოცხლით გადაიხადა ევროპული არჩევანისთვის** და არა თამაშის ახალი სერიისთვის. **უკრაინამ კანდიდატი ქვეყნის სტატუსი უნდა მიიღოს.**

„ინტერპრესნიუსი“

**ჯინა რაიმონდო**
*აშშ-ის ვაჭრობის მინისტრი*



ამერიკის შეერთებული შტატების **სანქციები რუსეთს აიძულებს,** ზოგიერთი სამხედრო ტექნიკისთვის **ჩიპები სარეცხი მანქანებიდან და მაცივრებიდან ამოიღოს.**

„ინტერპრესნიუსი“

რომ უკვე შეუძლიათ, საქართველოში ძალაუფლება ჩაიგდონ ხელში, რადგან „ქართული ოცნება“ ქვეყანას ვეღარ მართავს!

**— თქვენ მიერ ნახსენები არესტოვიჩები, პოდოლიაკები და არახამიები კვლავ აქტიურად აგრძელებენ საქართველოს ხელისუფლების კრიტიკასა და მოწოდებებს, რომ ქართული სახელმწიფო უფრო მძლავრად დაუპირისპირდეს რუსეთს უკრაინული ომის კონტექსტში. როგორ ფიქრობთ, მოხსნილია თუ არა საფრთხე, რომ საქართველოს მეორე ფრონტის გახსნა აიძულონ და ომში ჩაითრიონ?**

— დღითი დღე უფრო ნათელი ხდება, რომ **არესტოვიჩებს, პოდოლიაკებსა და არახამიებს,** მათ ქართულ ფილიალთან — ნაცსექტასთან ერთად, საქართველოში არეულობა და სისხლისღვრა სჭირდებათ, რათა ძალაუფლება ჩაიგდონ ხელში და მერე რუსეთს აქედან გაუხსნან მეორე ფრონტი. ისინი არ გაჩერდებიან და ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ დემარშს გააგრძელებენ, რასაც საქართველომ მეტი პრინციპულობით უნდა უპასუხოს. დიახ, **თუ საჭირო იქნება, უკრაინის ელჩის მოვალეობის შემსრულებელიც უნდა დაიბარონ საგარეო საქმეთა სამინისტროში და ნოტაც უნდა გაგზავნონ კიევში, რათა უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლებს აგრძნობინონ, რომ მათ არანაირი უფლება არა აქვთ, „ზემოდან“ გველაპარაკონ.**

ისე კი, ჯობს, **არესტოვიჩებმა, არახამიებმა და პოდოლიაკებმა** საქართველოს შიდა საქმეებში ცხვირის ჩაყოფას თავი დაანებონ და მიხედონ თავიანთ ქვეყანას, რომელსაც სახელმწიფოებრიობის დაკარგვის რეალური საფრთხე ემუქრება!

**— თანდათან ირკვევა, რომ უკრაინის ხელისუფლების მაღალჩინოსნებს, იგივე პოდოლიაკსა და არესტოვიჩს, ახლო წარსულში მჭიდრო კავშირები ჰქონდათ რუსეთის პოლიტიკურ წრეებთან და რუსულ სპეცსამსახურებთან! გამორიცხავთ, რომ ისინი ფარულად დღესაც კრემლის ინტერესებს ემსახურებიან?**

— უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელმა **პოდოლიაკმა** უმაღლესი განათლება ბელარუსში მიიღო და ერთ-ერთ ადრინდელ ინტერვიუში თავადვე აღიარა, რომ ბელარუსულ სპეცსამსახურებთან ჰქონდა კავშირი. იგი ასევე მუშაობდა კრემლის პროპაგანდისტულ ტელეარხ **„ენტევე“**-ზე, ემსახურებოდა რუს ოლიგარქებს და თანამშრომლობდა რუსულ სპეცსამსახურებთან. **პოდოლიაკმა 2010 წელს ინტერვიუში განაცხადა, რომ მისთვის კარგი და ცუდი პოლიტიკოსები არ არსებობენ, მთავარია, ვინ რას დაუკვეთს და ვინ გადაუხდის მეტ ფულს.** იგივე ღირებულებების მატარებელია უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელის მრჩეველი **არესტოვიჩიც,** რომელიც რამდენიმე წლის წინათ მოსკოვში ოლიგარქების კორპორატიულ წვეულებებზე იქნევდა გავას და ამით შოულობდა ფულს, პარალელურად კი რუსული იმპერიალიზმის იდეოლოგ **დუგინთან** ერთად მართავდა პრესკონფერენციებს და „ამერიკულ ექსპანსიას“ გმობდა. თავად განსაჯეთ, რამდენად შეიძლება ასეთი ადამიანების ნდობა და იმის გამორიცხვა, რომ ისინი უკრაინაში დღესაც კრემლის ინტერესებს ემსახურებიან?!

საერთოდ, სააკაშვილისა და მისი ბანდის მაგალითზე არაერთხელ დავინახეთ, რომ რუსული საქმე სწორედ რუსეთის ლანძღვა-გინების საფარქვეშ კეთდება! დიახ, **ნაცსექტა თავისი დაარსების პირველივე დღიდან ემსახურება რუსეთის იმპერიულ ინტერესებს და ამის შენიღბვას ანტირუსული რიტორიკით ცდილობს!** ზოგადად, ნაცები მეძავის პრინციპით მოქმედებენ — როგორც სულითა და ხორცით გარყვნილი მეძავი პატიოსან ადამიანს აბრალებს მეძაობას, რათა საკუთარი სიბინძურე არ წამოაძახონ, ნაცსექტის წევრებიც ასე აკერებენ სხვებს „რუსეთის აგენტის“ იარლიყს!

**— ზემოთ განაცხადეთ, რომ უკრაინა სახელმწიფოებრიობის დაკარგვის რეალური საფრთხის წინაშე დგას, თუმცა, თავად უკრაინის ხელისუფლება, დასავლეთის არაერთი ლიდერი და ქართველი პოლიტიკოსებისა და ექსპერტ-ანალიტიკოსების ნაწილი ირწმუნება — რუსეთთან ომში უკრაინის გამარჯვება გარდაუვალიაო! რის საფუძველზე არ თუ ვერ იზიარებთ ამ მოსაზრებას?**

— ღმერთმა ქნას, უკრაინა ამ ომიდან გამარჯვებული გამოვიდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ფაქტები სულ სხვა რამეზე მეტყველებენ. მაგალითად, უკრაინის ხელისუფლება ჯერ კიდევ ომის დაწყების წინ **აცხადებდა** — მარიუპოლი ისე გავაძლიერეთ, რომ აუღებელი ქალაქიაო, მაგრამ თვენახევარში მისგან აღარაფერი დარჩა! **ამბობდნენ** — რუსები ხერსონს ვერ აიღებენო, მაგრამ აიღეს; **ამბობდნენ** — აზოვის ზღვას ვაკონტროლებთო, მაგრამ ისიც რუსების კონტროლქვეშ მოექცა; **ამბობდნენ** — ატომურ ელექტროსადგურებზე კონტროლს ვინარჩუნებთო, მაგრამ დღეს მათაც რუსული ძალები აკონტროლებენ; **ამბობდნენ** — დონეცკი და ლუგანსკი ისტორიულ საზღვრებში ერთი კილომეტრითაც ვერ გადმოიწევენო, მაგრამ უკვე მიადგნენ ისტორიულ საზღვრებს; **ამბობდნენ** — რუსები კუნძულ ზმეინის ვერ აიღებენო, მაგრამ აიღეს და 7-8 მაისს, როცა უკრაინელებმა მისი დაბრუნება სცადეს, დიდი დანაკარგი განიცადეს... ძალიან სამწუხაროა ეს ყველაფერი, მაგრამ რეალობაა! საერთოდ, ომში უშუალოდ ჩართული მხარეების ინფორმაცია ბოლომდე სანდო არ არის, რადგან ისინი პროპაგანდით არიან დაკავებული და ამიტომაც დამოუკიდებელი წყაროების — ამერიკელი, ბრიტანელი, ჩინელი, თურქი, ებრაელი სამხედრო ექსპერტების, ნატოს ყოფილი ოფიცრების ღია ინფორმაციებს ვეყრდნობი.

და კიდევ: **მე გეტყვით იმას, რაზეც უკრაინის ომთან დაკავშირებით არც საქართველოში ლაპარაკობენ და არც — დასავლეთში!**

**— ყურადღებით გისმენთ!**

— მოგეხსენებათ, მარიუპოლში, „აზოვსტალის“ ქარხნის ტერიტორიაზე იმყოფებიან „აზოვის“ ბატალიონის მებრძოლები, რომლებიც უკრაინის ხელისუფლებას თავიანთ მიტოვებაში ადანაშაულებენ და არესტოვიჩსა და სხვა მაღალჩინოსნებს ფიზიკური განადგურებითაც კი ემუქრებიან. მიუხედავად იმისა, რომ „აზოველები“, ფაქტობრივად, ვეღარ იბრძვიან, დანებებაზე მაინც უარს აცხადებენ და რომის პაპით დაწყებული, ვის აღარ სთხოვენ შველას, რადგან იციან, ტყვედ ჩაბარების შემთხვევაში სიკვდილით დასჯა ემუქრებათ. საქმე ის არის, რომ **„აზოვსტალის“ შესასვლელ-გამოსასვლელებს აკონტროლებს არა რუსეთის, არამედ ე.წ დონეცკის სახალხო რესპუბლიკის ჯარი, რომელიც ლამის აჯანყდა მაშინ, როცა რუსეთის ხელისუფლებამ მზადყოფნა გამოთქვა, „აზოვის“ ბატალიონის მებრძოლები რუს სამხედრო ტყვეებში გაეცვალა.** იცით, სად არის დამარხული ძაღლის თავი? ე.წ. დონეცკის სახალხო რესპუბლიკაში, რომლის კანონმდებლობაშიც **სიკვდილით დასჯის მუხლი** შენარჩუნებულია, „აზოვის“ მებრძოლების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეებია აღძრული და თუ მათ ტყვეებად აიყვანენ, უმრავლესობას სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა ემუქრება. აი, სწორედ ამიტომ არ გამოდიან ისინი „აზოვსტალის“ ქარხნიდან, მაგრამ ამაზე არავინ ამახვილებს ყურადღებას, სიმართლის თქმას ყველა ერიდება.

**— რამდენიმე დღის წინათ პუტინმა განაცხადა — დასავლური ქვეყნების ელიტები მზად არიან, გლობალური ბატონობის შესანარჩუნებლად დანარჩენი მსოფლიო მსხვერპლად შესწირონ! როგორ ფიქრობთ, არის თუ არა ეს მინიშნება მოსალოდნელ ბირთვულ ომზე?**

— დიახ, ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ მსოფლიო ბირთვული ომისაკენ მიექანება! **თუ რუსეთი იძულებული გახდა, უკრაინაში ბრძოლა ისე დათმოს, რომ წინასწარ გათვალისწინებულ შედეგებს ვერ მიაღწიოს, მაშინ, შესაძლოა, ბირთვული იარაღი გამოიყენოს, რასაც აუცილებლად მოჰყვება იგივე პასუხი აშშ-ისა და ნატოს მხრიდან.**



**„სააკაშვილისა და მისი ბანდის მაგალითზე არაერთხელ დავინახეთ, რომ რუსული საქმე სწორედ რუსეთის ლანძღვა-გინების საფარქვეშ კეთდება!“**



**„სააკაშვილი, როგორც რუსული ოხრანკის აგენტის – მღვდელი გაპონის რეინკარნაცია, ანტიეროვნული საქმეების კეთებაში საკმაოდ ნიჭიერი და ეფექტიანი იყო!“**

**„თუ აუცილებელი გახდება, სააკაშვილის მულტიმილიონერ დედას გიული-ხანუმს ჩარტერული თვითმფრინავი დააქირავებინონ და მაღალკვალიფიციური უცხოელი ექიმები აქეთ ჩამოიყვანონ!“**




ამ ყველაფრის ფონზე ხშირად მაგონდება გალაქტიონის ბრწყინვალე სტრიქონები — **„ხანმა უნდობარმა, გზა რომ შეელება, უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები“.**

დღეს მსოფლიოს სწორედ **უნდობარი ხანი** უდგას!

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**დმიტრო კულება**
*უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი*



ჩვენ გვჭირდება **სპეციალური ტრიბუნალი** უკრაინის წინააღმდეგ ჩადენილი აგრესიული დანაშაულისთვის, რათა **რუსეთის ხელმძღვანელობა პასუხისგებაში მიეცეს.** უკრაინა თუ არ მიიღებს **ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს,** მაშინ გამოდის, რომ **ევროპა გვატყუებს და ამას არ გადავყლაპავთ.**

„რეზონანსი“

**მატეუშ მორავეცკი**
*პოლონეთის პრემიერ-მინისტრი*



დიქტატორი **პუტინი** უფრო საშიშია, ვიდრე **ჰიტლერი** და **სტალინი,** რადგან **მის ხელში მეტად მომაკვდინებელი იარაღია,** ვიდრე მე-20 საუკუნის დიქტატორებს ჰქონდათ — **ბირთვული რაკეტები და ინტერნეტი.**

„ინტერპრესნიუსი“

**ხატია დეკანოიძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



**სააკაშვილი უნდა გადაიყვანონ საზღვარგარეთ,** როდესაც წამოდგება და პოლიტიკური მართლმსაჯულება არ იქნება მძლავრი იარაღი ხელისუფლების ხელში, **მზად არის, განიხილოს საქართველოში ჩამოსვლა.**

„პირველი არხი“

**სოზარ სუბარი**
*პარლამენტარი*



**შეიძლება, გავაღიზიანო ის პატიმრები, რომლებიც სააკაშვილის რეჟიმის დროს იხდიდნენ სასჯელს,** მაგრამ ყოფილი პრეზიდენტის **ჯანმრთელობას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, ოღონდ ჯანმრთელობას და არა სპეკულაციებს.**

„ინტერპრესნიუსი“

*ცნობილი ქართველი ანალიტიკოსი, პოლიტოლოგი, პროფესორი* ***ვახტანგ მაისაია*** *სააკაშვილის საქართველოში ჩამოსვლის რეალურ მიზეზს ასახელებს და აცხადებს, რომ რუსთავის საპყრობილიდან გორის სამხედრო ჰოსპიტალში გადაყვანის დროს ნაპრეზიდენტალის მიერ ატეხილ წივილ-კივილს რეალური საფუძველი ჰქონდა! მეცნიერი, რომელმაც პირადად გამოსცადა სააკაშვილის რეჟიმის მსახვრალი ხელი, მიიჩნევს, რომ რუსეთის საჯარისო ფორმირებები და არმია საქართველოს ზედმეტ გაფაჩუნებას ელოდებიან, რათა თბილისზე სამხედრო იერიში დაიწყონ:*



## „თუ რუსეთ-საქართველოს ომი დაიწყო, პუტინი თბილისს აუცილებლად დაბომბავს და საქართველოს დედაქალაქი მარიუპოლის ბედს გაიზიარებს!“

*ვახტანგ მაისაია:*

# პუტინი გამძვინვარებულია!

## „პუტინს საკმარისზე მეტი ცოცხალი ძალა და შეიარაღება აქვს, რათა ომის შემთხვევაში საქართველო მიწასთან გაასწოროს!“



— მოცემულ ეტაპზე რუსეთი საქართველოს ომს დაუწყებს მხოლოდ ორ შემთხვევაში — თუ საქართველო გაატარებს უკრაინისთვის განკუთვნილ სამხედრო ტვირთებს და შეიჭრება რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის ტერიტორიაზე! თქვენ იცით, რომ რუსეთი უნგრეთსა და პოლონეთზე დარტყმას ვერ ბედავს, რადგან ორივე ნატოს წევრია, მაგრამ იმ იარაღს, რომელსაც ნატო უკრაინას აწვდის, რუსეთი შეძლებისდაგვარად ანადგურებს.

სწორედ ასე მოიქცევა კრემლი საქართველოშიც, თუ დაინახავს, რომ უკრაინას იარაღით დაეხმარება... აღარაფერს ვამბობ იმის შესახებ, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის მიმართულებით ნებისმიერ ჩვენს აქტიურობას აუცილებლად მოჰყვება რუსეთთან ომი. სხვათაშორის, მოლდოვამ უარი განაცხადა, უკრაინისთვის მიეცა უახლესი ტიპის „მიგ-29“-ები, რომლებზეც ძალიან დიდი მოთხოვნაა. სულ ხუთი ერთეული „მიგ-29“ ჰყავს მოლდოვას... საქართველოსაც შეუძლია, უკრაინას მიაწოდოს „სუ-25“-ები, მაგრამ როგორც მოლდოვა, საქართველოც პატარა სახელმწიფოა. აქედან გამომდინარე, ომი რუსეთთან იქნება ნამდვილი უგუნურება და იდიოტიზმი საქართველოს მხრიდან, რადგან ამ ომს მოჰყვება ჩვენი ქვეყნის მიწასთან გასწორება.

**— უკრაინელი ნაცები — გონჩარენკო, დანილოვი და არესტოვიჩი ქართველ ნაცებთან შეხმატკბილებულად გვირჩევენ, რომ ახლა საუკეთესო დროა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად, რადგან აფხაზეთიდან და ცხინვალიდან რუსეთს ძალები გაყვანილი ჰყავს უკრაინაში. მართლა ასეა საქმე?**

—უკრაინელებს ძალიან რომ უნდათ საქართველოში მეორე ფრონტის გახსნა, ამაში გასაკვირი არაფერია, მაგრამ მაკვირვებს ქართველების სურვილი, რომ ქვეყანა რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩაითრიონ! პირდაპირ უნდა ითქვას: **ქართველი, რომელიც ამბობს, რომ ამ სიტუაციაში საქართველომ რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტი უნდა გახსნას და პუტინის წინააღმდეგ იომოს, ქვეყნის მტერი და პროვოკატორია!** რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, რუსეთს აფხაზეთიდან და ცხინვალიდან უკრაინაში მართლაც მნიშვნელოვანი ძალები ჰყავს გაყვანილი, მაგრამ პუტინს საკმარისზე მეტი ცოცხალი ძალა და შეიარაღება აქვს, რათა ომის შემთხვევაში საქართველო მიწასთან გაასწოროს! დავიწყოთ იმით, რომ

**კრემლს აფხაზეთსა და ცხინვალში, საერთო ჯამში, განთავსებული ჰყავს დაახლოებით 8-10 ათასი რუსი ჯარისკაცი, რასაც ემატება დაახლოებით 5-ათასკაციანი ოსური ბანდფორმირებები და ე.წ. აფხაზური გვარდიაც. გარდა ამისა, რუსეთს საქართველოს საზღვართან ასევე მობილიზებული ჰყავს 38-ე არმიის მეორე ეშელონი და ნოვოროსიისკის მეშვიდე სადესანტო-საშტურმო ნაწილები, რომლებმაც 2008 წლის აგვისტოს ომის დროს საქართველოს დამარცხებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს.**

**აი, ეს სერიოზული ძალები დამიზნებულია საქართველოზე და ვინც დღეს ამბობს, რომ ომისთვის აბსოლუტურად მოუმზადებელი და დემორალიზებული ქვეყანა ამ ძალას უნდა ეომოს, ის პროვოკატორი და მტერია!** სხვათაშორის, ის ფაქტი, რომ საქართველოს დასანგრევად და გასანადგურებლად ამოდენა სამხედრო ძალებია მომართული, რომელსაც პუტინი უკრაინაში არ იყენებს, თავისთავად ნიშნავს, რომ საქართველო უკრაინას სამხედრო თვალსაზრისითაც ეხმარება.

**— თუ მხედველობაში არ მივიღებთ მახათას მთაზე მიტანილ იერიშს, სადაც სამხედრო რადარები და ინფრასტრუქტურა გაანადგურეს, შეიძლება ითქვას, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის დროს რუსეთს თბილისი არ დაუბომბავს. რა მოხდება ახლა, თუ საქართველოსა და რუსეთს შორის სამხედრო კონფრონტაცია დაიწყება?**

— შევთანხმდეთ იმაზე, რუსეთის საჯარისო ფორმირებები და არმია ელოდებიან საქართველოს ზედმეტ გაფაჩუნებას, რათა თბილისზე სამხედრო იერიში დაიწყონ! ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ, თუ ომი გაჩაღდა, 2008 წლის ომისგან განსხვავებით, საქართველოს მისამართით რუსეთის აგრესია გაცილებით მასშტაბური და მკაცრი იქნება!

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ ვლადიმერ პუტინი გამძვინვარებულია! იგი კარგად ხვდება, რომ უკრაინის კონფლიქტში თავიდან ფეხებამდე ჩაეფლო, საიდანაც ვერ გამოდის. პუტინს ეგონა, რომ უკრაინაში ომს სამ დღეში დაამთავრებდა, მაგრამ უკრაინის თვალუწვდენელმა ტრამალებმა და მამაცმა უკრაინელებმა, რომლებსაც ნატოს უმაღლესი სამხედრო შეიარაღება და სამხედრო ინსტრუქტორები უმაგრებენ ზურგს, საუკეთესო რუსული ნაწილები დაანგრიეს. უფრო მეტიც, **ამერიკელების აქტიური დახმარებით, რაც შეტევითი სტრატეგიული იარაღის უკრაინისთვის გადაცემაში გამოიხატა, უკრაინამ რუსეთთან სამხედრო ბალანსი აღადგინა.** კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ, თუ რუსეთ-საქართველოს ომი დაიწყო, პუტინი თბილისს აუცილებლად დაბომბავს და საქართველოს დედაქალაქი მარიუპოლის ბედს გაიზიარებს!

**— ჯვარი გვწერია, მაგრამ თუ ომი იქნება, საქართველოს რა შანსები აქვს, რუსეთს წინააღმდეგობა გაუწიოს?**

## კვირგვინოსნები

**დიმიტრი ხუნდაძე**
*პარლამენტარი*



2012 წელს სააკაშვილმა **ხელკეტებისა და ტერორის ფონზე,** ხელისუფლება **„მშვიდობიანად“** გადააბარა და ქვეყანას და საზოგადოებას **სიმშვიდეს** სწორედ იმ დღიდან არ აძლევს. **„ხელისუფლება კლავსო“** და ციხეში საშინელი წამებისა და სტრესის ქვეშ არისო — **შვიდი თვის განმავლობაში საკანში 800-მდე ვიზიტორი და ამდენი ექიმის მეთვალყურეობა** თუ წამებაა, მაშინ ეს ადრე სხვანაირად იყო.

„ახალი თაობა“

**დავით ბერძენიშვილი**
*რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი*



სააკაშვილი რა დღეშიც არის, ეს ოპოზიციის და ნაციონალური მოძრაობის უამრავი შეცდომის შედეგია. პირობას გაძლევთ, **ივანიშვილი** მისი ხელისუფლების ბოლო საათებს შეხვდება ჰაერში. **ის გაიქცევა ქვეყნიდან!**

ოპოზიციას რომ ვკითხოთ, **მეორე ნაბიჯი** სააკაშვილის საზღვარგარეთ გადაყვანა უნდა იყოს, **მესამე ნაბიჯი** გათავისუფლება და **მეოთხე** — ხელისუფლებაში დაბრუნება.

„ახალი თაობა“

**სოსო ცისკაძე**
*პოლიტოლოგი*



საქართველო ერთ მშვენიერ დღეს **ნამდვილად გახდება ევროკავშირის წევრი სახელმწიფო,** მაგრამ, სამწუხაროდ, მე ამას ვერ მოვესწრები.

„ახალი თაობა“

**პაატა ზაქარეიშვილი**
*ექსპერტი კონფლიქტოლოგი*



ქვეყანაში **ორი მსახიობის თეატრია** და სცენაზეა საწოლში მწოლიარე **სააკაშვილი.**

„ახალი თაობა“

**მამუკა გიორგაძე**
*სახალხო პარტიის ლიდერი*



საქართველოში **პოლიტიკური მონოპოლიაა.** დროა, **პოლიტიკური სპექტაკლებიდან** გამოვიდეთ.

„ახალი თაობა“

## ექსპერტის თვალით





# „სააკაშვილმა მილიარდერ რინატ ახმეტოვს დიდძალი ფული გამოართვა, „გადააგდო“ და მარიუპოლიდან საქართველოსკენ გამოიპარა, რადგან ახმეტოვი სიკვდილით დაემუქრა!“

**გაიხსენეთ სააკაშვილის პანიკური შიში და ატეხილი წივილ-კივილი, როცა პირველად გორის ჰოსპიტალში გადაიყვანეს. მაშინ მას სწორედ რინატ ახმეტოვის ყოვლისშემძლე ხელის ეშინოდა, რადგან ფიქრობდა — ვაითუ, ოლიგარქი გორში ადვილად მომწვდეს და გამასალოსო!**

— უკრაინისაგან განსხვავებით, საქართველო ძალიან პატარა ქვეყანაა და უმალ გაგვანადგურებენ! რუსები ისე არიან გამძვინვარებულები, უყოყმანოდ გაგვინადგურებენ გენოფონდს! ამიტომ ყველა კარგად დაუკვირდეს, რას ლაპარაკობს და რა შეიძლება მოჰყვეს თითოეულ განცხადებას.

**— იმ ყველაფრის გათვალისწინებით, რაც უკრაინაში ხდება, სააკაშვილის საქართველოში ჩამოსვლას როგორ აფასებთ? ეს კაცი არაჟნის კონტეინერში შემთხვევით შეძვრა თუ შეაძვრინეს და საქართველოში სიტუაციის ასარევად გამოუშვეს?**

— გაგიკვირდებათ და, სააკაშვილის საქართველოში შემოპარვასთან დაკავშირებით სრულიად განსხვავებული მოსაზრება მაქვს, რაც ჩემს ანალიზს ემყარება. დავიწყოთ იმით, რომ სააკაშვილი არის ფულის წუწკი და პროფესიონალი „გადამგდები“... ვიდრე საქართველოში შემოვიდოდა, მთელი სამი თვის განმავლობაში სააკაშვილი ქალაქ მარიუპოლში იმყოფებოდა, რომელიც ცნობილი უკრაინელი მილიარდერისა და ოლიგარქის **რინატ ახმეტოვის** „ოტჩინაა“. „აზოვსტალი“, რომელიც პირწმინდად განადგურებულია, სწორედ ახმეტოვის საკუთრებაა.

**ჩემი ინფორმაციით, სააკაშვილი მარიუპოლში მილიარდერ რინატ ახმეტოვთან საქმიან მოლაპარაკებას აწარმოებდა. უფრო მეტიც, სააკაშვილმა მილიარდერ რინატ ახმეტოვს დიდძალი ფული გამოართვა, „გადააგდო“ და მარიუპოლიდან საქართველოსკენ გამოიპარა, რადგან ახმეტოვი სიკვდილით დაემუქრა!** ამით ის ორი კურდღლის დაჭერას ცდილობდა... მოგეხსენებათ, მას არწმუნებდნენ, რომ, თუ საქართველოში ჩამოვიდოდა, ხელისუფლებაში მის მოსვლას წინ ვერავინ და ვერაფერი დაუდგებოდა; ხოლო, თუ ხელისუფლებაში მოვიდოდა, მაშინ **რინატ ახმეტოვის** ფულები სამუდამოდ შერჩებოდა! საერთოდ, სააკაშვილი ოლიგარქების „გადაგდებაში“ შემჩნეულია... აი, მაგალითად, საქვეყნოდ ცნობილია, რომ უკრაინული წარმოშობის რუს ოლიგარქ **კურჩენკოს** სააკაშვილმა 500 ათასი ამერიკული დოლარი გამოართვა და „გადააგდო“. უკრაინის უშიშროების სამსახურმა ამ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმეც კი აღძრა და სააკაშვილი იძულებული გახდა, ფული უკან დაებრუნებინა. უფრო მეტიც, უკრაინელებმა დაიჭირეს შუამავალი — ვინმე **სარდიუმი,** ვისაც ეს ფული კურჩენკოსთვის უნდა მიეტანა.

**— რატომ ფიქრობთ, რომ სააკაშვილი უკრაინიდან ოლიგარქ რინატ ახმეტოვს გამოექცა?**

— **ამის საფუძველს მაძლევს ის, რომ უკრაინიდან სააკაშვილის გამოპარვიდან მეორე თუ მესამე დღეს კიევის ცენტრში ჩაცხრილეს ცნობილი კრიმინალური ავტორიტეტი, ვინმე ირაკლი და მისი უკრაინელი ადვოკატი!**

**— ეს ირაკლი ქართველი იყო და სააკაშვილთან კავშირი ჰქონდა?**

— დიახ, კრიმინალური ავტორიტეტი ირაკლი, რომლის გვარსახელიც სამწუხაროდ, არ მახსოვს, სწორედ ქართველი იყო და სააკაშვილთან მეგობრობდა.

**— საიდან მეგობრობდა?**

— როცა უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრი **არსენ ავაკოვი** გადადგა, სააკაშვილმა მოახერხა და უკრაინის ციხიდან გაათავისუფლებინა კრიმინალური ავტორიტეტი ირაკლი, რომელიც იმ დღიდან მოყოლებული, სააკაშვილს გვერდიდან არ შორდებოდა. რინატ ახმეტოვი ძალიან ძლიერი ფიგურაა, კოლოსალური შესაძლებლობების მქონე ოლიგარქია, რომელიც ერთხანს ზელენსკისაც დაუპირისპირდა და მისი ჩამოგდება მოინდომა. გაიხსენეთ ის პერიოდი, როცა ომამდე ცოტა ხნით ადრე ზელენსკი გამოვიდა და განაცხადა — **უკრაინაში რინატ ახმეტოვი სახელმწიფო გადატრიალებას ამზადებსო!** მაშინ სააკაშვილი ზელენსკის მხარეს დადგა და რინატ ახმეტოვს დაუპირისპირდა, მაგრამ ომმა დაპირისპირებული მხარეები გააერთიანა და დღეს რინატ ახმეტოვი მთელი თავისი ფინანსური რესურსით უკრაინის ხელისუფლების მხარეს დგას.

**— რამდენად ემუქრება ბიძინა ივანიშვილს სანქციები?**

— ეს გამორიცხულია! ბიძინა ევროპელი ბიზნესმენია, მას რუსეთში ბიზნესი არა აქვს, ასე რომ, ეს სისულელეა... ბიძინა ივანიშვილს სანქციები რომ ემუქრებოდეს, ამის შესახებ ამერიკელები და ევროპელები აქამდე განაცხადებდნენ და არავის მოერიდებოდნენ, მაგრამ მსგავსი რამ გამორიცხულია. ვინც ამ ხმებს ავრცელებს, სწორედ იმათზეა ნათქვამი — მელას რაც ელანდებოდა, ის ესიზმრებოდაო!

**— საქართველოს ხელისუფლებამ მოცემულ მომენტში რა უნდა გააკეთოს?**

— საქართველოს ხელისუფლებამ აფხაზეთისა და ცხინვალის მიმართულებით აუცილებლად უნდა გააძლიეროს სახალხო დიპლომატია. უნდა ვაღიაროთ, რომ ამ მხრივ დღეს, ფაქტობრივად, არაფერი კეთდება.

## რუსეთმა დნესტრისპირეთში სიტუაცია ვერ არია, რადგან მოლდოველებსა და დნესტრისპირელებს შორის დღეს ძალიან კარგი ურთიერთობაა, რაც სწორედ სახალხო დიპლომატიისა და მოლდოვას ხელისუფლების დამსახურებაა!

*ესაუბრა* ***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**ბექა დავითულიანი**
*პარლამენტარი*



არ ვიცი, **ნიკა მელია** და ოპოზიცია რაზე ოცნებობენ, მაგრამ **არჩევნები 2024 წელს არის** და მოემზადონ.

„GTMEDIA“

**გია აბაშიძე**
*ანალიტიკოსი*



ხაზინის ქურდის **გიგი უგულავას** ბოლო დროს კიდევ უფრო გამძაფრებული ყალბი ემოციები ნათლად მიუთითებს, თუ რა აგონიაშია **სააკაშვილის** ომისა და ღალატის სექტა.

„იმედინიუსი“

**ანდრო ბარნოვი**
*პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი*



წარმოიდგინეთ, რომ **საქართველომ შეუტია და რუსეთის ჯარი გაყარა იმ ზოლს იქით, რასაც 2008-მდე ვაკონტროლებდით,** დაგვიბრუნდება რწმენა, რომ ერი და სახელმწიფო ვართ.

„პირველი არხი“

**თაკო ჩარკვიანი**
*„კანონი და სამართლის“ ლიდერი*



**ნიკა მელიამ** ჩაკლა პროცესი! **„ოცნებისთვის“ კომფორტული ლიდერია!**

„ახალი თაობა“

## ტელემონიტორი

### „ზელენსკი ყოველდღიურად ცრუობს!“

***სლოვაკეთის საპარლამენტო ოპოზიციისა და პარტია „კურსი — სოციალური დემოკრატიის“ ლიდერმა რობერტ ფიცომ უარი განაცხადა, მოესმინა სლოვაკეთის პარლამენტის დეპუტატების წინაშე უკრაინის პრეზიდენტის ვოლოდიმირ ზელენსკის გამოსვლისთვის იმ არგუმენტით, რომ უკრაინის ლიდერი „ყოველდღე ცრუობს“.***

პოლიტიკოსი მიიჩნევს, რომ ზელენსკის გამოსვლა სლოვაკეთის ინტერესებს აზიანებს. **რობერტ ფიცოს** თქმით, **„ნავთობისა და ბუნებრივი აირის რუსეთის ფედერაციიდან შემოტანაზე უარის თქმა სერიოზულ ზარალს მიაყენებს რესპუბლიკას“.**



სლოვაკეთის ეკონომიკის მინისტრის **რიხარდ სულიკის** განცხადებით, რუსეთისთვის დაწესებული ემბარგო ნეგატიურად აისახა არამხოლოდ სლოვაკეთზე, არამედ ავსტრიაზე, ჩეხეთსა და უკრაინაზე.

### ჯო ბაიდენმა კიდევ ერთხელ გამოაცხადა კამალა ჰარისი აშშ-ის პრეზიდენტად!

***ტელეკომპანია Fox News-მა აშშ-ასეანის (სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის 10 ქვეყნის მთავრობათაშორისი ორგანიზაცია) სამიტზე ამერიკის პრეზიდენტის გამოსვლის ამსახველი ვიდეო გამოაქვეყნა. ბაიდენს კიდევ ერთხელ შეეშალა და ვიცე-პრეზიდენტი კამალა ჰარისი აშშ-ის პრეზიდენტად მოიხსენია.***

**„ინდოეთ-წყნარი ოკეანის რეგიონი — ეს არის ინდოეთ-წყნარი ოკეანის რეგიონი, რომელიც თავისუფალი და ღია, სტაბილური და აყვავებული, მდგრადი და უსაფრთხოა. ეს არის ის, რისკენაც მივისწრაფით. სწორედ ამიტომ ვთხოვე პრეზიდენტ ჰარისს, გამგზავრებულიყო ამ რეგიონში შარშან“,** — განაცხადა ბაიდენმა.





ეს 80 წელს მიტანებული ბაიდენის პირველი შეცდომა არ არის და ხშირად აკრიტიკებენ გონებრივი შესაძლებლობების დაქვეითების გამო. მას არაერთხელ უწოდებია ჰარისისთვის პრეზიდენტი. ამას გარდა, ერთმანეთში ერეოდა სირია და ლიბია, ერაყი და ირანი, სიტყვები — „ვაქცინაცია“ და „ესკალაცია“.

### გერმანელები ევროვიზიაზე უკრაინელთა გამარჯვებამ აღაშფოთა

***გერმანული გამოცემა Spiegel-ის მკითხველი ტურინში გამართული „ევროვიზია-2022“-ის შედეგებით აღშფოთდა.***

კონკურსში უკრაინულ ჯგუფ Kaluch Orchestra-ის გამარჯვებას მკითხველმა არასამართლიანი უწოდა, თვითონ კონკურსს კი — ფარსი. თუმცა, „იმთავითვე ცხადი იყო, რომ უკრაინა გაიმარჯვებდა, დანარჩენებს კი შანსი არ ჰქონიათ“. — განაცხადა არაერთმა უკმაყოფილო ოპონენტმა, — **„ჩვენ საზიზღარი საზოგადოება ვართ, ჩვენ, მილიონობით ევროპელი, რომლებმაც ხმა მივეცით უკრაინას“,** — იყო ასეთი რეპლიკებიც. **პროფესიონალი ჟიურის შეფასებით, უკრაინელებმა მეოთხე ადგილი დაიკავეს და პირველ ადგილზე მხოლოდ მაყურებელთა შეფასების წყალობით გავიდნენ.**



### მეცნიერებმა ჩვენი გალაქტიკის ცენტრში არსებული შავი ხვრელის ფოტო გამოაქვეყნეს

*მეცნიერთა საერთაშორისო ჯგუფმა Event Horizon Telescope-მა, რომელშიც გაერთიანებულია 300-ზე მეტი მკვლევარი მსოფლიოს 80 ინსტიტუტიდან, 12 მაისს კაცობრიობის ისტორიაში პირველად გამოაქვეყნა ჩვენი გალაქტიკის —* ***ირმის ნახტომის*** *— ცენტრში არსებული ზემასიური შავი ხვრელის, მშვილდოსანი A-ს (ის 4,3 მილიონჯერ მძიმეა მზეზე) ფოტო.* ***ეს შავი ხვრელი დედამიწიდან 27 ათასი სინათლის წლით არის დაშორებული.***








**„არასოდეს ვამბობ იმას, რაც თითიდან გამოწოვილია და რასაც ლოგიკური დასაბუთება არა აქვს. ამიტომაც არაერთხელ გამართლდა ჩემი სიტყვები. იმედია, ხელისუფლება ამჯერად არ დაუშვებს შეცდომას და სააკაშვილთან მიმართებაში დაუფიქრებელ ნაბიჯს არ გადადგამს!“**

## მიხეილ ცაგარელი:

# სირცხვილი ის იყო, რომ კანონიერ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ტყე-ტყე დასდევდნენ!

## სააკაშვილს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეებისთვის აქვს მისჯილი და სასჯელი ბოლომდე უნდა მოიხადოს!

***— ექიმების ე.წ. ახალი საქმე, საქართველოში მეორე ფრონტის გახსნა და შვეიცარიის ბანკში ბიძინა ივანიშვილისთვის გადარიცხვების შეფერხება, როგორც ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი აცხადებს, უბრალო დამთხვევა არ არის და ერთადერთ მიზანს ემსახურება — საქართველოს დამოუკიდებლობა ფეხქვეშ გაითელოს:***

— ნეგატიური მოვლენების ფონზე დადებითი ინფორმაციით დავიწყებ საუბარს. მაისის მეორე ნახევარი ცუდი არ არის. შედარებით ჰარმონიული პერიოდი იქნება. ადამიანებსაც და ქვეყნებსაც მიეცემათ შეცდომების გამოსწორების შესაძლებლობა. სამყაროში სტაბილურობა მოიმატებს. 11 მაისს გამარჯვების მმართველი პლანეტა იუპიტერი თევზებიდან ვერძის ზოდიაქოს ნიშანში გადავიდა, რაც ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა.

**— ანუ რას უნდა ველოდოთ?**

— უფრო მეტად გაირკვევა საომარი ვითარების შემდგომი პრეროგატივა. ვერძი ხსნის ინფორმაციას, შესაბამისად, ადვილი დასანახი იქნება, ვინ საით მიდის. ვინც ამ პერიოდში შეძლებს აქტიურ ენერგიულ მოქმედებებს, მებრძოლი სულისკვეთების, კომუნიკაბელური იქნება, მეტ წარმატებას მიაღწევს. ვერძს არ უყვარს უკან დახევა.

**16 მაისს როდესაც გაზეთი „ასავალ-დასავალი“ გამოვა, მთვარის დაბნელება იქნება და ამით ე.წ. დაბნელებების დერეფანიც დასრულდება.** ასტროლოგიური კუთხით ძალიან მნიშვნელოვანია ბოლო ორი კვირა. რა მოხდება შემდეგ ექვს თვეში, ნებისმიერი ქვეყნის თუ ადამიანის ცხოვრებაში, დიდწილად დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ ვინ როგორ გაიარა ეს დაბნელებების პერიოდი. რაც ამ დროს გაუშვით კოსმოსში, ყველაფერი უკან დაგიბრუნდებათ.

**— რას ფიქრობთ, რამდენად სწორად გაიარა ეს პერიოდი ჩვენმა ქვეყანამ?**

— რადგანაც დაბნელებების დროს ძალიან დიდია ომის დაწყების საშიშროება და სერიოზული შეცდომების დაშვების ალბათობა, შეიძლება ითქვას, რომ ომთან დაკავშირებულ ხიფათს გვერდი ავუარეთ. **საქართველოს მთავრობამ სათანადო სიფრთხილე გამოიჩინა, არ აჰყვა ნაცოპოზიციის პროვოკაციებს და, რაც ყველაზე მთავარია, ქვეყანა საომარ ვითარებაში არ ჩართო.** თუმცა, მიმაჩნია, უკრაინიდან წამოსული პროვოკაციული განცხადებებისთვის უფრო მკაცრი შეფასება უნდა მიეცათ. ხელისუფლებამ ზედმეტად მშვიდი პოზიცია აირჩია.

**— მაინც რა ნაბიჯები უნდა გადაედგა საქართველოს ხელისუფლებას საომარ ვითარებაში მყოფი ქვეყნის წინააღმდეგ?**

— **დიდი ხნის წინათ უნდა გამოეძევებინა საქართველოს ელჩი უკრაინიდან.** არაფერს ვერჩი უკრაინელ ხალხს, მათთან ყოველთვის კარგი ურთიერთობა გვქონდა, მაგრამ მთავრობა აშკარად ანტიქართულ პოლიტიკას ეწევა. ხელს უწყობს საქართველოში ეროვნული მთავრობის დამხობას! ყველა სახის პროვოკაცია საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ იქ იგეგმება და ფინანსდება. ადრე თუ ჩუმად უწყობდნენ ხელს საქართველოში მთავრობის დამხობას, დღეს ამას აღარ მალავენ. მათი მხრიდან პირდაპირი აგრესია მოდის.

მართალია, ომის პერიოდში, შესაძლოა, ნებისმიერი ნაბიჯი პრორუსულ გადაწყვეტილებად ჩაითვალოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრომ ყურადღება მოადუნოს და არ განუმარტოს მსოფლიოს, რას ნიშნავს უკრაინის დემარში საქართველოს წინააღმდეგ. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ძალიან ბევრი სამუშაო აქვს მსოფლიოს წამყვან ლიდერებთან არამხოლოდ უკრაინის თემაზე, არამედ იმაზეც, რაც **მექსიკა-შეერთებული შტატების საზღვართან** ხდება. ეს, პირველ რიგში, საქართველოსა და ჩვენს მთავრობას უფუჭებს სახელს.

**— რა ხდება მექსიკისა და შეერთებული შტატების საზღვართან?**

— **ქართველების უმრავლესობა შეერთებულ შტატებში მექსიკის საზღვრიდან გადადის. ჩვენი თანამემამულეები ამერიკელ ჩინოვნიკებს უმტკიცებენ, რომ არიან პოლიტიკურად დევნილები.** ტელეფონში ატვირთული აქვთ ნაციონალური მოძრაობისა და ხელისუფლების დაპირისპირების, ცემა-ტყეპის კადრები — აი, ასეთი დემოკრატი ხელისუფლება ჰყავს საქართველოს, თავის ხალხს სცემს, საშინელ დღეში ჩააგდო ყოფილი პრეზიდენტიო. ამ თემებზე სტატიებიც იწერება პრესაში — საქართველოში დემოკრატიას პატივს არ სცემენ, მატულობს პოლიტპატიმრების რიცხვი და ა.შ. საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ამ ყველაფერს ახსნა-განმარტება სჭირდება — ვის აძლევს ხელს ჩვენს ქვეყანაში არეულობა და მეორე ფრონტის გახსნა.

**— უკრაინელებიც არ მალავენ, რომ საქართველოში მეორე ფრონტის გახსნა მათ რუსეთთან ომში წაადგებათ.**

— აქ უფრო დიდი პოლიტიკური თავი მარხია. **ამერიკის შეერთებულ შტატებს საქართველო არაფერში სჭირდება, გარდა იმისა, რომ რუსეთთან საქიძგილაოდ გამოიყენოს.** 2008 წელს საქართველოს არ ეყო ძალა და რესურსი, რუსეთს სერიოზულად დაპირისპირებოდა, ამიტომაც მოგვიანებით პროცესში უკრაინა ჩართეს. ის, რაც დღეს უკრაინაში ხდება, ამერიკული პროექტია. ამჯერად, როგორც დამხმარე ძალა, საქართველო სჭირდებათ. რაც მეტი ქვეყანა ჩაერთვება ომში და დაუპირისპირდება რუსეთს, მით უფრო მეტად გაიხარებს ამერიკა, თუმცა, საქმე ის არის, რომ დღეს საქართველოს ხელისუფლებაში არ არის ის მთავრობა, რომელიც მათ ერთ ნათქვამზე ქვეყანაში მეორე ფრონტს გახსნის.

გასაგებია, არ მოგვწონს რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკა, მაგრამ ის თუ ძალისმიერი მეთოდებით იპყრობს ქვეყნებს, ამერიკა ამას სულ სხვა გზებით აღწევს. სწორედ ამერიკის ძალისხმევით მოხდა ჩვენთან „ვარდების რევოლუცია“, მათი ნამუშევარია საქართველოში ნულოვანი ტოლერანტობა, იდენტობის აღრევა, ავტორიტეტების მოსპობა, მეცნიერების განადგურება, ინტელიგენციის ჩარეცხვა, სწავლის პროცესის დაკნინება, მედიის გადაგვარება, ფეიკ-ნიუსების დასპონსორება და ა.შ. შტატების მთავარი ამოცანა არის ოჯახის ინსტიტუტისა და ტრადიციების ნგრევა, რაც ერთადერთ მიზანს ემსახურება — ადვილად გმართოს.

მოდით, პირდაპირ ვთქვათ, **ამერიკა რეალურად სულს გვხდის! თუ ერთმანეთს შევადარებთ რუსეთისა და ამერიკის ბოროტებას, ადვილი შესაძლებელია, შტატების ბოროტებამ გადაწონოს. მათი ვითომ მაამებლური პოლიტიკა გაცილებით უფრო დამანგრეველია ქვეყნისთვის!**

პარადოქსული ომის მომსწრენი ვართ. ასეთი, მგონი, ისტორიას არ ახსოვს. უკრაინას იმდენ ფულსა და შეიარაღებას აწვდიან, რაც აქამდე არასოდეს ჰქონია. მასთან ერთად მდიდრდება რუსეთიც, გაძვირებული ენერგომატარებლებიდან ორჯერ მეტი შედის მის ბიუჯეტში. გარდა ამისა, გაგანია ომის დროს არცერთი მილი არ დაზიანებულა — გაზი შეუფერხებლად მიეწოდება ევროპას. **არ შეეძლოთ უკრაინელებს, ერთი მილი მაინც აეფეთქებინათ? ხელს ვერაფერი შეუშლიდათ, მაგრამ ამ შემთხვევაში აღშფოთებულ ევროპას, შესაძლოა, მათთვის იარაღი და ფული აღარ მიეწოდებინა.**

**— დაუჯერებელია, უკრაინის ხელისუფლებას თავისი**





„ბიძინა ივანიშვილი გამოსავალს აუცილებლად იპოვის, ოღონდ ეს იქნება დაბნელებების დერეფნის გავლის შემდეგ. ჩვენზე უკეთ იცის მან, რისი გაკეთება შეიძლება, მე, უბრალოდ, ვეტყვი, 19-20 მაისიდან დაიწყება მისთვის საინტერესო და წარმატებული ერთთვიანი პერიოდი, რომელიც მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად!“

# „ის, რაც დღეს ივანიშვილის წინააღმდეგ ხდება შვეიცარიის ბანკში, მაკ-კეინის გამოზრდილი ლეკვების ნამოქმედარია!“

**ქვეყნის სრულიად გაცამტვერება სურდეს!**

— უკრაინის ხელისუფლებას უნდა, იშოვოს ძალიან დიდი ფული. ფაქტია, იარაღის რაღაც ნაწილი, რომელიც ევროპამ და ამერიკამ გადასცა, აფრიკაში აღმოაჩინეს, ანუ იარაღის გადაყიდვა მოხდა. **ზელენსკის პირად ჰოროსკოპში აქვს იუპიტერისა და შავი მთვარის შეერთება, რაც იმას ნიშნავს, რომ გამარჯვება მის ცხოვრებაში ბოროტებისგან, ძალადობისგან და ყოველივე ნეგატიურისგან მოდის.** რაც მეტი დაიხოცება და დაინგრევა, მით მეტ მოგებას ნახავს. უკრაინელი ხალხი მას ნაკლებად აღელვებს. **იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ებრაელია, შესაძლოა, დამატებით როლსაც თამაშობდეს და სიონისტური ჯგუფების დავალებებსაც ასრულებდეს.**

უკრაინელი ხალხი ჯერ პროპაგანდის ზეგავლენის ქვეშაა, როცა გაიღვიძებენ, მიხვდებიან, რა პრეზიდენტიც და მთავრობაც ჰყავთ. როგორ გაანადგურებინეს ქვეყანა ებრაელ ზელენსკისა და არესტოვიჩს. **ებრაელების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, უამრავი ებრაელი მეგობარი მყავს და, იმედია, სწორად გამიგებენ. იმის თქმა მსურს, რომ არსებობს ძალიან ძლიერი სიონისტური მაფია და სამყაროში გადანაწილებისთვის ბრძოლა სწორედ ამ სიონისტურ მაფიასა და ანგლოსაქსებს შორის მიდის.** მათია მთელი მასონური ლოჟები, მათ ხელშია ბანკები, ფული, მასმედია და ა.შ. მათი ბრძოლები იწვევენ ყველაზე მძიმე კატაკლიზმებსა და ომებს მსოფლიოში.

კაცმა არ იცის, სიონისტურმა მაფიამ და ანგლოსაქსებმა ამჯერად რაზე მოილაპარაკეს. თუ მათ სჭირდებათ რუსების მოსპობა, არ არის გამორიცხული, ამ გეგმის ირგვლივ გაერთიანდნენ კიდეც. ფაქტია, პროცენტულად უკრაინაში არ არის ბევრი ებრაელი, მაგრამ ამავე დროს უკრაინის მთავრობა გავსებულია ებრაელებით. როგორ ფიქრობთ, ეს შემთხვევითობაა? **არც ის არის უბრალო დამთხვევა, რაც შვეიცარიის ბანკში ბიძინა ივანიშვილის მისამართით ხდება.**

**— ამის მიზეზი რა უნდა იყოს?**

— შვეიცარიის ბანკი პირდაპირ კავშირშია მასონურ და შეერთებული შტატების ელიტურ ჯგუფებთან. აკეთებს იმას, რასაც ისინი ეტყვიან. არ დაიჯეროთ, რომ ნეიტრალური და დამოუკიდებელია! ყველა აქცია, რომელიც რუსებს შვეიცარიულ ბანკში აქვთ, უნდათ, ჩამოწერონ და უკრაინას გადასცენ. გეკითხებით, რას ნიშნავს ეს? არის თუ არა ქურდობა და იმ საერთაშორისო ნორმების დარღვევა, რომლითაც აქამდე იყვნენ განთქმულები?!

კიდევ ერთხელ ვამბობ — **შვეიცარიულ ბანკებს ამერიკა მართავს.** მათი ნეიტრალიტეტი აღიარებული იყო იქამდე, სანამდეც ამერიკას სჭირდებოდა. როცა შტატები მესამე მსოფლიო ომის პირისპირ აღმოჩნდა, სხვა გეგმა აამუშავა. ის, რაც დღეს ივანიშვილის წინააღმდეგ ხდება შვეიცარიის ბანკში, მაკ-კეინის გამოზრდილი ლეკვების ნამოქმედარია. უნდათ, ივანიშვილის დისკრედიტაცია მოახდინონ, შეაშინონ, რომ მისი მეშვეობით საქართველოს მთავრობაზე ზეწოლა მოახდინონ. ფაქტობრივად, ეუბნებიან, თუ არ გააკეთებ იმას, რასაც ჩვენ გიბრძანებთ, უკაპიკოდ დარჩებიო, ანუ აშანტაჟებენ. ამ ყველაფერს ცხადია, ერთადერთი მიზანი აქვს — თავზე დაგვასვან ნაციონალები და საქართველოში მეორე ფრონტი გახსნან!

**— რას ურჩევთ ბიძინა ივანიშვილს?**

— დარწმუნებული ვარ, მასაც კარგად ესმის, რა არჩევანის წინაშე დგას და როგორ უნდა მოიქცეს — თავის კაპიტალს არ უნდა გადააყოლოს ქვეყანა! თუ თავისი კაპიტალის შეზღუდვის გამო დათმობაზე წავა, ქვეყანა მოისპობა! **ბიძინა ივანიშვილი გამოსავალს აუცილებლად იპოვის, ოღონდ ეს იქნება დაბნელებების დერეფნის გავლის შემდეგ. ჩვენზე უკეთ იცის მან, რისი გაკეთება შეიძლება, მე, უბრალოდ, ვეტყვი, 19-20 მაისიდან დაიწყება მისთვის საინტერესო და წარმატებული ერთთვიანი პერიოდი, რომელიც მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად.** ეს პერიოდი წარმატებული იქნება მათ შორის მოლაპარაკებებისა და იურიდიული საკითხების მოგვარების კუთხით. ძალიან ბევრი რამ არის ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებებზე დამოკიდებული. მასზე თავდასხმით მტრებმა ერთ-ერთი უკანასკნელი შანსი გამოიყენეს და, იმედია, ამჯერადაც ჩაუვარდებათ კოვზი ნაცარში. სააკაშვილმა, რომლის დიდი იმედიც ჰქონდათ, ვერ ივაჟკაცა...

**— პირდაპირ გკითხავთ — რას ფიქრობთ ნაციონალების ლოზუნგზე — საქართველოს მესამე პრეზიდენტს „ქართული ოცნება“ კლავსო?!**

— სააკაშვილს პირად ჰოროსკოპში ციხეში სიკვდილი არ უწერია. ჩვეულებრივი ფსიქოლოგიური სტრესი აქვს. წარმოიდგინეთ, კაცი მთელი თავისი სიცოცხლე კომფორტში ცხოვრობდა, ჰქონდა საუკეთესო სახლები, ჰყავდა საუკეთესო მასაჟისტები, თავზე ეყარა ფული, ქალები, სულ დინამიკაში იყო, უცებ ციხეში აღმოჩნდა და ვერსად მიდის. ინტიმურად ვეღარ ერთობა, ვეღარ ჭამს იმას, რაც უნდა. ცხადია, საშინელი დისკომფორტი და ფსიქოლოგიური სტრესი ექნება, მაგრამ ვერავინ ვერაფერს იზამს. მთავრობა ქალებს ვერ მიუყვანს და ტაშ-ფანდურს ვერ გაუმართავს ციხეში. ვერც კერძო კლინიკაში გადაყვანა უშველის, რომც გაუმჯობესდეს მისი ფიზიკური მდგომარეობა, საკანში დაბრუნების შემდეგ მაინც იგივე მდგომარეობაში აღმოჩნდება. **ასე რომ, სხვა პატიმრებს მიჰბაძოს, რომლებსაც მასზე მეტად უჭირთ, მაგრამ ამხელა ამბავი არ აუტეხიათ.**

**— სააკაშვილი განსაკუთრებული პატიმარია და ქვეყნის სირცხვილია, ის ამ მდგომარეობაში რომ არისო...**

— სხვადასხვა ქვეყანაში უამრავი პრეზიდენტი იქნა დასჯილი კანონის დარღვევისთვის, მაგრამ ეს არათუ სირცხვილად მიაჩნიათ, პირიქით, ამით ამაყობენ. სირცხვილი ის იყო, რომ კანონიერ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ტყე-ტყე დასდევდნენ. სააკაშვილს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეებისთვის აქვს მისჯილი და სასჯელი ბოლომდე უნდა მოიხადოს! ისედაც მეტისმეტად ლმობიერად მოექცნენ. **ის სამუდამო პატიმრობას იმსახურებს!**

დღეს ეკრანიდან რომ მოთქვამს **გიული ალასანია,** სად იყო მაშინ, როცა მისი შვილი სხვის შვილებს კლავდა?! რატომ უნდა ვიაროთ იმ ქალის ჭკუაზე, რომელმაც მონსტრი გაზარდა?! **ნახევარი საქართველო თურქებზე გაყიდა და ახლა ისე წარმოაჩენს თავს, თითქოს ამ ქვეყნის პატრიოტია?!** იმდენი საზიზღრობა აქვს გაკეთებული, მასზე ცალკე სისხლის სამართლის საქმე უნდა აღიძრას ისევე, როგორც **სანდრა რულოვსზე,** რომელიც ადამიანების შინაგანი ორგანოებით ვაჭრობდა. ეს ხომ ყველასთვის ცნობილი ფაქტია?! უამრავი ადამიანია, ვინც ამას დაადასტურებს. სამწუხაროდ, დღეს კაციშვილი აღარ საუბრობს ამაზე და ყველაზე ამორალური ადამიანები აქეთ გვასწავლიან ჭკუას.

არასოდეს ვამბობ იმას, რაც თითიდან გამოწოვილია და რასაც ლოგიკური დასაბუთება არა აქვს. ამიტომაც არაერთხელ გამართლდა ჩემი სიტყვები. იმედია, ხელისუფლება ამჯერად არ დაუშვებს შეცდომას და სააკაშვილთან მიმართებაში დაუფიქრებელ ნაბიჯს არ გადადგამს.

**— პანდემიასთან დაკავშირებითაც ბევრმა შეიცვალა შეხედულება და თქვენს პოზიციას იზიარებს...**

**– გახსოვთ, რამდენი მლანძღეს იმის გამო, რომ ეპიდემიოლოგების სიმართლეში ეჭვი შევიტანე და ბილ გეითსისა და ილონ მასკის მამაძაღლობების გამოაშკარავება დავიწყე?! ამის გამო გადაცემაც კი დამიხურეს, თუმცა, აღმოჩნდა, რომ მართალი ვყოფილვარ. ხელისუფლებამაც კი შეიტანა ეჭვი ეპიდემიოლოგების კეთილსინდისიერებაში...**

ჯერ კიდევ **ბჟეზინსკი** საუბრობდა, რა უნდა გაეკეთებინა ამერიკას მსოფლიოს დასაპყრობად. პირველი ფაზა იყო **ბაქტერიოლოგიური ომი,** მეორე — **სამხედრო მოქმედება** და მესამე — **შიმშილი.** ხალხი იმ დონემდე უნდა მივიყვანოთ, რომ ყველაფერზე თანახმა იყოსო. ახლა სწორედ ამ ეტაპზე ვართ. **აი, ამ გეგმის განხორციელებაში იყვნენ ჩართული ჩვენი ეპიდემიოლოგები — გამყრელიძე, იმნაძე და მათზე აყოლილი ექიმები.** მსოფლიო მაფიას მოსყიდული ჰყავდა პრესა. ჯანმო და ბანკები ისედაც მათ ხელში იყო. იმის ნაცვლად, რომ ხალხისთვის იმუნიტეტი გაეძლიერებინათ, სუფთა ჰაერზე გასვლა აუკრძალეს, კუბოებზე ელაპარაკებოდნენ. ვინც ვაქცინის წინააღმდეგ გამოვიდა, სამსახურიდან გაათავისუფლეს. **ახლა ხომ მაინც დარწმუნდა ბევრი, რამხელა აფერა გათამაშდა და როგორ იხეირა ამით ბევრმა?! კიდევ კარგი, რომ ირაკლი ღარიბაშვილი დროზე გაერკვა ამ ყველაფერში.**

ექიმების ახალი საქმის დაწყებას მივესალმები, ორივე ხელით ვუჭერ მხარს ამ კამპანიას, მეტიც, მიმაჩნია, რომ ვისმა არასწორმა პოლიტიკამაც ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ფაუჩით დაწყებული, ჯანმოთი და ქართველი ეპიდემიოლოგებით დამთავრებული, ყველამ პასუხი უნდა აგოს! ოღონდ ეს დროში არ უნდა გაიწელოს და როგორც ქართულ ვარიანტში ხდება ხოლმე, არ უნდა ჩაიფარცხოს. **რამდენი დასასჯელი ადამიანის საქმეც ჩაიფარცხა, იმდენჯერ წააგო ქვეყანამ.**

**— გამოდის, ამ საქმის წინ წამოწევით დიდ გლობალურ ძალას დაუპირისპირდა ხელისუფლება?**

— **შვეიცარიის ბანკის დემარშის მიზეზი ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ ისიც არის, რომ ხელისუფლება ურჩობს, არ ხსნის საქართველოში მეორე ფრონტს და წინ წამოსწია ე.წ. ექიმების ახალი საქმე.** ეს მთლიანი ჯაჭვია, რომელიც ერთიან კონტექსტში უნდა განვიხილოთ. იმედია, ხელისუფლება ამ გამოწვევას გაუძლებს და არავის მისცემს ქართველი ხალხის სულში ხელების ფათურის უფლებას!

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***




# „ექიმთა ახალი საქმის დაწყებას მივესალმები!“

დასაწყისი იხ. „ა–დ" №20

***ცნობილი ჟურნალისტი მაყვალა ბერიანიძე საქართველოს უახლესი ისტორიის სისხლიან ქრონიკებს იხსენებს და იმ პოლიტიკურ მკვლელობებზე საუბრობს, რომლებმაც ქვეყნის ბნელი მომავალი განსაზღვრეს. ქალბატონი, რომელიც შევარდნაძეს პირისპირ ხშირად ხვდებოდა და უამრავ საჭირბოროტო თემაზე ესაუბრებოდა, აცხადებს, რომ პოლიტიკური მკვლელობები საქართველოში დაკავშირებულია სამ ცენტრალურ საკითხთან — ზვიად გამსახურდიას მკვლელობასთან, აფხაზეთის ჩაბარებასთან და პირველკაცობის ამბიციასთან:***

## ასე მითხრა შევარდნაძემ...

# რა მექნა, ის ტერაქტი რომ არა, პრეზიდენტი ვერ გავხდებოდი!






## მაყვალა ბერიანიძე:

# მიხეილ ოსაძე ზვიად გამსახურდიას მკვლელობას მიადგა და, ვფიქრობ, ამ საქმეს შეეწირა!

— **მიხეილ ოსაძემ,** როცა **კონსტანტინე გამსახურდიას** თავმჯდომარეობით შექმნილ საგამოძიებო კომისიაში მიიწვიეს, ზვიად გამსახურდიას საქმეზე მოსკოვში დაჰკითხა **იგორ გიორგაძეც** და რუსეთიდან ჩამოიტანა ძალიან მნიშვნელოვანი მასალები. არ ვიცი, არის თუ არა ამ კომისიის მასალებში იმ ქართველი გენერლების დაკითხვის ოქმები, რომლებიც აფხაზეთის ომში მონაწილეობდნენ, რადგან ამ მასალებს ძალიან ასაიდუმლოებდნენ და არავის გვაკარებდნენ.

**— ქალბატონო მაყვალა, მიხეილ ოსაძეს ზვიად გამსახურდიას საქმეზე შევარდნაძე არ დაუკითხავს, რატომ?**

— შევარდნაძე არცერთ საქმეზე და, მათ შორის, არც ზვიად გამსახურდიას მკვლელობაზე დაკითხული არ არის! **სხვათაშორის, შევარდნაძე დაკითხული არ არის არც 1995 წლის 29 აგვისტოს ტერაქტზე, რომელიც ვითომდა იგორ გიორგაძემ მოუწყო.** როცა ედუარდს ვკითხე — 29 აგვისტოს ტერაქტის საქმეზე დაკითხული თუ ხართ-მეთქი? მიპასუხა — არც მე ვარ დაკითხული და არც იგორ გიორგაძისთვის დამიდვია ბრალი რამეში! აბა, მაჩვენე, სად ვთქვი, რომ ტერაქტი იგორ გიორგაძემ მომიწყო. აცალეთ მაგ კაცს, ჩამოვა, სად წავა, ისევ „მოქალაქეთა კავშირში" არ შემოვა?! სხვათაშორის, 1995 წლის 29 აგვისტოს თემაზე შევარდნაძეს რომ ჩავეძიე, გაბრაზებულს წამოსცდა — **რა მექნა, ის ტერაქტი რომ არა, პრეზიდენტი ვერ გავხდებოდიო!**

**— ანუ შევარდნაძემ ირიბად აღიარა, რომ 1995 წლის 29 აგვისტოს ე.წ. ტერაქტი თავად მოიწყო?**

— ვფიქრობ, ეს სწორედ ირიბი აღიარება იყო! **შევარდნაძემ, ფაქტობრივად, ამით ის მითხრა, რომ 1995 წლის 29 აგვისტოს ტერაქტი სინამდვილეში ბლეფი და სპექტაკლი გახლდათ!** მოგვიანებით ეს საქმე კარგად გამოვჩხრიკე და აღმოვაჩინე, რომ ამერიკული სოციოლოგიური სამსახურების დასკვნით, რომლებსაც გამოკვლევების ჩატარება საქართველოში სულ ახალი დაწყებული ჰქონდათ, ედუარდ შევარდნაძის რეიტინგი 1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ 12,5 პროცენტს არ აღემატებოდა. **სწორედ 1995 წლის 29 აგვისტოს ტერაქტის შემდეგ ჩასვა შევარდნაძემ „მოქალაქეთა კავშირის" საპარლამენტო სიაში მიხეილ სააკაშვილი და ასე დაიწყო ბრძოლა ხელისუფლების გადასაცემად, რომელიც 2003 წლის ე.წ. ვარდების რევოლუციით წარმატებით დასრულდა.**

**— რა ვითარებაში დაიღუპა მიხეილ ოსაძე?**

— მიხეილ ოსაძე რომ კარგად იყო და თავის მეგობრებთან ერთად ლისის თუ კუს ტბაზე სისტემატურად ვარჯიშობდა, ყველამ იცის. მოულოდნელად ეს საღ-სალამათი კაცი მოხვდა საავადმყოფოში, სადაც სამი დღე-ღამის განმავლობაში იყო უგონოდ და მერე გარდაიცვალა!

**— მოწამლეს?**

— არ ვიცი, რა უქნეს, მაგრამ წინა ინტერვიუშიც გითხარით და **ეჭვი არ მეპარება, რომ მიხეილ ოსაძის სიცოცხლე იმ საპარლამენტო კომისიის მუშაობას შეეწირა, რომელიც ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების საქმეს იძიებდა.** კერძოდ, მიხეილ ოსაძე ზვიად გამსახურდიას მკვლელობას მიადგა! ვფიქრობ, მას ზვიად გამსახურდიას მკვლელობა გახსნილიც ჰქონდა და ყველაფერი იცოდა იმის შესახებ, თუ რა ვითარებაში მოკლეს საქართველოს პირველი პრეზიდენტი. დარწმუნებული ვარ, ამას გადააყოლეს. სხვათაშორის, მიხეილ ოსაძეს მაშინაც უპირებდნენ მოკვლას, როცა 1995 წელს „საქართველოს პარლამენტის მაღალი თანამდებობის პირთა ქმედების კანონიერების შემსწავლელი საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის" ხელმძღვანელად დაინიშნა და **შოთა კვირაიას** საქმეს უკირკიტებდა.

**— შოთა კვირაია უნდა გაეთავისუფლებინათ?**

— დიახ, კვირაია უნდა გაეთავისუფლებინათ, რადგან ბოლოს მისი თვით შევარდნაძესაც კი ეშინოდა! მახსოვს, შოთა კვირაიასთან ერთადერთხელ მქონდა სატელეფონო საუბარი... მასალა რომ გამოვაქვეყნე, დამემუქრა და შემომითვალა — გაგანადგურებო! როცა შევარდნაძეს ამის შესახებ ვუთხარი — კვირაია სიცოცხლის მოსპობით მემუქრება-მეთქი! ედუარდმა მიპასუხა — კვირაია შენ კი არა, მეც მემუქრებაო! **კვირაია მაშინ ხელშეუხებელი იყო და შევარდნაძეს მაგისი ეშინოდა...**

**— რატომ ეშინოდა?**

— ეშინოდა იმიტომ, რომ ედუარდმა შოთა კვირაიას ძალიან ბევრი ბინძური დავალება შეასრულებინა.

## „როცა შევარდნაძეს ამის შესახებ ვუთხარი – კვირაია სიცოცხლის მოსპობით მემუქრება-მეთქი! მიპასუხა – კვირაია შენ კი არა, მეც მემუქრებაო!"




## „შევარდნაძე გია გულუას შესახებ დუმდა, ხოლო გია ჭანტურიაზე მეუბნებოდა – რომ არ ეჩქარა და შეცდომები არ დაეშვა, საქართველოს პრეზიდენტი გახდებოდაო!"


გია ჭანტურია

**კვირაია რომ დათვრებოდა, ედუარდს წამოაძახებდა ხოლმე – შენ ესა და ეს რომ გამაკეთებინე, ის როგორ იყო?! აი, სწორედ ამისი ეშინოდა შევარდნაძეს.**

**როცა ედუარდმა კვირაიას მოხსნა დაუპირა, ამ საკითხის დამოუკიდებლად, ერთპიროვნულად გადაჭრა ვერ გაბედა და პრობლემის გადაწყვეტა ოსაძის კომისიას დაავალა.** როგორც კი ამის შესახებ შეიტყო, შოთამ თავისი ყოვლისშემძლე სამსახურები აამოქმედა და მიხეილ ოსაძის ფიზიკური განადგურება დაუპირა.

**— ეს როგორ?**

— როგორ და მიხეილ ოსაძე ტელეფონით უნდა მოეკლათ!

**— ტელეფონით როგორ უნდა მოეკლათ?**

— მიხეილ ოსაძეს კაბინეტში დაურეკავდნენ და ყურმილს აიღებდა თუ არა, მაშინვე აფეთქდებოდა! მოგეხსენებათ, მობილური ტელეფონები მაშინ ჯერ კიდევ არ იყო... ერთ მშვენიერ დღეს ერთმა პიროვნებამ, რომელიც შოთა კვირაიას გარემოცვაში ტრიალებდა და ბავშვობიდან მიცნობდა, რადგან მასზე დიდი ამაგი მქონდა, გამაჩერა და მკითხა — **ქალბატონო მაყვალა, ოსაძეს იცნობთ?** — არა, ოსაძეს არ ვიცნობ, მაგრამ მის მეუღლეს ვიცნობ, მეცნიერი ქალბატონია, რაშია საქმე, რა ხდება-მეთქი? — **მაგ ადამიანს დიდ პატივს ვცემ და თუ შეგიძლიათ, მიხეილ ოსაძე გააფრთხილეთ, რომ დღეს თავის კაბინეტში არ შევიდეს, თორემ მოკლავენო!** ამის მეტი არაფერი უთქვამს, გამომემშვიდობა და გაქრა... დავიბენი და საშინელ მდგომარეობაში ჩავვარდი... მეტი ვერაფერი მოვიფიქრე და პარლამენტის მარცხენა ფლიგელში, იქ, სადაც შესასვლელია, ლიფტებთან დავ-


გია გულუა

„გია გულუას შვილი თავადაც უნდა ინტერესდებოდეს იმის გარკვევით, მონაწილეობდა თუ არა მამამისი საქართველოს პირველი პრეზიდენტის მკვლელობის ორგანიზებაში!"

# „შოთა კვირაია შიდა საუბრებში ლაპარაკობდა: ოჰ, შევარდნაძე ძალიანაც ნუ ტრაბახობს, ეგ ხალხმა კი არა, შვიდეულმა ჩამოიყვანა მოსკოვიდან –

## ზურაბ წერეთელმა, ჯაბა იოსელიანმა, გურამ მგელაძემ, თენგიზ კიტოვანმა, თენგიზ სიგუამ, თემურ ხაჩიშვილმა და დავით სანიკიძემო!“




დექი. ამასობაში პარლამენტის სხდომაზე ზარი დაირეკა და შესვენება გამოცხადდა. დავინახე მიხეილ ოსაძე, რომელიც ლიფტისკენ მოდიოდა. ოსაძე ზომიერად მკაცრი კაცი იყო და რომ მომიახლოვდა, თავი ზრდილობიანად დამიკრა, რადგან, დიდი ალბათობით, იცოდა, რომ ჟურნალისტი ვიყავი და გაზეთებთან ვთანამშრომლობდი. — **ბატონო მიხეილ, ერთი წუთით, თუ შეიძლება-მეთქი!** — რა არის? მიუხედავად იმისა, რომ დიდ პატივს გცემთ, ინტერვიუს არ ვიძლევი! — მაშინვე მიპასუხა. — არ მინდა თქვენი ინტერვიუ, პარლამენტის ბუფეტში ყავაზე დამპატიჟეთ, რაღაც მაქვს სათქმელი-მეთქი! **ეტყობა, მიხეილ ოსაძე მიხვდა, რომ მართლა სერიოზული რაღაცის თქმას ვაპირებდი და მაშინვე ჩავედით ბუფეტში.** როგორც კი დავსხედით, ისევ მკითხა — რა ხდება? დაწვრილებით გადავეცი იმ ბიჭის დანაბარები და გავაფრთხილე — **თუ კაბინეტში შეხვალთ და ტელეფონის ყურმილს აიღებთ, მაშინვე აფეთქდებით, მოგკლავენ-მეთქი!** — კარგი! — მიპასუხა ოსაძემ. აი, სწორედ ამის შემდეგ იყო, რომ მიხეილ ოსაძემ იმ კომისიაში, ფაქტობრივად, აპარატის უფროსის თანამდებობაზე მიმიწვია. როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, იმ დღეებში, როცა ის ძველი ნაცნობი შემხვდა, რათა ოსაძე გამეფრთხილებინა, მიხეილ ოსაძე, თურმე, თავის კაბინეტში მართლა არ შედიოდა და კომისიის მუშაობასთან დაკავშირებული საქმეების მოსაგვარებლად სულ სხვადასხვა კაბინეტებიდან რეკავდა. **როგორც ჩანს, ინფორმაცია მოსალოდნელი ლიკვიდაციის შესახებ ოსაძესაც ჰქონდა და ამიტომაც ჩემი ნათქვამი დიდად არ გაჰკვირვებია.**

სხვათაშორის, მოგვიანებით მისმა მეგობრებმა მითხრეს — მიშა ოსაძე ისეთ ინფორმაციებს ფლობდა, მილიარდერი თუ არა, მილიონერი თავისუფლად შეიძლებოდა, გამხდარიყო, მაგრამ ერთი ძველი სამოთახიანი ბინის გარდა არაფერი დაუტოვებია, ჩვენი დასამარხი გახდაო! შემიძლია, დაგიდასტუროთ, რომ მისი მეუღლე სახლიდან რაღაცებს ყიდდა და ოსაძის გარდაცვალების შემდეგ თავს ასე ირჩენდა... სხვათაშორის, ე.წ. ვარდების რევოლუცია მოხდა თუ არა, კომისიიდან დამითხოვეს, კომისია საერთოდ დაშალეს და გააუქმეს... ჩემი მეუღლეც უსამსახუროდ დატოვეს, ხოლო ჩემი წიგნები დააპატიმრეს...

**— გიორგი ჭანტურიასა და გია გულუას მკვლელობის შესახებ შევარდნაძეს როცა ეკითხებოდით, რას გპასუხობდათ?**

— შევარდნაძე **გია გულუას** შესახებ დუმდა, ხოლო **გია ჭანტურიაზე** მეუბნებოდა — რომ არ ეჩქარა და შეცდომები არ დაეშვა, საქართველოს პრეზიდენტი გახდებოდაო!

აქ ერთი უმნიშვნელოვანესი და პრინციპული საკითხია გასარკვევი: მოგეხსენებათ, არსებობს სერიოზული ეჭვი და ინფორმაცია იმის შესახებ, რომ **გია გულუამ,** რომელიც პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას თავის რაზმთან ერთად სამეგრელოს ტყეებში ნამდვილად დევნიდა, პირადად მოახდინა მისი ლიკვიდაცია.

### თუ ეს მართალია, მაშინ საქართველოში რატომ არსებობს გია გულუას სახელობის ქუჩა, მოედანი და სპეცდანიშნულების რაზმი?

როგორც მეუბნებიან, გულუას დარჩა არაჩვეულებრივი შვილი, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროში ერთ-ერთ მნიშვნელოვან დეპარტამენტში მუშაობს და ამერიკული განათლება აქვს მიღებული. **გია გულუას შვილი თავადაც უნდა ინტერესდებოდეს იმის გარკვევით, მონაწილეობდა თუ არა მამამისი საქართველოს პირველი პრეზიდენტის მკვლელობის ორგანიზებაში!**

წინა ინტერვიუში გითხარით, რომ მიხეილ ოსაძემ და იგორ გიორგაძემ ზვიად გამსახურდიას სისხლში ხელები არ გაისვარეს და იმ სახლს, რომელშიც პირველი პრეზიდენტი აფარებდა თავს, ალყა მოხსნესმეთქი! ასე **ოსაძე** და **გიორგაძე** მოიქცნენ, თორემ იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც ხელები სისხლით აქვთ გაპოხილი. ამიტომ ეს ამბავი ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს და ყველაფერი გაირკვეს!

მაშინ ნუცუბიძის მეოთხე პლატოზე ვცხოვრობდი, როცა **1994 წლის 20 აპრილს** საშინელმა სროლის ხმამ მთელი უბანი გააღვიძა. მეხივით გავარდა ხმა — **საკუთარ სახლთან გია გულუა ჩაცხრილესო!** იქვე გერმანული სკოლა იყო და უამრავი ხალხი შეიყარა. ყველა აქეთ-იქით გარბოდა. კარგად მახსოვს, იმ საყოველთაო ისტერიისა და დაბნეულობის ფონზე, ერთმა ახალგაზრდა ბიჭმა, რომელიც იმ უბნელი აშკარად არ იყო, მკვლელობის ადგილიდან ისე თავისუფლად და აუჩქარებლად ჩამოიარა ქუჩა და ისე მშვიდად ჩაჯდა მანქანაში, რომელიც მძღოლთან ერთად კუთხეში უცდიდა, ყველამ მიაქცია ყურადღება. იმ ბიჭს ნიღაბი არ ეკეთა და, როგორც ჩანს, არც სჭირდებოდა, რადგან ასპროცენტიანი გარანტია ჰქონდა, რომ გულუას მკვლელობის გამო კაციშვილი არ შეეხებოდა. **მაშინ პატარა ბავშვი მყავდა და მომხდარს კარგად ვერ ვაცნობიერებდი, მაგრამ გია გულუას მალე მიაყოლეს გია ჭანტურია, სვანაძე, ვეფხვაძე, არსენა მიქელაძე...** აი, მაშინ კი ნამდვილად დავფიქრდი. დღევანდელი გადასახედიდან სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ ზემოხსენებული ადამიანების დახოცვა დაკავშირებულია ან ზვიად გამსახურდიას მკვლელობასთან, ან აფხაზეთის ჩაბარებასთან, ანდა პირველკაცობის ამბიციებთან და გაპრეზიდენტების სურვილთან! **როგორც კი გია გულუა მოკლეს, მაშინვე ითქვა, რომ გულუა მოკლა კვირაიამ...**

**— მერედა, რამდენად იყო შოთა კვირაია გარეული გულუას მკვლელობაში?**

— როგორც ვიცი, **შოთა კვირაია** გამუდმებით საუბრობდა შვიდეულის შესახებ, რომელმაც საქართველოში შევარდნაძე ჩამოიყვანა. როცა შევარდნაძეს პირადად ვკითხე — საქართველოში ვინ ჩამოგიყვანათ-მეთქი? გაბრაზდა და მიპასუხა — მე ხალხმა ჩამომიყვანა, რა მჭირდა ვინმეს ჩამოსაყვანიო?! — აბა, კვირაია რა შვიდეულზე ლაპარაკობს-მეთქი? ამაზე შევარდნაძემ მითხრა — ჩემ ჩამოსაყვანად ძალიან აქტიურობდა **ჯაბა,** წინააღმდეგი არ იყვნენ **თენგიზ სიგუა და თენგიზ კიტოვანი,** ჩემთან ჩამოდიოდნენ თბილისური ინტელიგენციის წარმომადგენლები, მათ შორის, ახალგაზრდა ფილოსოფოსი **ირაკლი ბათიაშვილი,** მაგრამ მე ხალხმა ჩამომიყვანაო! ცნობისათვის, შოთა კვირაია შიდა საუბრებში ლაპარაკობდა : ოჰ, შევარდნაძე ძალიანაც ნუ ტრაბახობს, ეგ ხალხმა კი არა, შვიდეულმა ჩამოიყვანა მოსკოვიდან — **ზურაბ წერეთელმა, ჯაბა იოსელიანმა, გურამ მგელაძემ, თენგიზ კიტოვანმა, თენგიზ სიგუამ, თემურ ხაჩიშვილმა და დავით სანიკიძემო!** სხვათაშორის, ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს **შოთა კვირაია** საქართველოს ერთ-ერთ რაიონში პოლიციის უფროსად მუშაობდა, მაგრამ ზვიადი რომ დაამხეს, საქართველოდან გაქრა. ეტყობა, რაღაც დავალების შესასრულებლად გაიწვია ცენტრმა და მერე ისევ უკან დააბრუნა. როცა **თემურ ხაჩიშვილი** დაიჭირეს, მიხეილ ოსაძემ კომისიის წევრები შეგვკრიბა, პარლამენტიდან ერთი ვიდეოოპერატორი წამოიყვანა და ხაჩიშვილი კამერაში დაჰკითხა. ეს ყველაფერი ვიდეოფირზეა აღბეჭდილი. **თემურ ხაჩიშვილმა მაშინ ჩვენება მოგვცა:** ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალმა, არმიის გენერალმა **ფიოდორ რეუტმა** მითხრა —

### შოთა კვირაია ერთხელ მთვრალი ამოვიდა ჩემთან და ტირილით შემომჩივლა: შევარდნაძემ გია ჭანტურია მომაკვლევინა, უამრავი სიბინძურე გამაკეთებინა და ვატყობ, უკვე ჩემი მოშორებაც უნდა, ალბათ, მალე მომკლავსო!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***


წერეთელი, იოსელიანი, მგელაძე, კიტოვანი, სიგუა, ხაჩიშვილი





გია სვანაძე, ზაზა ვეფხვაძე

### ,,გია გულუას მალე მიაყოლეს გია ჭანტურია, სვანაძე, ვეფხვაძე, არსენა მიქელაძე... აი, მაშინ კი ნამდვილად დავფიქრდი!“


არსენა მიქელაძე

***საკაშვილის რეჟიმისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის ყოფილი საოლქო პროკურორის, ავადსახსენებელი როლანდ ახალაიას მიერ რეპრესირებული ბიზნესმენი, სააქციო საზოგადოება „ზუგდიდვაჭრობის“ თავმჯდომარე თამაზ წულაია აცხადებს, რომ მეათე წელია, სამართლიანობის მისაღწევად უშედეგოდ იბრძვის. იგი საქართველოს ხელისუფლებისაგან კანონიერების აღდგენასა და ნაცრეჟიმის დროს წართმეული ქონების დაბრუნებას ითხოვს:***



**„კანონმორჩილ ადამიანებს ნუ მიგვიყვანენ იმ ზომამდე, რომ სამართლიანობის აღდგენა ჩვენივე ძალებით ვცადოთ, თორემ შეიძლება, ამას უბედურება მოჰყვეს!“**




# თამაზ წულაია:

# მივმართავ საქართველოს გენპროკურატურას – აღადგინეთ კანონიერება და 139 ადამიანს დაგვიბრუნეთ წართმეული ქონება!




— 1964 წლიდან ვმუშაობდი სახაზინო საწარმო **„ზუგდიდვაჭრობის“** სისტემაში, რომელიც 1997 წელს სააქციო საზოგადოებად გადაკეთდა და სახელმწიფოსაგან გამოისყიდა თავის ბალანსზე არსებული სხვადასხვა სახის ქონება, მათ შორის, **უნივერმაღ „ენგურის“ სამსართულიანი შენობა,** რომელიც ქალაქის ცენტრში მდებარეობს. წლების განმავლობაში სწორედ უნივერმაღ „ენგურის“ დირექტორი გახლდით, გავარემონტე, მოვაწესრიგე და ვპატრონობდი ობიექტს, რომლის ფართიც 1650 კვადრატული მეტრია, ხოლო მისი საბაზრო ღირებულება 2006 წლისათვის, როცა **როლანდ ახალაიას** ნება-სურვილით ციხეში გამომკეტეს, 3 მილიონამდე ამერიკულ დოლარს შეადგენდა.

**— კონკრეტულად რისთვის დაგაპატიმრეს და რატომ სურდა თქვენი ციხეში გამოკეტვა სამეგრელო-ზემო სვანეთის იმჟამინდელ საოლქო პროკურორს, რეგიონის ფაქტობრივ ბატონ-პატრონს როლანდ ახალაიას?**

— დამაპატიმრეს იმის გამო, რომ ჩემი რძლის დის ყოფილ ქმარს ყოფილი ცოლის მოკვლაში შევუშალე ხელი. ის კაცი ცოლზე ძალადობის ბრალდებით ციხეში იჯდა, მაგრამ გონს მაინც ვერ მოეგო და თავდებით გამოშვების შემდეგ ყოფილი მეუღლის მოკვლა სცადა, თანაც, ჩემი სახლის წინ. იძულებული გავხდი, ჩემს სახელზე შენახვის უფლებით რეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღიდან მოძალადე ფეხში დამეჭრა, რის გამოც ერთი თვის შემდეგ დამიჭირეს. მიუხედავად იმისა, რომ ჩემ მიერ ჩადენილი ქმედება ჯარიმასაც ითვალისწინებდა, **როლანდ ახალაიას** მითითებით, 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მომისაჯეს, რადგან იგი უნივერმაღ „ენგურის“ შენობის ხელში ჩაგდებით გახლდათ დაინტერესებული. მოსამართლე მზად იყო, საპროცესო გარიგებით გავეთავისუფლებინე, მაგრამ ახალაიამ „დაამუშავა“ და აიძულა, ციხეში გავეშვი.

სანამ პატიმრობას მომისჯიდნენ, **ახალაიამ** ციხეში თავისი თანამშრომელი შემომიგზავნა და შემომთავაზა, რომ, **თუ უნივერმაღ „ენგურის“ შენობას დავთმობდი, გამათავისუფლებდა, მაგრამ ამ უკანონო გარიგებაზე არ წავედი.** ამის შემდეგ ჩემი ორივე ვაჟი აბსურდული, შეთითხნილი ბრალდებებით ციხეში ჩასვეს.

**— მაინც რა ბრალდებებით დააპატიმრეს თქვენი შვილები?**

— ჩემს უფროს ვაჟს **ზაზა წულაიას** პატრულისადმი დაუმორჩილებლობის, ანუ ავტომობილის არგაჩერების გამო 10-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდეს, ხოლო, როცა ჩემმა უმცროსმა ვაჟმა **თაზო წულაიამ** წინასწარი დაკავების იზოლატორში ძმას ტანსაცმელი შეუგზავნა, ბრალდება მასაც შეუთითხნეს — ტანსაცმლის შემოწმების შედეგად აღმოვაჩინეთ კვალი, რომ მის გარეცხვამდე ჯიბეში მარიხუანა იდოო და ამის გამო 9-თვიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

ორი პოლიციელი, რომლებმაც **ზაზა წულაიას** ძმის მიერ მიტანილი ტანსაცმელი შეუტანეს, სამსახურიდან გაათავისუფლეს, მაგრამ შემდეგ, მათი სამსახურში აღდგენის მიზნით, ჩემს შვილს ახალი ბრალი გამოუგონეს და 10-დღიანი პატიმრობა 3 თვემდე გაუზარდეს, ხოლო სასამართლო პროცესზე მოსამართლესთან შეკამათების გამო კიდევ 6 თვე დაუმატეს. ეს ყველაფერი **როლანდ ახალაიას** მითითებით ხდებოდა, რათა ჩემს შვილებს ჩემი სიმართლის დასამტკიცებლად ბრძოლის საშუალება აღარ ჰქონოდათ.

შემდეგ ქუთაისის სასამართლომ ზუგდიდის სასამართლოს მიერ შეფარდებული სასჯელი 2 წლით შემიმცირა და ციხეში 2 წელი და 6 თვე გავატარე.

**— საბოლოო ჯამში, როლანდ ახალაიამ უნივერმაღის შენობის ხელში ჩაგდება მოახერხა?**

— ჩემი დაპატიმრების შემდეგ უნივერმაღ „ენგურის“ შენობა ხელში ჩაიგდეს ნაციონალურ მოძრაობასთან დაახლოებულმა ბიზნესმენმა **დავით როგავამ** და მისმა ცოლმა **ხათუნა კაკაჩიამ,** რომელთა უკანაც **როლანდ ახალაია** იდგა და უკანონობის ჩადენაში ყველანაირად უწყობდა ხელს. კერძოდ, ჩემი ციხეში ყოფნის დროს **დავით როგავამ,** რომელსაც საქართველოში ტოტალიზატორების ქსელი ჰქონდა და მილიონები სწორედ უამრავი ადამიანის, განსაკუთრებით კი, ახალგაზრდების გამაუბედურებელი აზარტული თამაშების ბიზნესით იშოვა, კავშირი დაამყარა რუსეთში მცხოვრებ ე.წ. კანონიერ ქურდ **კაკა ალშიბაიასთან** და სთხოვა, რომ დედამისი **მერი ყურაშვილი-ალშიბაია,** რომელსაც სააქციო საზოგადოების წევრებმა ნდობა გამოვუცხადეთ და „ზუგდიდვაჭრობის“ დირექტორად დავნიშნეთ, აქციების გაყიდვაზე დაეყოლიებინა. როგავას „ზუგდიდვაჭრობის“ აქციების ყიდვა იმ მიზნით აინტერესებდა, რომ ხელში ჩაეგდო სააქციო საზოგადოების ყველაზე ღირებული ქონება — **ქალაქის ცენტრში მდებარე უნივერმაღ „ენგურის“ 3-სართულიანი შენობა.**

ე.წ. კანონიერმა ქურდმა **დავით როგავას** საქმე მოუგვარა: სააქციო საზოგადოება „ზუგდიდვაჭრობის“ დირექტორმა **მერი ყურაშვილ-ალშიბაიამ** და თავმჯდომარე **გულნარა ჯინჯოლავამ** რამდენიმე აქციონერი დაარწმუნეს, რომ თავიანთი წილები როგავასათვის მიეყიდათ, თუმცა, შემდეგ ისინიც მოატყუეს და იმაზე ნაკლები თანხა გადაუხადეს, ვიდრე როგავასაგან აქციების სანაცვლოდ აიღეს. უფრო კონკრეტულად, **მერი ყურაშვილ-ალშიბაიამ** და **გულნარა ჯინჯოლავამ** 10 აქციონერის თანხმობით ისე, რომ ჩემთვის — აქციების 17 პროცენტის მფლობელისა და დანარჩენი 138 აქციონერისათვის არაფერი უკითხავთ, „ზუგდიდვაჭრობის“ აქციების 65,8 პროცენტი 500 000 ლარად მიჰყიდეს როგავას იურისტებს — **თამაზ ქანთარიასა** და **თორნიკე ცხადაიას.**

**— აღნიშნულ პირებს მხოლოდ აქციები მიჰყიდეს თუ უნივერმაღ „ენგურის“ შენობაც?**

— **როგავა**ს წარმომადგენლებმა — **ქანთარიამ** და **ცხადაიამ** მოითხოვეს, რომ მათ მიერ შესყიდული აქციების სა-



**„უნივერმაღ „ენგურის“ შენობა როლანდ ახალაიამ დაუქვემდებარა თავდაცვის სამინისტროს, რომელსაც მისი შვილი ბაჩო ახალაია ხელმძღვანელობდა. შენობის მესამე სართულზე ვითომ ძალოვანი უწყების თანამშრომელთა სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი გახსნეს, სინამდვილეში კი მეგის ქარდავა, კოხტა კოდუა და ნაცჯალათების ბანდა მას ადამიანების საწამებელ და გასაუპატიურებელ ბუნაგად იყენებდნენ!“**

## კვირგვინოსნები

**ზურაბ ქადაგიძე**
*ანალიტიკოსი*



**ბიძინა ივანიშვილი** ახორციელებს **უნიკალურ პროექტს,** რომლის მიზანი გადაშენების პირას მყოფი კოლხური ხოხბების გადარჩენა, გამრავლება და ბუნებაში დაბრუნებაა. **ომის და ღალატის პარტიის** მთავარ მიზნად კვლავ რჩება **შენების — ნგრევად, ხოლო სიკეთის ბოროტებად წარმოჩინება.** გვარამიას კანტორას და მის ბოროტ ჯალათებს მინდა, ვკითხო — **უპირობო სიკეთეს და ქველმოქმედებას რომ ბოროტებას არქმევთ და უმოწყალოდ იტყუებით,** ღამე სახლში რომ მიდიხართ, საკუთარ თავთან რომ რჩებით მარტო, მაშინაც არ გრცხვენიათ, ამ მარაზმში რომ მონაწილეობთ?

„საქართველოს რესპუბლიკა“

**იოსებ არჩვაძე**
*ეკონომიკის ექსპერტი*



საქართველოს ტერიტორიაზე შემოსულ **უცხო ქვეყნის მოქალაქეებს თავიანთი ცხოვრების წესი, სუბკულტურა შემოაქვთ** და თუ მას ადგილზე არ ხვდება ძალიან მძლავრი ქვაბი, რომელიც გადახარშავს ამას, **შესაძლოა, ძალიან მნიშვნელოვანი ეთნიკური და პერსპექტივაში რასობრივი მრავალფეროვნების წინაშე დავდგეთ.**

„თბილისელები“

**კაკაბ მანჯგალაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ წევრი, პარლამენტარი*



**„ქართული ოცნების“ პატრიოტიზმი იწყება ბანკომატთან** — შთაბეჭდილება მრჩება, რომ **ცოტაც და თუ ბიძინას ფულს არ მისცემენ, პუტინის მხარდამხარ დაიწყებენ ბრძოლას** „დასავლელი იმპერიალისტების“ წინააღმდეგ.

„ინტერპრესნიუსი“

**გია ვოლსკი**
*პარლამენტარი*



თუკი ჩატარდება შეკრება იმისათვის, რათა **ივანიშვილი** კი არა, **სიმართლე, სამართლიანობა დავიცვათ,** რასაკვირველია, მეც იქ ვიდგები.

„ინტერპრესნიუსი“

# „2012 წელს ბატონ ბიძინა ივანიშვილს დამნაშავეთა რეჟიმი იმიტომ არ შეუცვლია, რომ ქვეყანაში კვლავ უკანონობა და უსამართლობა ყოფილიყო!“



**„მინდა, მივმართო პრემიერ-მინისტრს, რომელსაც დიდ პატივს ვცემ და რომლის სამართლიანობისაც მწამს: *ბატონო ირაკლი, გთხოვთ, პირად კონტროლზე აიყვანოთ სააქციო საზოგადოება „ზუგდიდვაჭრობის“ 139 აქციონერის კანონიერი მოთხოვნის დაკმაყოფილების საკითხი!*“**

ნაცვლოდ უნივერმაღ „ენგურის“ შენობა გადასცემოდათ, რაზეც თანხმობა მიიღეს **მერი ყურაშვილ-ალშიბაიასა** და **გულნარა ჯინჯოლავასაგან,** მაგრამ მათ ამის უფლება არ გააჩნდათ, რადგან თავიანთი აქციები უკვე გაყიდული ჰქონდათ. კიდევ უფრო დიდი აბსურდიც მოხდა — **ჭანთარიამ** და **ცხადაიამ** თანხმობა განაცხადეს თავიანთსავე მოთხოვნაზე, რომ აქციების სანაცვლოდ უნივერმაღის შენობა მიეღოთ. სადმე გაგიგიათ, რომ მთხოვნელი თავადვე აცხადებდეს თანხმობას საკუთარი თხოვნის დაკმაყოფილებაზე? ერთი სიტყვით, შედგენილი იქნა ყალბი ოქმი, თითქოს 12 აქციონერისა და ნოტარიუსის მონაწილეობით ჩატარდა სააქციო საზოგადოების კრება, რომელმაც გადაწყვიტა, რომ „ზუგდიდვაჭრობის“ ბალანსზე არსებული უნივერმაღ „ენგურის“ შენობა **შპს „დ ვორდისა“** და **თორნიკე ცხადაიას** მფლობელობაში გადასულიყო, რის შემდეგაც მათ აქციონერთა რიგები დატოვეს. შპს „დ ვორდის“ 100-პროცენტიანი წილის მფლობელი **დავით როგავას** ოჯახი, კერძოდ, მისი მეუღლე **ხათუნა კაკაჩია** გახლავთ.

„ზუგდიდვაჭრობის“ აქციონერებმა **როგავას** აქციები იმ პირობით გადასცეს, რომ იგი სააქციო საზოგადოების აღორძინებაში ფულს ჩადებდა, ყველა აქციონერს დაასაქმებდა და შემოსავალს გაუჩენდა, მაგრამ როგორც კი აქციები და უნივერმაღის შენობა ხელში ჩაიგდო, ყველა მოატყუა და მშრალზე დატოვა.

**— ჩემთვის ცნობილია ბიზნესმენ დავით როგავას ინტერვიუ, რომელშიც იგი აცხადებს, რომ უნივერმაღ „ენგურის“ შენობა კანონის სრული დაცვით შეიძინა. თქვენ რის საფუძველზე ამტკიცებთ, რომ ქონების შესყიდვა უკანონოდ, დოკუმენტების გაყალბების გზით მოხდა?**

— **როგავა** მთელი თავისი ოჯახით სააკაშვილისა და ნაციონალური მოძრაობის თავგადაკლული მხარდამჭერი იყო. ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში იმასაც ამბობს —დედაჩემს სახლში კედელზე სამი კაცის სურათი უკიდია — ჩემი, ჩემი ძმის და შუაში — **მიხეილ სააკაშვილისო!** „ზუგდიდვაჭრობის“ აქციონერთა კრება, რომელმაც უნივერმაღ „ენგურის“ შენობა **როგავას** კომპანიას გადასცა, რეალურად რომ არ შემდგარა და ნოტარიუსმა **მადონა სახოკიამ** არარსებული კრების ოქმი დაამოწმა, ეს გამოძიებით არის დამტკიცებული. უკანონობის ჩადენისათვის პასუხისგებაში მისცეს სააქციო საზოგადოება „ზუგდიდვაჭრობის“ თავმჯდომარე **გულნარა ჯინჯოლავა,** რომელსაც 14 წელი მიუსაჯეს, ნოტარიუსი **მადონა სახოკია,** რომელსაც პირობითი სასჯელი აკმარეს და ნოტარიუსობა აუკრძალეს, ხოლო დავით როგავას წარმომადგენლებს — **თამაზ ჭანთარიასა** და **თორნიკე ცხადაიას** 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა დაუსწრებლად შეუფარდეს, რადგან მათ საქართველოდან გაქცევა მოასწრეს. ქვეყნიდან გაიქცნენ **დავით როგავა** და მისი მეუღლე **ხათუნა კაკაჩიაც.**

**— კი მაგრამ, თუ ამ ადამიანების უკან როლანდ ახალაია იდგა და, როგორც თქვენ ამბობთ, ქონების უკანონოდ დაუფლებაში ეხმარებოდა, გასაქცევად რატომ გაუხდათ საქმე?**

— საქმე ის არის, რომ უნივერმაღ „ენგურის“ ხელში ჩაგდების შემდეგ **როგავამ ახალაია „გადააგდო“ და დაპირებული წილი არ მისცა,** რასაც სამეგრელოს ფაშად მჯდარი როლანდი, ბუნებრივია, არ მოითმენდა. შესაბამისად, პროკურატურამ საქმე აღძრა და დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემაც არ გასჭირვებია, რადგან ყველანაირი მტკიცებულება ხელთ ჰქონდა. აკი, **ახალაია როგავას თავად უწყობდა ხელს უნივერმაღის შენობის ხელში ჩაგდებაში და ისიც კარგად იცოდა, თუ რა დანაშაულებრივი სქემით მოქმედებდა იგი.**

როცა პატიმრობაში ვიყავი, **როგავას** წარმომადგენლებმა ჩემს ოჯახს 90 000 დოლარი შესთავაზეს იმ 17-პროცენტიანი წილის სანაცვლოდ, რომელიც სააქციო საზოგადოება „ზუგდიდვაჭრობაში“ გამაჩნია, მაგრამ ოჯახის წევრებს შევუთვალე, ფულისთვის ხელი არ ეხლოთ, **როგავას** კი შევთავაზე — შემოდი ჩემთან ციხეში, მოვილაპარაკოთ და პატიმრობიდან რომ გავთავისუფლდები, საერთო ენას მოვძებნით-მეთქი. თუმცა, იგი ამაზე არ წამოვიდა, სანამ ციხეში ვიყავი, მანამდე უნდოდა ყველაფრის მოკვარახჭინება, რადგან იცოდა, რომ ციხიდან გამოსვლის შემდეგ მის მიერ შემოთავაზებულ მიზერულ თანხას არ დავჯერდებოდი და მთლიანად მოვითხოვდი იმას, რაც კანონით მერგებოდა.

ისიც უნდა აღვნიშნო, რომ კანონით პატიმრობიდან პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლება — ე.წ. უდო მეკუთვნოდა, მაგრამ, **როლანდ ახალაიას** ბრძანებით, სასჯელი ბოლომდე მომახდევინეს. მას არ აწყობდა, ციხიდან მანამდე გამოვსულიყავი, სანამ **როგავა** უნივერმაღის ხელში ჩაგდების საქმეს ბოლომდე არ მიიყვანდა.

**— რა მოხდა მას შემდეგ, რაც როგავა და მისი მეუღლე საქართველოდან გაიქცნენ, უნივერმაღის შენობის გასხვისებაში მონაწილე პირები კი პასუხისგებაში მისცეს?**

— უნივერმაღ „ენგურის“ შენობა **როლანდ ახალაიამ** დაუქვემდებარა თავდაცვის სამინისტროს, რომელსაც მისი შვილი **ბაჩო ახალაია** ხელმძღვანელობდა. შენობის მესამე სართულზე ვითომ ძალოვანი უწყების თანამშრომელთა სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი გახსნეს, სინამდვილეში კი **მეზის ქარდავა, კოხტა კოდუა** და ნაცხალათების ბანდა მას ადამიანების საწამებელ და გასაუპატიურებელ ბუნაგად იყენებდნენ. მთელმა ზუგდიდმა იცის, რა უბედურებაც ტრიალებდა უნივერმაღ „ენგურის“ მესამე სართულზე ნაცების დროს.

**— დღეს ვის საკუთრებაშია უნივერმაღ „ენგურის“ შენობა და რა ხდება შიგნით?**

— 2012 წელს, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, გაქცეული **როგავა** საქართველოში დაბრუნდა, პროკურატურაში საჩივარი შეიტანა და 2016 წელს უნივერმაღ „ენგურის“ შენობა დაიბრუნა, ხოლო მე და ჩემთან ერთად 138 აქციონერი, რომელთა საერთო წილიც „ზუგდიდვაჭრობაში“ 35 პროცენტს შეადგენს, დღემდე ამაოდ ვცდილობთ სამართლიანობის აღდგენასა და უკანონოდ წართმეული ქონების დაბრუნებას.

2018 წელს დავით როგავას ცოლმა **ხათუნა კაკაჩიამ** თავის მშობლებთან — **საშა კაკაჩიასა** და **დოდო ქარჩავასთან** ერთად უნივერმაღ „ენგურის“ შენობაში არსებული 14 კვადრატული მეტრი ფართიდან, რომელიც მის მფლობელობაში არ შედიოდა, შანტაჟისა და მუქარის გზით მოუნდომა გაძევება „ზუგდიდვაჭრობის“ აქციონერების 5 პროცენტის მფლობელს, ხანდაზმულ, ღვაწლმოსილ ქალბატონს **ტონია ჩხოლარიას** და დამსახურებულ პედაგოგ **ლუღუნი მოსიას,** რომელსაც შენობაში არენდით ჰქონდა აღებული მომცრო ფართი. **ტონია ჩხოლარია და ლუღუნი მოსია ხათუნა კაკაჩიას** უკანონო მოთხოვნას არ დაემორჩილნენ, რის გამოც ამ უკანასკნელმა პოლიცია გამოიძახა, თუმცა, სამართალდამცავებმა, კანონიერი საფუძვლის არარსებობის გამო, **ჩხოლარიასა** და **მოსიას** შენობიდან გაყვანაზე უარი თქვეს და **კაკაჩიას** ურჩიეს, სასამართლოსათვის მიემართა. პირადად მე ინციდენტის ადგილზე ოთხი საათის შემდეგ მივედი და **კაკაჩიასა** და მის მშობლებს, რომლებიც არ ცხრებოდნენ, სიმშვიდისა და თავშეკავებისკენ მოვუწოდე — ყველაფერი სასამართლოში გავარკვიოთ-მეთქი! მიუხედავად ამისა, **კაკაჩიასა** და მის მშობლებს იმავე საღამოს ზუგდიდის პროკურატურაში საჩივარი შეუტანიათ ჩემი და **ლუღუნი მოსიას** წინააღმდეგ, თითქოს მათ სიცოცხლეს მოსპობით დავემუქრეთ. საქმე სასამართლომდე მივიდა, სადაც არაერთმა მოწმემ დაადასტურა, რომ ჩვენი მხრიდან არავითარ მუქარას არ ჰქონია ადგილი, მაგრამ მოსამართლემ მაინც გაგვამტყუნა და ფულადი ჯარიმის გადახდა დაგვაკისრა, მე — 1500 ლარის, ხოლო ღვაწლმოსილ პედაგოგს, პენსიონერ **ლუღუნი მოსიას** 500 ლარის ოდენობით.

დღეს უნივერმაღ „ენგურის“ შენობის პირველი სართული **როგავას** ოჯახს ტოტალიზატორსა და კაზინოზე აქვს გაქირავებული თვეში 10 000 დოლარად, „ზუგდიდვაჭრობის“ 138 აქციონერს კი, რომელიც **როგავამ** ხახამშრალი დატოვა, პურის ფული უჭირს. აღსანიშნავია, რომ **ზუგდიდის ცენტრში, უნივერმაღ „ენგურის“ შენობაში კაზინოსა და ტოტალიზატორის ფუნქციონირება ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილის უკმაყოფილებას იწვევს,** რადგან შენობის მოპირდაპირე მხარეს, სულ რამდენიმე მეტრში, ღვთისმშობლის დიდი ფრესკაა აღმართული. მოსახლეობის ნაწილი აღშფოთებულია იმის გამოც, რომ ტოტალიზატორსა და კაზინოს შენობის უკანა ეზოში განთავსებული აქვს დენის ალტერნატიული წყარო — ორი უზარმაზარი გენერატორი, რომლის ხმაური და გამოსხივებაც იქვე მცხოვრებ ოჯახებს სიცოცხლეს უმწარებს. ამ ყველაფრის გამო ადგილობრივები უახლოეს პერიოდში დიდი აქციის გამართვას აპირებენ, რომელსაც „ზუგდიდვაჭრობის“ აქციონერებიც შევუერთდებით ჩვენს ოჯახებთან და ახლობელ-მეგობრებთან ერთად.

**— საბოლოო ჯამში, რა არის თქვენი და „ზუგდიდვაჭრობის“ კიდევ 138 აქციონერის კონკრეტული მოთხოვნა?**

— ჩვენ — 139 აქციონერი — ვითხოვთ მხოლოდ იმას, რაც კანონით გვეკუთვნის — 35-პროცენტიან წილს უნივერმაღ „ენგურის“ შენობაში!

მივმართავ საქართველოს გენერალურ პროკურატურას: **აღადგინეთ კანონიერება და 139 ადამიანს დაგვიბრუნეთ წართმეული ქონება!** ასევე დაინტერესდით ზუგდიდის რაიონული პროკურორის **როლანდ ახალაიას** კადრისა და **მეზის ქარდავას** ძმაკაცის **ლევან სალიას** საქმიანობით, რომელსაც მე, **თამაზ წულაია,** თაღლითების მფარველობასა და პატიოსანი ადამიანების დაჩაგვრაში ვადანაშაულებ!

2012 წელს ბატონ **ბიძინა ივანიშვილს** — ამ მართლაც დიდ ერისკაცს — დამნაშავეთა რეჟიმი იმიტომ არ შეუცვლია, რომ ქვეყანაში კვლავ უკანონობა და უსამართლობა ყოფილიყო!

საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ **ირაკლი ღარიბაშვილს** ორჯერ მივმართე წერილით ჩვენს პრობლემასთან დაკავშირებით, მაგრამ პასუხი არ მიგვიღია. ვფიქრობ, 139 აქციონერის განცხადებამ პირადად პრემიერამდე ვერ მიაღწია, თორემ, დარწმუნებული ვარ, გულთან მიიტანდა და უყურადღებოდ არ დაგვტოვებდა! ამიტომაც, ახლა მინდა, საჯაროდ მივმართო პრემიერ-მინისტრს, რომელსაც დიდ პატივს ვცემ და რომლის სამართლიანობისაც მწამს: **ბატონო ირაკლი, გთხოვთ, პირად კონტროლზე აიყვანოთ სააქციო საზოგადოება „ზუგდიდვაჭრობის“ 139 აქციონერის კანონიერი მოთხოვნის დაკმაყოფილების საკითხი!** მჯერა, რომ მხოლოდ თქვენი უშუალო ჩარევის შემთხვევაში ვეღირსებით სამართლიანობის აღდგენას, თორემ უკვე მეათე წელია, პროკურატურისაგან ერთსა და იმავე მშრალ, არაფრის მთქმელ პასუხს ვიღებთ — **„მიმდინარეობს გამოძიება“,** თუმცა, რეალურად, გამოძიება არც უწარმოებიათ და 139 დაზარალებულიდან ერთიც არ დაუკითხავთ, არადა, ჩვენი სიმართლის დამადასტურებელი ყველანაირი საბუთი ხელში გვიჭირავს.

უნივერმაღ „ენგურის“ შენობისა და სხვა წართმეული თუ გაყიდული ქონების გარდა, სააქციო საზოგადოების ბალანსზე იყო ზუგდიდის აგრარული ბაზრის ტერიტორიაზე 304 კვადრატული მეტრი კომერციული ფართი; ასევე ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, რუსთაველის ქუჩაზე, მდებარე ორი კომერციული ფართი, რომელთა საერთო მოცულობაც 74 კვადრატულ მეტრს შეადგენს. ეს ფართები დღემდე სახელმწიფოს საკუთრებაშია, უფუნქციოდ არის მიგდებული და სააქციო საზოგადოების წევრებს უფლებას არ გვაძლევენ, მათით ვისარგებლოთ, არადა, მათი ამუშავებით მარტო ჩვენ კი არა, სახელმწიფო ბიუჯეტიც იხეირებს.

139 აქციონერის სახელით ორი თვის წინათ წერილი მივწერე და დოკუმენტები გავუგზავნე „ქართული ოცნების“ თავმჯდომარეს, ბატონ **ირაკლი კობახიძეს,** ასევე პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ **შალვა პაპუაშვილს,** მაგრამ ჯერჯერობით პასუხი არ მიმიღია. მჯერა, რომ ისინი გულისხმიერად მოეკიდებიან ჩვენს გასაჭირს და სამართლიანობის აღსადგენად ძალისხმევას არ დაიშურებენ.

ჩვენი პრობლემის შესახებ წერილი მივწერეთ ტელეკომპანია „იმედის“ საინფორმაციო სამსახურის უფროსს **ირაკლი ჩიხლაძესაც,** რომელმაც დახმარება აღგვითქვა და იმედი გვაქვს, ამ საკითხს ობიექტურად გააშუქებს. მზად ვარ, საჯარო დებატი გავმართო პირადად **დავით როგავასთან,** თუ მას ამის არ შეეშინდება და ეყოფა ვაჟკაცობა, ჩემს სამართლიან და კანონიერ კითხვებსა და მოთხოვნებს პასუხი გასცეს!

კიდევ ერთხელ მივმართავ სახელმწიფოს წარმომადგენლებს — **კანონმორჩილ ადამიანებს ნუ მიგვიყვანენ იმ ზომამდე, რომ სამართლიანობის აღდგენა ჩვენივე ძალებით ვცადოთ, თორემ შეიძლება, ამას უბედურება მოჰყვეს!**

## P.S.

**ნაციონალური მოძრაობის რეჟიმის მიერ დაზარალებული ბიზნესმენი თამაზ წულაია სამართლიანობის აღდგენას კიდევ ერთ საქმეზე ითხოვს:**

— 2002 წლიდან ანაკლიაში, ზღვის პირას, ყველაზე პრესტიჟულ ადგილზე, კერძო პირისაგან შევიძინე 600 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი, რომელიც ბეტონის გალავნით მქონდა შემოღობილი და შიგნით დახარჯული მქონდა 12 ათასი დოლარის ღირებულების საშენი მასალა მეწყო. 2009 წელს პატიმრობიდან გათავისუფლებულს ჩემს მიწის ნაკვეთზე გალავანი დანგრეული დამხვდა, საშენი მასალა კი ადგილზე აღარ იყო და მის ადგილას ვერარას მივაგენი. აღმოჩნდა, რომ ანაკლიაში მდებარე სასტუმრო „ოქროს საწმისის“ დირექტორის **სერგო ზვარამიას,** სამეგრელო-ზემო სვანეთის მაშინდელი საოლქო პროკურორის **როლანდ ახალაიასა** და გუბერნატორ **ზაზა გოროზიას** უშუალო მითითებით, ჩემი მიწის ნაკვეთი უკანონოდ მიუსაკუთრებია ისე, რომ საჯარო რეესტრში თავის სახელზე არც კი გაუფორმებია და იგი ოფიციალურად, საჯარო რეესტრის მონაცემებით დღემდე ჩემი კუთვნილებაა.

როცა **ზვარამიას** ჩემი ქონების მითვისების გამო პრეტენზიით მივმართე, მითხრა — არ ვიცოდი, მიწის ნაკვეთი შენი თუ იყო, მისი მისაკუთრება **ახალაიამ** და **გოროზიამ** მიბრძანეს და რომ არ დავმორჩილებოდი, დამიჭერდნენო! გვარამია თავისი ნებით წამყვა ნოტარიუსთან, სადაც ეს ყველაფერი ოფიციალურად აღიარა და დაადასტურა, რომ თანახმაა, ჩემი ქონება დამიბრუნდეს, ოღონდ ამას სასამართლოს გადაწყვეტილება სჭირდება, რადგან მიწის ყიდვა აღევს. **სერგო ზვარამიასმა** თქვეწინო, 3 წლის წინათ სასამართლოში სარჩელი შევიტანე, მაგრამ მხოლოდ 3 თვის წინათ დაადგა საშველი საქმის განხილვის დაწყებას და იმედი მაქვს, მოსამართლე **ირაკლი აბშილავა,** რომელიც პრინციპულობისა და სამართლიანობის მქერე, ობიექტურ გადაწყვეტილებას მიიღებს.

**ახალაიასა და ნაცების რეჟიმა ყველაფერი წაგვართვეს და ახლა არაფერი მითხოვ, გარდა იმისა, რაც კანონიერად მეკუთვნის!** პროკურატურა და სასამართლო ვალდებული არიან, კანონიერება აღმიდგინონ!

*ესაუბრა* **ჯაბა ხუბუა**

## კვირგვინოსნები



ვახტანგ ძაბირაძე
*პოლიტოლოგი*

**ამერიკის მიზმა ივანიშვილის სანქციებთან პოლიტიკური შეცდომაა.** „ქართული ოცნებას“ არსებული ოპოზიციისგან **არავითარი პოლიტიკური საფრთხე არ ემუქრება.**

„ახალი თაობა“



ლევან მოსიაშვილი
*ყოფილი პარლამენტარი*

„ქართული ოცნებისთვის“ **ბიძინა ივანიშვილი** ღმერთიც არის, მამაც, სამშობლოც, კონსტიტუციაც და ყველაფერი.

„ახალი თაობა“

# ნიკა გოგუაძე: სააკაშვილის საზღვარგარეთ გადაყვანა პატიმრობიდან მის გათავისუფლებას ნიშნავს და ამაზე ლაპარაკიც კი დაუშვებელია!



*ნაცრეჟიმის ყოფილი პოლიტპატიმარი, ციხეში სასტიკად ნაწამები ნიკა გოგუაძე, რომელიც 2011 წლის 27 მაისს ე.წ. „ყინწვისის საქმეზე“ დააკავეს და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში დაადანაშაულეს, პატიმარ სააკაშვილის გარშემო ატეხილ აჟიოტაჟს ეხმაურება:*

— სააკაშვილის მიმართ არაადამიანურ მოპყრობასა და წამებაზე საუბარი დიდი სისულელე და სიგიჟეა, რადგან დღევანდელ სასჯელაღსრულების სისტემაში მსგავსი პრაქტიკა აღარ არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერი ადამიანის ცემისა და წამების სასტიკი წინააღმდეგი ვარ, ვინატრებდი, სააკაშვილს თუნდაც ერთი დღით განეცადა, როგორი იყო მის მიერ შექმნილი პენიტენციური ჯოჯოხეთი.

ჩემთვის, როგორც სააკაშვილის რეჟიმის მიერ ნაწამები პატიმრისათვის, დამცინავი და შეურაცხმყოფელია, როცა სააკაშვილის „წამებაზე“ ლაპარაკობენ და განიხილავენ, კუჭი აეშალა თუ შეკრული აქვს!

**— პენიტენციური სამსახურის ოფიციალური ცნობით, სააკაშვილმა პატიმრობის 6 თვის განმავლობაში ციხეში 800-ზე მეტი მნახველი მიიღო. თქვენ გქონდათ ამის საშუალება, როცა სააკაშვილის ციხეში იჯექით?**

— იმ დროს მოქმედი კანონმდებლობა პატიმარს თვეში მხოლოდ ერთხელ და მხოლოდ ერთი საათით აძლევდა პაემნის უფლებას, მაგრამ ამასაც გვიზღუდავდნენ და, საუკეთესო შემთხვევაში, 30-40 წუთს გვაძლევდნენ მნახველთან სასაუბროდ. **დღეს სააკაშვილი ითხოვს, მასთან ხან ერთი ცოლი შეუშვან და ხან — მეორე, ხანაც დედა ენატრება ან რომელიმე დეპუტატთან გაბაასება უნდება და აძლევენ კიდეც ამის საშუალებას, არადა, იგი ზუსტად ისეთივე უფლებებით უნდა სარგებლობდეს, როგორიც ყველა სხვა პატიმარს გააჩნია.** აქვთ დღეს პატიმრებს კანონით მინიჭებული უფლება, დღეგამოშვებით და ზოგჯერ დღეში რამდენჯერმეც მიიღონ მნახველი? რა თქმა უნდა, არა! შესაბამისად, ამის უფლება არც პატიმარ სააკაშვილს უნდა ჰქონდეს!

**— გქონდათ თუ არა ციხეში ნორმალური სამედიცინო სერვისის მიღების საშუალება?**

— გლდანის ციხეში ყოფნის ორი წლის განმავლობაში არანაირი სამედიცინო მომსახურება არ მიმიღია, გარდა იმისა, რომ ჯანმრთელობის ნებისმიერი პრობლემის დროს ერთსა იმავე აბს მაყლაპებდნენ, რომლის არც სახელი ვიცი და არც დანიშნულება. ზოგადად, ციხის თანამშრომლის — ოფიცრის კეთილგანწყობაზე იყო დამოკიდებული, ექნებოდა თუ არა პატიმარს მედიკამენტის მიღების ან ექიმთან ვიზიტის საშუალება. გლდანის ციხეში პატიმრებს ხშირად უმოწყალოდ სცემდნენ და აწამებდნენ მხოლოდ იმის გამო, რომ ექიმი ან წამალი მოითხოვეს. პირადად ვარ შემსწრე, რომ ჩემ მოპირდაპირე საკანში პატიმარი ცემაში შემოაკვდათ და ასეთი რამ ძალიან ხშირად ხდებოდა.

ციხის კორპუსში ყოველთვის სამარისებური სიჩუმე სუფევდა, რადგან ოდნავ ხმამაღლა საუბრის ან გაცინების გამოც კი პატიმრებს ძვლებში ამტვრევდნენ და ამ სიჩუმეში თითქმის ყოველდღე ისმოდა, თუ როგორ ღრიალებდნენ და ტიროდნენ პატიმრები უმოწყალო ცემა-წამებისას.

**— პირადად თქვენ სად და როგორ გაწამეს?**

— ჩემი და ჩემი მეგობრების პირველი ცემა-წამება ჯერ კიდევ ციხეში გადაყვანამდე მოხდა და შემდეგ საპატიმროშიც გაგრძელდა. **სანამ გლდანის ციხეში გამამწესებდნენ, თითქმის ყველა ძალოვანი უწყების სარდაფი მომატარეს, სადაც ნიხლებით, მუშტებით, იარაღის კონდახით მცემდნენ, დაკითხვის დროს სკამზე რომ ვიჯექი, იმ სკამს გამომაცლიდნენ და თავში მირტყამდნენ.** ითხოვდნენ, რომ შეთითხნილი ბრალი — სახელმწიფო გადატრიალების მომზადებაში მონაწილეობა მეღიარებინა, მათ მიერ დაწერილი ტექსტი დამეზეპირებინა და ჩართული ვიდეოკამერის წინ წარმომეთქვა. სტრასბურგის სასამართლომ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლად მაღიარა, თბილისის სააპელაციო სასამართლომ კი ერთი წლის წინათ უდანაშაულოდ მცნო.

**— როგორ ფიქრობთ, უნდა გადაიყვანონ თუ არა სააკაშვილი საზღვარგარეთ სამკურნალოდ?**

— **სააკაშვილის საზღვარგარეთ გადაყვანა პატიმრობიდან მის გათავისუფლებას ნიშნავს და ამაზე ლაპარაკიც კი დაუშვებელია!** „ქართულ ოცნებას“ 10 წლის განმავლობაში არაერთი შეცდომა დაუშვია, მაგრამ, თუ სააკაშვილს უცხოეთში გაუშვებენ, ეს ამ ხელისუფლების ყველაზე დიდი და საბედისწერო შეცდომა იქნება!

საერთოდ, იმ აბსურდსა და სიგიჟეში, რასაც დღეს სააკაშვილისა და ნაციონალური მოძრაობის მხრიდან ვხედავთ, „ქართულ ოცნებას“ ვადანაშაულებ, რადგან აქამდე სწორედ მან მიიყვანა საქმე!

*ესაუბრა*
*ჯაბა ხუბუა*



**„ვინატრებდი, სააკაშვილს თუნდაც ერთი დღით განეცადა, როგორი იყო მის მიერ შექმნილი პენიტენციური ჯოჯოხეთი!“**

**„ჩემთვის, როგორც სააკაშვილის რეჟიმის მიერ ნაწამები პატიმრისათვის, დამცინავი და შეურაცხმყოფელია, როცა სააკაშვილის „წამებაზე“ ლაპარაკობენ!“**

**„გლდანის ციხეში პატიმრებს ხშირად უმოწყალოდ სცემდნენ და აწამებდნენ მხოლოდ იმის გამო, რომ ექიმი ან წამალი მოითხოვეს! პირადად ვარ შემსწრე, რომ ჩემ მოპირდაპირე საკანში პატიმარი ცემაში შემოაკვდათ!“**

## კვირგვინოსნები

**მიშო დადიანი**
*პოეტი*



2008 წელს ციხეში იყო არაადამიანური პირობები. **ანალგინი რომ მოგეთხოვა, ან ნებისმიერი პრეპარატი, ან ოდნავ ხმამაღლა გაგეცინა, შემოდიოდნენ და სიკვდილამდე გცემდნენ.** აბანოში გავყავდით მთელი კამერა. აბანო ე.წ. პრესხატა იყო, რადგან შემდეგ იქიდან სისხლი მარტივად იწმინდებოდა. **ვამბობდით ხოლმე, რომ, ალბათ, ამის იქით ჯოჯოხეთიაო. ეს ხდებოდა დღეში 2-3-ჯერ. ეს ხდებოდა გლდანის ციხეში. 19 წლის ასაკში ვნახე ეს ყველაფერი.** ადამიანებმა, რომლებიც სააკაშვილის **„წამებას“** აპროტესტებენ, **წამება** თუ იციან, საერთოდ, რას ნიშნავს.

„TV იმედი“

**დავით უსუფაშვილი**
*„ლელოს“ წევრი*



**თავად ნაციონალური მოძრაობის წევრები მეუბნებოდნენ** სააკაშვილის თავდებობაზე, **რა სისულელეს ვაწერთ ხელსო.**

„TV პირველი“

**რამაზ საყვარელიძე**
*პოლიტოლოგი*



თუ გამოაცხადებენ, რომ **სააკაშვილს ფსიქიატრიული პრობლემები აქვს,** ძალიან შემცირდება მისი მომხრეების რიცხვი.

„კვირის პალიტრა“

**იაგო ხვიჩია**
*პარლამენტარი, „გირჩის“ ერთ-ერთი ლიდერი*



**მიხეილ სააკაშვილის** ჯანმრთელობისთვის უკიდურესად აუცილებელია **არა „ვივამედში“ გადაყვანა, არამედ ნაციონალური მოძრაობის დაშლა.**

„ინტერპრესნიუსი“

**ირაკლი ბათიაშვილი**
*პოლიტიკოსი*



**15 დღე ვშიმშილობდი, მარტო წყალს ვსვამდი...** ვინ მოვიდოდა, ვინ დაგვხედავდა. **რა კონსილიუმი, რა გადაყვანა.**

„TV იმედი“

# გენერალისიმუსი

**№2 (126) ★ 2022 წლის 16 მაისი ★ გამოდის 2003 წლიდან**


და ქალაქს გავათავისუფლებთო, მეორე დღეს კი შეუძახეს — აბა, ახლა აქედან მოუსვითო... **საკაშვილმა ხან მიწაზე იხოხა, ხან ჰალსტუხი ჭამა, ეს რა მაგალითი იყო?** და, საერთოდ, გორში სტალინის ძეგლის აღება რა ვანდალიზმი იყო? ეს ძეგლი მარტო იმიტომ უნდა აღადგინონ, რომ ბელადი ხალხს უყვარდა და ეს სიყვარული მან დაიმსახურა! სტალინისგან 4 პირადი მადლობა მაქვს მიღებული და მეამაყება, რომ იმ ომში ვმონაწილეობდი, სადაც იოსებ ჯუღაშვილის ხელმძღვანელობით ფაშისტებს ვებრძოდი!

## სტალინი რომ არ მოეკლათ, დღეს სულ სხვა მსოფლიო გვექნებოდა!

*ესაუბრა ქეთევან ხამიცაშვილი*

## იოსებ ფუხაშვილი: მე ვარ სტალინის არმიის მეომარი!




*„ირაკლი ღარიბაშვილი კახელი ბიჭია, დინჯი, რასაც დაგვპირდა, გააკეთებს, საქართველოს ომის ალში არ გახვევს!“* ***— აცხადებს მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი, 100 წლის იოსებ ფუხაშვილი, რომელსაც გასულ კვირას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ესტუმრა და ფაშიზმზე გამარჯვების 77-ე წლისთავი მიულოცა:***

— 9 მაისს კიკვიძის ბაღში ირაკლი ღარიბაშვილს შარშანაც შევხვდი, წელს კი სახლში მეწვია, მშვენიერი ბიჭია. ვკითხე — ომის ვეტერანებს შორის მე რატომ ამომარჩიეთ-მეთქი? — თქვენზე მითხრეს, რომ განათლებული ადამიანი ხართ და ყირიმის ფრონტის ერთადერთი დარჩენილი უხუცესი მონაწილე ბრძანდებითო... მართლაც ასეა, ბევრი გარდაიცვალა, მათ შორის ჩემი უახლოესი მეგობრები **შოთა ბუაძე და ტარას იჩქიტიძე.**

**— პრემიერ-მინისტრთან რა თემებზე ისაუბრეთ?**

— ვკითხე — **ხატია დეკანოიძის, აკო მინაშვილისა და მათი მსგავსი პერსონების** გაუთავებელ ყვირილსა და ხმაურში როგორ ახერხებს ქვეყნის ხელმძღვანელობას. დაინტერესდა — რა შეგვიძლია თქვენთვის გავაკეთოთო? ძალიან მერიდებოდა, მაგრამ ერთი რამ ვთხოვე — მეორე კურსის ობოლი შვილიშვილი მყავს, დედ-მამა გარდაცვლილი ჰყავს, სწავლის საფასურის გადახდა გამიჭირდა და იქნებ რაიმე შეღავათი მოგვცენ-მეთქი! დამპირდა დახმარებას, თუ დადებითად გადაწყდება ეს საკითხი, მადლობელი ვიქნები, თუ არადა, არაფერია, **მთავარია, საქართველოს გაუძღვეს და ქვეყანას აარიდოს ის საშინელება, რისთვისაც დღევანდელი ოპოზიცია იბრძვის. ვგულისხმობ საქართველოს ჩართვას რუსეთ-უკრაინის ომში.**

## პარტიულ თანამდებობებზე ვმუშაობდი ვასილ მჟავანაძესთან და ნინა ჟვანიასთან, ძალიან კარგად ვიცი, რა რთულია ქვეყნის სამსახური!

**— რამდენად რეალურად გეჩვენებათ ომის საფრთხე?**

— საფრთხე რეალურია, იმდენად უნდათ სისხლის დაღვრა, რომ **ელენე ხოშტარიამ** თავი ვეღარ შეიკავა და წითელი საღებავი ასფალტზეც დაღვარა და შენობის კედლებსაც წაუსვა. შეურაცხყოფას აყენებენ ყველას, ვინც არ მოსწონთ, შეურაცხყოფენ საქართველოს. **ომი თუ დაიწყო, ჩვენი ქვეყანა დაიღუპება, ჩვენ კი სიცოცხლე გვინდა და შთამომავლობის კეთილდღეობა!** მე ვარ სტალინის არმიის მეომარი, წოდებით ოფიცერი და ძალიან კარგად ვიცი, რა არის ომი და სისხლისღვრა. ახლა გამოდიან ეს უდისციპლინო ადამიანები და ქვეყანაში ქაოსს თესავენ, უაზრო აქციებს მართავენ, თან წვიმა რომ წამოვა, მაშინვე იშლებიან, როცა გადაიღებს, მაშინ გამოვალთო. **აი, ეს უპრინციპო ხალხი ეწინააღმდეგება დღეს ხელისუფლებას და წყევლის ჩვენს წარსულს, სტალინის აშენებულ ქვეყანას, სადაც უმაღლეს რანგში იყო აყვანილი დისციპლინა, რომლის მეომრებიც ყინვასა და ტალახში ვძლებდით, ვიბრძოდით და გამარჯვების წყურვილი თავს გვავიწყებდა.** ახლა კი მსოფლიოში ურთულესი სიტუაციის ფონზე ოპოზიცია დილიდან საღამომდე სააკაშვილის ავადმყოფობაზე ლაპარაკობს და ამათი შემხედვარე, ხალხს ტელევიზორის ჩართვა აღარ უნდა!

**— გგონიათ, სააკაშვილი მძიმე ავადმყოფია?**

— სააკაშვილი ყალთაბანდობს, პირველი კლასის აფერისტია, ციხიდან თავის დაღწევა უნდა. სასამართლოზე რიხიანად გამოდიოდა, ივანიშვილის დამარცხების გეგმებს აწყობდა, ვითომ იშიმშილა და თურმე ფაფებს ჭამდა. ვის უნდა მაგის დაბრუნება, ღირსეულ პრეზიდენტამდე ეგ ვეღარ ამაღლდება, სახურავზე ხტომა ადამიანურ სიმაღლეზე ასვლას არ ნიშნავს! ან როცა შვილის მდგომარეობაზე წუხს სააკაშვილის დედა, რა ჰგონია ქალბატონ გიულის, გურამ შარაძეს ოჯახი არ ჰყავდა? **რას ეუბნება ის შარაძის შვილს, ქუჩაში მამა რომ მოუკლეს და რამდენიმე საათი სისხლის გუბეში ამყოფეს, ხალხს რომ შოკი მიეღო და შიში გამეფებულიყო.** გამოვიდეს და თქვას, როგორ გახდა უმაღლესი სასწავლებლის მფლობელი. მისმა გაზრდილმა შვილმა ჯერ აქ დაიწყო ომი, ახლა კი უნდა, რომ ბრძოლები უკრაინიდან საქართველოში გადმოვიდეს და ამ გზით ისევ სათავეში მოვიდეს.

**— როგორც მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, 2008 წლის ომს როგორ აფასებთ?**

— ტალიავინის დასკვნით, სააკაშვილმა შეიყვანა ჯარი ცხინვალში და მშვიდობიანი მოსახლეობა ააწიოკა. როცა ეს პრეზიდენტმა გაიმეორა, ერთი ამბავი ატეხეს, არადა, რადიოში ჩემი ყურით მაქვს მოსმენილი, სააკაშვილი ამბობდა — **დღეს ცხინვალი ავიღეთ, ხვალ ღამე ჯავაში შევალთო.** იმ დროს ჩემი შვილიშვილი ორგანოში მუშაობდა, რეზერვისტი იყო, 2008 წელს ომის დაწყების წინ ჯერ კასპში ჩაიყვანეს, უთხრეს — ცხინვალს ავიღებთ და ქალაქს გავათავისუფლებთო, მეორე დღეს კი შეუძახეს — აბა, ახლა აქედან მოუსვითო...

## „მტერი დამარცხებულია, მაგრამ განადგურებული არ არის!“

## გრიგოლ ონიანი: სტალინის ეს სიტყვები თითქოს გუშინ ითქვა!




***დღევანდელი ქართველი პოლიტიკოსები პოლიტიკის აშკარა უცოდინარობას იჩენენ, როცა ფაშიზმზე გამარჯვების დღედ 8 მაისის გამოცხადებას ითხოვენ, თუმცა, მათთვის რა მნიშვნელობა აქვს, ფაშისტებმა ფაშისტებისგან როდის მიიღეს კაპიტულაცია — 8 თუ 9 მაისს?! მათ ხომ კომუნიზმი და ფაშიზმი ერთ რანგში ჰყავთ აყვანილი, თანაც, დიდი სამამულო ომი სხვის ომად მიაჩნიათ და რა მათი საქმეა — ვინ როდის და რას გამოაცხადებს?! მაგრამ ამ ვაი-პოლიტიკოსებმა უნდა იცოდნენ, რომ ბრძოლები ევროპაში არც 8 მაისს შეწყვეტილა და არც 9 მაისს, ამასთანავე, საჭიროა, იცოდნენ შინაარსი დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ უინსტონ ჩერჩილის წერილისა, რომელიც სტალინს მისწერა 1945 წლის 23 თებერვალს წითელი არმიის 27-ე წლისთავის აღსანიშნავ მილოცვაში:***

### ბ-ნი ჩერჩილის პირადი წერილი მარშალ სტალინს

*„წითელი არმია თავის 27-ე წლისთავს ზეიმობს ტრიუმფით, რომელმაც მისი მოკავშირეების უსაზღვრო აღფრთოვანება გამოიწვია და რომელმაც გერმანული მილიტარიზმის ბედი გადაწყვიტა.* ***მომავალი თაობები თავიანთ მოვალეობას წითელი არმიის წინაშე ისევე უსიტყვოდ აღიარებენ, როგორც ამას ვაკეთებთ ჩვენ, ამ ბრწყინვალე გამარჯვების ცოცხალი მოწმეები.*** *გთხოვთ დიდი არმიის დიად ხელმძღვანელს, მიესალმოთ წითელ არმიას ჩემი სახელით დღეს, საბოლოო გამარჯვების ზღურბლზე“.*


*გაგრძელება მე-2 გვერდზე*


***გაზეთ „გენერალისიმუსის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება,*** *რომ გარდაიცვალა ქართველ ჟურნალისტთა არმიის ღირსეული წევრი, საქართველოს ტელე-რადიოკომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ყოფილი რედაქტორი, გაზეთ „გენერალისიმუსის“ ყოფილი თანამშრომელი*

**არმაზ სანებლიძე**

# გერმანიის კაპიტულაციის მიუხედავად,

*დასაწყისი პირველ გვერდზე*

**როგორც ზემომოყვანილი წერილიდან ჩანს, ომში გამარჯვებულად უდავოდ სტალინი უნდა ჩაითვალოს და კაპიტულაციაც ომში გამარჯვებულს უნდა მიეღო.** ისე, ამ ვაი-პოლიტიკოსებს რამე რომ გაეგებოდეთ მოკავშირეთა ვერაგობის შესახებ, ისიც ეცოდინებოდათ, რომ კაპიტულაციის მიღების მცდელობა ანგლოსაქსებს ჯერ კიდევ 1945 წლის მარტში ჰქონდათ, როდესაც ბრიტანელ ფელდმარშალ **ალექსანდერს** უფლება მისცეს, მიეღო კაპიტულაცია გერმანელებისაგან მოკავშირეთა ჯარების მიერ იტალიაში 25 დივიზიისაგან შემდგარი სამხედრო შენაერთის დამარცხების შემდეგ.

აღნიშნულის გამო სტალინმა მკაცრი შინაარსის წერილი გაუგზავნა ამერიკის პრეზიდენტ **ფრანკლინ რუზველტს:**

> *„საბჭოთა მთავრობა ამ საქმეში გაუგებრობას კი არ ხედავს, არამედ რაღაც უფრო უარესს. ორი კვირის განმავლობაში საბჭოთა კავშირის ზურგს უკან, რომელსაც გერმანიის წინააღმდეგ ომის ძირითადი სიმძიმე აწევს, მიმდინარეობს მოლაპარაკება გერმანიის სამხედრო სარდლობის წარმომადგენლებთან, ერთი მხრივ, და ინგლისისა და ამერიკის სარდლობის წარმომადგენელთა შორის, მეორე მხრივ“.*

**ბერლინის დაცემიდან მეორე დღეს ბრანდენბურგის კარიბჭესთან უძლეველი წითელი არმიის ნაწილებმა გამარჯვების ალამი ჩაიტარეს, მაგრამ ეს მხოლოდ წითელი არმიის გამარჯვების ალამი იყო, ბერლინის აღებისადმი მიძღვნილი. საბჭოთა სარდლობამ კარგად იცოდა, რომ შუა ევროპაში კვლავ ომის ხანძარი მძვინვარებდა, ხოლო ფაშიზმი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო.**

30 აპრილს ჰიტლერის გვამიდან ავარდნილი შავი ბოლი ჯერ კიდევ რაიხსტაგის გუმბათს იყო შემოხვეული, როდესაც ბერლინის ოპერაციის სამეთაურო პუნქტში უმაღლესი მთავარსარდლის სატელეფონო ზარი გაისმა. ყურმილი მარშალმა **კონევმა** აიღო და სამხედრო წესით მიესალმა უმაღლეს მთავარსარდალს. სტალინმა მოკლე შეკითხვით მიმართა კონევს:

— *როგორ ფიქრობთ, ვინ უნდა აიღოს პრაღა?* ამ კითხვას მეორე დილით უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანება მოჰყვა:

*„მოამზადეთ მე-3 და მე-4 სატანკო არმიები* ***რიბალკოსა და ლელიუშენკოს*** *სარდლობით პრაღის გასათავისუფლებლად“.* ბრძანებაში მითითებული იყო, რომ **პრაღა უნდა აეღოთ 12 მაისს. 2 მაისს, დილით, ორი სატანკო არმიით, 2 მილიონი ჯარისკაცით, 3 ათასი თვითმფრინავითა და 27 ათასი ქვემეხით კონევი პრაღისკენ დაიძრა. ამ დროს პრაღაში საბრძოლო პოზიციები დაკავებული ჰქონდა ფელდმარშალ ფერდინანდ შიორნერის არმიას, რომელშიც გაერთიანებული იყო გერმანელთა რჩეული ნაწილების 900 ათასი ჯარისკაცი, 1 900 ტანკი, 1 000-მდე თვითმფრინავი, 9 700 ქვემეხი და ნაღმსატყორცნი.**

პრაღაში ჩეხების აჯანყება მოულოდნელად დაიწყო, ის არც საბჭოთა კავშირთან იყო შეთანხმებული და არც ადგილობრივ მთავრობასთან. 6 მაისს, დილით, პრაღის ქუჩებში უკვე აღმართული იყო 1 600-მდე ბარიკადი. ფელდმარშალი **შიორნერი** სულაც არ ფიქრობდა ინგლისელებსა და ამერიკელებთან შეჯახებაზე. ის შეგნებულად აჩერებდა ესეს-ის ჯარების მოქმედებას, მაგრამ ქუჩებში მაინც ისმოდა სროლის ხმა. პრაღის ერთ-ერთ ქუჩაზე გერმანელებმა დახოცეს 53 უიარაღო მოქალაქე, მათ შორის, ქალები და ბავშვები.

18 აპრილს ამერიკის ჯარები დასავლეთიდან მიადგნენ ჩეხეთის საზღვარს. აიღეს ქალაქები — **აში და კარლოვი-ვარი.** ამერიკის ჯარების ხელმძღვანელმა, გენერალმა **ჯორჯ პატონმა** დეპეშა მიიღო **ეიზენჰაუერისაგან:** ***„შეაჩერეთ ჯარების წინსვლა და მოქმედება, რადგანაც ჩეხოსლოვაკია იალტის კონფერენციის შეთანხმების საფუძველზე საბჭოთა კავშირის გავლენის სფეროა“.***

პრეზიდენტ **რუზველტის** მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ **(1945 წლის 12 აპრილი)** დანიშნულმა პრეზიდენტმა **ჰარი ტრუმენმა** სასწრაფოდ მოინდომა რუზველტის ჩანაცვლება. ამიტომ სამი სახელმწიფოს მეთაურთა შორის მთელი რიგი შეთანხმებები, რომელთა საქმის კურსში ტრუმენი არ ყოფილა, ხშირად მუხრუჭდებოდა. 24 აპრილს **დუაიტ ეიზენჰაუერმა** საბჭოთა კავშირის გენშტაბის უფროს **ალექსი ანტონოვისგან** მიიღო დეპეშა, რომელიც ეხებოდა პრაღაზე შეტევის საკითხს. ამერიკის გენერალური შტაბის უფროსი მარშალი დაეთანხმა როგორც **ანტონოვს,** ისე **ეიზენჰაუერს** და 28 აპრილს წერილიც მისწერა: *„მე არ მინდა, გავრისკო ამერიკელი ჯარისკაცების სიცოცხლე წმინდა პოლიტიკური საქმისთვის. ჩეხოსლოვაკია გერმანელებისაგან უნდა გაწმინდოს საბჭოთა კავშირის ჯარებმა. ამისათვის ჩვენ მათ ხელი უნდა შევუწყოთ“.*

1945 წლის 7 მაისს, როდესაც ევროპის შუაგულში ორი უზარმაზარი სამხედრო ძალა ერთმანეთის პირისპირ იდგა და საათებს ითვლიდა ბრძოლის დასაწყებად, საფრანგეთის ქალაქ რეიმსში ანგლოსაქსებმა კიდევ ერთი მოღალატეობრივი ნაბიჯი გადადგეს და ერთ-ერთ რუს გენერალს გერმანიის კაპიტულაციის აქტზე მოტყუებით მოაწერინეს ხელი, რითიც კიდევ ერთხელ ითამაშეს სტალინის ნერვებზე, მაგრამ, როგორც აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი **ჰენრი კისინჯერი** შენიშნავს, ***„გეოპოლიტიკის მონსტრმა“ სტალინმა ნერვები აქაც მოთოკა, რათა „დანა კუდზე არ გადატეხილიყო“*** და ანგლოსაქსებს მშვიდად უპასუხა — მე კაპიტულაციაზე ხელის მოწერის რწმუნება ჯერ არ გამიცია, თანაც **კაპიტულაციის გამოცხადება უნდა მოხდეს არა საფრანგეთის მიწაზე — ქალაქ რეიმსში, არამედ გერმანიაში — ქალაქ ბერლინშიო.** სტალინის სიტყვა საბოლოო იყო და გადაწყდა, 7 მაისის კაპიტულაცია ყოფილიყო მოსამზადებელი სხდომა, ხოლო კაპიტულაციის აქტი შემდგარიყო ოფიციალურ წარმომადგენელთა ხელმოწერითა და თანდასწრებით.

უმაღლესმა მთავარსარდალმა გასცა რწმუნება სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, **მარშალ ჟუკოვის** სახელზე, რომელიც 1945 წლის 8 მაისს ხელმძღვანელობდა კაპიტულაციის აქტის მიღებას. **კაპიტულაციის აქტზე ხელი მოაწერეს 00 საათსა და 43 წუთზე გერმანიის დროით, ანუ მოსკოვის დროით — 9 მაისის 01 საათსა და 43 წუთზე. ამიტომ თუმცა, ნაჩქარევად, მაგრამ შეთანხმების** საფუძველზე სტალინმა გამარჯვების დღედ **1945 წლის 9 მაისი** გამოაცხადა, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს კი შემდეგი შინაარსის წერილი მისწერა.




## „№ 462 პირადი და საიდუმლო წერილი მარშალი ი.ბ.სტალინი პრემიერ-მინისტრს ბ-ნ უ. ჩერჩილს

*მივიღე თქვენი 7 მაისის წერილი გერმანიის კაპიტულაციის შესახებ.*

*წითელი არმიის უმაღლესი სარდლობა დარწმუნებული არ არის, რომ გერმანელთა ჯარები აღმოსავლეთის ფრონტზე შეასრულებენ გერმანიის სარდლობის ბრძანებას უსიტყვო კაპიტულაციის შესახებ. ამიტომ ვშიშობთ, რომ დღეს სსრ კავშირის მთავრობის მიერ გერმანიის კაპიტულაციის გამოცხადების შემთხვევაში უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით და შეცდომაში შევიყვანთ საბჭოთა კავშირში საზოგადოებრივ აზრს.* ***მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ გერმანელთა ჯარების წინააღმდეგობა აღმოსავლეთის ფრონტზე კი არ სუსტდება, არამედ, თუ მათი რადიოგადაცემების მიხედვით ვიმსჯელებთ, გერმანელთა ჯარების მნიშვნელოვანი ჯგუფი პირდაპირ აცხადებს, რომ განაგრძობს წინააღმდეგობას და არ დაემორჩილება დენიცის ბრძანებას კაპიტულაციის შესახებ. ამიტომ***



## *გრიგოლ ონიანი*

# სოლოვიოვ,

## ღია წერილი

### ტელეარხ „როსია-1“-ის გადაცემა „საღამო ვლადიმერ სოლოვიოვთან“ წამყვანს ვლადიმერ სოლოვიოვს

***წერილს გწერთ საქართველოდან გრიგოლ ონიანი, დაბადებული 1936 წელს. 1956 წლის 9 მარტს თბილისში მომხდარი სისხლიანი შეტაკების მონაწილე, 1988 წლიდან საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის“ დამფუძნებელი და მისი უცვლელი თავმჯდომარე, ინდოეთში დაფუძნებული საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის“ ცენტრის დირექტორატის წევრი. სტალინის ფენომენის შესწავლის მიზნით დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით გამოცემული მაქვს 8 ტომი — „სტალინი“. ამიტომ თავს ვაძლევ უფლებას, ორიოდე სიტყვით მოგმართოთ თქვენ, ბატონო ვლადიმერ!***

ამა წლის 8 მაისის გადაცემაში, როდესაც ბატონმა **იაკობ კედმიმ,** ისრაელის სახელმწიფო მოღვაწემ, სპეცსამსახურ „ნატივის“ ხელმძღვანელმა რუს ხალხს დიდ სამამულო ომში სტალინის ღვაწლის იგნორირება უსაყვედურა, თქვენ მას თავს დაესხით და უმტკიცებდით, რომ სტალინს, როგორც უმაღლეს მთავარსარდალს, ყოველთვის აფასებდნენ, მაგრამ ის ტირანი იყო და ამიტომ არ უნდა შევაქოთო.

**ეს სიტყვები იქნებ ბევრს მიეტევოს, მაგრამ თქვენგან მიუღებელია, რადგან თქვენი ცოდნისა და გაქანების კაცს, თანაც წარმომადგენელს ებრაელი ერისა, რომლისთვისაც სტალინს ბევრი რამ გაუკეთებია, ამის თქმა არ ეკადრება. ვფიქრობ, ამ სიტყვების წარმოთქმისას ვიღაცის ნავში იჯექით და იმ „ვიღაცას“ ემსახურებოდით.** არადა, ქართველი პოეტი გვაფრთხილებს: **„არ შეგეშალოს, არ გაბრიყვდე, არ იყო ბავშვი, არამც და არამც არ ჩაუჯდე ხელმწიფეს ნავში!“**

იაკობ კედმიზე თქვენი თავდასხმა იყო მცდელობა ისტორიის ფალსიფიკაციისა, რომელსაც ებრძვით თქვენს ტელეგადაცემებში. მეორე მსოფლიო ომის ტრიუმფალურ გამარჯვებაზე სიცრუის ტირაჟირებით განთქმული **სოლჟენიცინისა** და მისი მეუღლისთვის უპირველესი ადგილის დათმობა არამხოლოდ ისტორიის გაყალბება, არამედ მსოფლიოს მოაზროვნე ადამიანთა მასხრად აგდება და გაპამპულავებაა. ამ სიყალბეში სამშობლოს ღალატი დიდებულ საქციელად არის მონათლული, თავდადება და ერთგულება კი — ღალატად. როგორც **შექსპირი** ამბობს თავის 66-ე სონეტში: **„რადგან სიცრუე ერთგულების გახდა თვისება, რადგან უღირსებს უსამართლოდ დაადგეს დაფნა, რადგან მრუშობით შელახულა უმანკოება, რადგან დიდებას სამარცხვინოდ უთხრიან საფლავს.“**

ამერიკელი მწერალი, მკვლევარი, სოვეტოლოგი, უამრავი წიგნის ავტორი **გროვერ ფერი** 10 წლის განმავლობაში სწავლობდა როგორც სსრ კავშირის, ასევე აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის არქივებში დაცულ დოკუმენტებს და შემდეგ

***დედამიწის სფეროდან სიცოცხლის დაბადებას თვალყურს ადევნებს გეოპოლიტიკოსი და მისი საჩვენებელი თითი მიმართულია ორ ზღვას შუა მდებარე კავკასიონზე, სადაც სალვადორ დალიმ ახალი სიცოცხლის დაბადება იწინასწარმეტყველა.***



# ომი ევროპაში არ შეწყვეტილა

# არც 8 და არც 9 მაისს!



პრაღელები გამარჯვებულ მარშალ კონევს ხვდებიან



ასე ჩამოაგდეს პრაღაში მარშალ კონევის ძეგლი

***საბჭოთა ჯარების სარდლობას სურს, მოიცადოს იმ მომენტამდე, სანამ გერმანელთა ჯარების კაპიტულაცია ძალაში არ შევა და, ამრიგად, გერმანელთა კაპიტულაციის შესახებ მთავრობათა განცხადება გადაიდოს 9 მაისის 7 საათამდე მოსკოვის დროით.***

1945 წლის 7 მაისი".

ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრისაგან კი სტალინმა შემდეგი შინაარსის წერილი მიიღო.

### „№ 464 პრემიერ-მინისტრი მარშალ სტალინს ბრიტანელი ერის წერილი წითელ არმიასა და რუს ხალხს

*„გულითადად მოგესალმებით ბრწყინვალე გამარჯვების გამო, რომელიც თქვენი მიწა-წყლიდან დამპყრობლების განდევნითა და ნაცისტური ტირანიის განადგურებით მოიპოვეთ. მტკიცედ მჯერა, რომ კაცობრიობის მომავალი ბრიტანელი და რუსი ხალხების მეგობრობასა და ურთიერთგაგებაზეა დამოკიდებული. აქ, ჩვენს კუნძულოვან მამულში, დღეს ხშირად ვფიქრობთ თქვენზე და თქვენი ბედნიერებისა და კეთილდღეობის გულის სიღრმიდან მომდინარე სურვილებს გითვლით. ჩვენ გვინდა, რომ იმ პირქუშ ველზე, რომელიც ერთად განვვლეთ, განცდილი ყველა ტანჯვისა და მსხვერპლის შემდეგ, ახლა ერთგული მეგობრობითა და ურთიერთსიმპათიით დაკავშირებულებმა ვიაროთ წინ გამარჯვებული მშვიდობის ელვარე მზის ქვეშ.*

*ვთხოვ ჩემს ცოლს, ყველას გადმოგცეთ მეგობრობისა და აღფრთოვანების ეს სიტყვები".*

ამ ნაადრევი მილოცვების ფონზე შუაგულ ევროპაში ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ უპირისპირდებოდნენ კბილებამდე შეიარაღებული არმიები. სტალინის ბრძანებით, 12 აპრილისთვის ასაღები ქალაქი პრაღა 9 მაისის დილას ორ უძლიერეს სატანკო არმიებს, **რიბალკოსა და ლელიუშენკოს** სარდლობით, ალყაში ჰყავდათ მოქცეული. **მარშალი კონევი** დაუკავშირდა სტალინს და ქალაქზე შეტევის დაწყება ამცნო.

— ***ამხანაგო კონევ! პრაღა ევროპის უძველესი ქალაქთაგანია თავისი ღირსშესანიშნაობებით. გავალებთ! ომი აწარმოეთ ქალაქის უმნიშვნელო დაზიანების გათვალისწინებით. გისურვებთ წარმატებებს!*** — უთხრა სტალინმა.

**პრაღის ოპერაცია სამხედრო ისტორიაში მექანიზებული ფორმირებების წარმატებით გამოყენების ნიმუშად შევიდა. ქალაქის გარშემო განლაგებულმა სიკვდილის მანქანებმა ჯოჯოხეთი მოუწყვეს გერმანელ ფაშისტთა რჩეულ სამხედრო დაჯგუფებებს.**

გერმანელი ჯარისკაცები სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდნენ წითელი არმიის წინააღმდეგ, თითქოს მათ მთავრობას კაპიტულაცია არ ჰქონდა გამოცხადებული. პრაღის ოპერაციაში საბჭოთა არმიის დანაკარგმა შეადგინა 11 997 მოკლული და 40 501 დაჭრილი ჯარისკაცი, დაზიანდა 333 ტანკი, 1060 საბრძოლო ტექნიკა და 80 თვითმფრინავი. მხოლოდ ქალაქის ცენტრში გაჩაღებულ ხელჩართულ ბრძოლაში 500 ჯარისკაცი დაიღუპა. ბრძოლის ქარცეცხლში გახვეული გერმანელები უკან დასახევადაც ვერ იკვლევდნენ გზას. **ფელდმარშალმა შიორნერმა** ჯარისკაცები მიატოვა, ავიდა თვითმფრინავში და იმ ტერიტორიაზე გადავიდა, რომელსაც ამერიკა და ინგლისი აკონტროლებდნენ. **უმეთაუროდ დარჩენილი მტრის 860 000 ჯარისკაცი ტყვედ ჩაბარდა მარშალ კონევის არმიას.**

აღნიშნული დანაკარგები როგორც ჯარისკაცების, ასევე საბრძოლო აღჭურვილობისა, ნათელ წარმოდგენას იძლევა, ბრძოლის ერთი დღის მანძილზე რაოდენ ფიცხელი ომი მიმდინარეობდა პრაღის ქუჩებში. მიუხედავად ამდენი მსხვერპლისა, ევროპის არცერთ ქალაქს არ განუცდია ისეთი მცირე ნგრევა, როგორც პრაღას. სწორედ ამიტომაც **მადლიერმა პრაღელებმა გრანდიოზული შეხვედრა მოუწყვეს საბჭოთა ჯარებს და პირადად მარშალ კონევს ასეთი ბრძოლისა და ქალაქის მოფრთხილებისთვის.** მარშალი კონევი პრაღის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს. მას პრაღაში ძეგლიც კი დაუდგეს, რომელიც 2020 წელს უმადურმა ჩეხებმა ჩამოაგდეს.

საბჭოთა ჯარისკაცებსა და გერმანელთა შორის უკანასკნელი შეტაკება 12 მაისს გაიმართა სოფელ სლავისთან, სადაც 1 000 მეტი ესესელი და 300-ზე მეტი ვლასოველი დაიღუპა. 187 ვლასოველი, რომლებიც საავადმყოფოში მკურნალობდნენ, პრაღელებმა დახოცეს.

12 მაისს დააკავეს მოღალატე გენერალი **ვლასოვი,** რომელსაც ამერიკული პასპორტი ჰქონდა(!) და ცდილობდა, მსუბუქი მანქანით გაქცეულიყო ფრონტის ხაზიდან. მოღალატე გენერლები **ჟარენკოვი, მალიშკინი, ბუნიაჩენკო** და **მალცევი** ამერიკელებთან გაიქცნენ, რომლებმაც ისინი დააპატიმრეს და ბადრაგის თანხლებით საბჭოთა მხარეს ჩააბარეს. საბჭოელებს გადასცეს აგრეთვე შეპყრობილი **გენერალი ვლასოვი,** რომელსაც ამერიკულმა პასპორტმაც ვერ უშველა. საბჭოთა კავშირის სამხედრო ტრიბუნალმა განიხილა ზემოაღნიშნულ სამხედრო დამნაშავეთა საქმე და ყველა მათგანი 1946 წლის 26 აპრილს ბუტირსკის ციხის ეზოში ჩამოახრჩვეს.

სწორედ ამიტომ არ ჩქარობდა უმაღლესი მთავარსარდალი ომის დამთავრების გამოცხადებას, აკი, ბრძოლები ევროპაში კვლავ გრძელდებოდა. თუმცა, ბრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ დღემდე არ დასრულებულა — მისი ფესვები ბოლომდე ამოძირკვული არ არის. მსოფლიოში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ გამართლდა სტალინის მიერ ათეული წლების წინათ ნათქვამი სიტყვები: „მტერი დამარცხებულია, მაგრამ განადგურებული არ არის!" ეს რომ ასეა, მოწმობს გარკვეული ძალების მცდელობები, საქართველო აქციონ სამხედრო დაპირისპირების პოლიგონად.

ყველა, ვისაც საქართველოს ჩაბმა სურს საომარ მოქმედებებში, ჩვენი ქვეყნის დაუძინებელი მტერია, მაგრამ ისინი თავიანთ ჩანაფიქრს, ღმერთის წყალობით და საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ძალისხმევით, ვერ განახორციელებენ!

***გრიგოლ ონიანი***

# ეს უსინდისობაა!




დაწერა წიგნი „ანტისტალინური სისაძაგლენი", რომელშიც ხაზგასმით ამბობს: — **„61 ბრალდებიდან, რომლებიც ხრუშჩოვმა მე-20 ყრილობაზე წაუყენა სტალინს, არცერთი სიმართლეს არ შეიცავს, ხაზგასმით ვამბობ — არცერთი."**

თქვენ კი — აღიარებული ინტელექტუალი სტალინის სისხლისმსმელობის დასამტკიცებლად **სოლჟენიცინისა** და **მონტეფიორეს** გამოგონილ სისულელეებს იყენებთ. ეს ნამდვილად არ გეკადრებათ, ბატონო ვლადიმერ!

თქვენს მეგობარსა და ქვეყნის პრეზიდენტ **ვლადიმერ პუტინს** კი შეახსენეთ, რომ დიდი სამამულო ომი მხოლოდ **მიხეილ ეგოროვსა** და **მელიტონ ქანთარიას** არ მოუგია, არც **ალექსანდრე მატროსოვისა** და **ზოია კოსმოდემიანსკაიას** თავგანწირვას გადაურჩენია კაცობრიობა კატასტროფისგან. **ზეიმობდე დიდ სამამულო ომში გამარჯვებას და დიდების შარავანდედით არ ამკობდე ამ გამარჯვების სულისჩამდგმელ უმაღლეს მთავარსარდალს, გენერალისიმუს სტალინსა და მის სარდლებს — გიორგი ჟუკოვს, ალექსანდრე ვასილევსკის, კონსტანტინე როკოსოვსკის, ვასილ ჩუიკოვს, ივანე კონევს — მეტისმეტ უსინდისობად მიმაჩნია;** არ გახსოვდეს სსრ კავშირის გმირი სარდლების — **ნიკოლოზ ვატუტინის, ანდრია ერიომენკოს, ვასილ სოკოლოვსკის, ივანე ბაგრამიანისა** და სხვათა სახელები და ხოტბას ასხამდე გამოგონილ გმირებს — ეს სრული ნონსენსია. დიდი სამამულო ომის გმირები მსოფლიოს თვალში ისე არავის დაუკნინებია, როგორც ეს რუსეთის ხელისუფლებამ გააკეთა. **გამაოგნებელი და მკრეხელური იყო სამამულო ომის 77-ე წლისთავზე რუსეთის პრეზიდენტის მილოცვაში ქართველი ხალხის მოხსენიება საბჭოთა რესპუბლიკების ჩამონათვალის ბოლოში, „а также"-ს შემდეგ, თანაც აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მერე, თითქოს ეს ტერიტორიები საქართველოს ისტორიულად არ ეკუთვნის და დამოუკიდებელი სახელმწიფოები არიან; ან რას ემსახურება ქართველი ხალხის წვლილის დაკნინება დიდ სამამულო ომში, როცა ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლებში 300 ათასზე მეტი ჩემი თანამემამულე დაიღუპა — მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით ყველაზე მეტი ომში ჩაბმულ ქვეყნებს შორის?**

მე, ვინც თავს ვთვლი სსრ კავშირის მოქალაქედ, გულდაწყვეტილი ვარ ისტორიის გაყალბების მცდელობით, იმ გაუაზრებელი ნაბიჯებით, რომლებსაც თქვენი ქვეყანა დგამს. არადა, საჭიროა ამ თავგზააბნეული პოსტსაბჭოთა სივრცის სისტემაში მოყვანა და მისთვის განვითარების სწორი მიმართულების ჩვენება, მაგრამ გამოგონილი ბელადები ქვეყნის სწორად მართვას ვერ შეძლებენ.

2016 წელს ჩემს წიგნში („სტალინი". წაკითხული, გაგონილი და განცდილი. ტომი მე-2, გვ. 41) ვწერდი: — **1943 წელს, სტალინგრადის ბრძოლების გმირული ეპოპეის შემდეგ, ფაშიზმის მზის ჩასვენების აღსანიშნავად გენიალური ტილო შექმნა დიდმა ესპანელმა მხატვარმა სალვადორ დალიმ,** მან თავის შედევრში **„გეოპოლიტიკური ყრმა, რომელიც აკვირდება ახალი ადამიანის დაბადებას"** — ზრდასრულად ცნო კვერცხის ფორმის დედამიწის შუაგულში ჩასახული ადამიანი, რომელიც კვერცხისა თუ დედამიწის სფეროს კედელს ანგრევს, რადგან მეტი სივრცე და ჰაერი სჭირდება და გარეთ გამოსვლას ცდილობს. დაბადებას ყველგან სისხლი სდევს და არც ამ ტილოზეა სისხლის ნაკლებობა, მაგრამ საინტერესო არის ის, რომ **დედამიწის სფეროდან სიცოცხლის დაბადებას თვალყურს ადევნებს გეოპოლიტიკოსი და მისი საჩვენებელი თითი მიმართულია ორ ზღვას შუა მდებარე კავკასიონზე, სადაც დიდმა მხატვარმა ახალი სიცოცხლის დაბადება იწინასწარმეტყველა.**

## ვერც ევროპა შობს ახალ ჰიტლერს და ვერც დედამიწის ქერქს გამოანგრევს ახალი სტალინი, მაგრამ, თუ რეალურად შევხედავთ მოვლენებს, დავინახავთ, რომ აშკარაა კაპიტალიზმის კრიზისი, რომელმაც თავის ჯურღმულებში ჩაითრია არამხოლოდ წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნები, არამედ თითქმის მთელი მსოფლიო.

**დედამიწაზე კაცობრიობის გადასარჩენად კი საჭიროა, შევისწავლოთ სტალინის საქმეები და პასუხს ყველა კითხვაზე ვიპოვით!**

## ზეიმობდე დიდ სამამულო ომში გამარჯვებას და დიდების შარავანდედით არ ამკობდე ამ გამარჯვების სულისჩამდგმელ გენერალისიმუს სტალინს?

## ★ ბელადი ხუმრობს

● ერთხელ ყირიმში, დიდი სამეულის სხდომის დაწყების წინ, **რუზველტმა** განაცხადა, რომ დაესიზმრა, თითქოს მთელი მსოფლიოს პრეზიდენტი გახდა. **„მე კი, — მხარი აუბა ჩერჩილმა, — ვნახე, რომ სამყაროს მფლობელი გავხდი.“** ამის შემდეგ ორივე **სტალინს** შეაცქერდა: **„თქვენ რა დაგესიზმრათ, ბატონო მარშალო?“ „დამესიზმრა, რომ ამ პოსტებზე მე დაგამტკიცეთ, ბატონებო,“** — უპასუხა **სტალინმა.**

● **სტალინი ჩერჩილს** ტელეფონზე ესაუბრება: „არა, არა, არა, არა ... დიახ.“

**მოლოტოვი: კობა,** რომელ კითხვაზე უპასუხე „დიახ“?

**სტალინი: ჩერჩილმა** მკითხა, კარგად მესმის თუ არა მისი ხმა.

● **სტალინმა** ჰკითხა მსახიობ **ლუბოვ ორლოვას,** ხომ არ აბრაზებს ქმარი — რეჟისორი **გრიგორი ალექსანდროვი.** „ხდება ხოლმე, ამხანაგო სტალინ.“ „გადაეცი, რომ, თუ გაწყენინებს, ჩამოვახრჩობთ,“ — უთხრა **ბელადმა.** „როგორ?“ — გაოცდა **ორლოვა.** „კისრით“, — მიუგო **სტალინმა.**

## ★ ბელადზე უთქვამთ



★ **„გულწრფელად მწამს, რომ სტალინის ცხოვრებას საუკუნოდ შეინახავს საბჭოთა ხალხი და ეს ყველას დაგვეხმარება, მივუახლოვდეთ იმაზე უკეთეს დროს, ვიდრე ახლახან გადავიტანეთ. მხნედ და იმედიანად დავაბიჯებ ქვეყანაზე იმ ადამიანთან მეგობრობით და ახლო ურთიერთობით გაამაყებული, ვისმა დიდებამაც მარტო რუსეთს კი არა, მთელ მსოფლიოს გადაუარა“.**

*უინსტონ ჩერჩილი,*
*ინგლისის პრემიერ-მინისტრი*
„მეორე მსოფლიო ომი“, ტომი VI, წიგნი II, თავი II, გვ. 345-346.



★ **„სტალინი ფლობს უზარმაზარ საშუალებებს როგორც სტრატეგი და სახელმწიფო მოღვაწე, ვიდრე ერთად აღებული რუზველტი და ჩერჩილი“.**

*ჰიტლერის მოგონებებიდან*
გაზეთი „კომუნისტი“, 1999 წლის 8-11 ივლისი, №26



## ★ კამო ეტო ნადო?

ცნობილი რევოლუციონერის **სიმონ არშაკის ძე ტერ-პეტროსიანის** (იგივე კამოს) დაბადებიდან — **140 წლის,** ხოლო გარდაცვალებიდან **100 წლის** აღსანიშნავად, „გენერალისიმუსის“ სტაჟიანმა ავტორმა **კამო ტერ-პეტრიაშვილმა** შემოგვთავაზა ახალი რუბრიკა

**Камо это надо?**




**ინჩა პეტკა ტაბურეტკა,**
**ტარაკანა გნაც რაზვედკა...**
**მიშამ ქაქი ჭამოს რედკა,**
**ჩაუყენეთ პირში სეტკა!**

**ხვალ 17 მაისია,**
**ზეიმი აქვთ გეებს,**
**ტრანსებს...**
**უბელადო ქვეყანაში**
**ტრა...ს უძღვნიან რევერანსებს!**

**გამარჯვების პარადს ვიდრე**
**უსტალინოდ ატარებენ,**
**რადაშიც და გოსდუმაშიც**
**ხრუშჩოვები ყრანტალებენ!**

**გეკითხებით — მიშას სექტამ**
**მეტი რაღა გააფრინოს?**
**ფრთხილად,**
**„ვივამედის“ გავლით**
**პუტინთან არ გააფრინოს!**

**სულ რომ ოქრო მოუქაქონ**
**ჭარცელმა და დეგნანებმა,**
**ალ-კუპონე გოცირიძე**
**მაინც ტროცკის ემგვანება!**

**ფეხს ვერ მოგვჭამს კამენევი,**
**ეჟოვი და იაგოდა...**
**სალამური არ გამოვა**
**გირჩიდან და იაგოდან!**

## ★ ჩვენი ვიქტორინა

1. დიდი სამამულო ომის დროს „სათადარიგო დედაქალაქი“, რომელშიც სტალინის გარდა მთელი მთავრობა გადავიდა, იყო ქალაქი —

*ა) სვერდლოვსკი; ბ) ჩელიაბინსკი; გ) კუიბიშევი; დ) ნოვოსიბირსკი.*

2. ოპერა „დიადი მეგობრობის“ ავტორი იყო კომპოზიტორი —

*ა) გ. ყანჩელი; ბ) ი. დუნაევსკი; გ) მ. ბლანტერი; დ) ვ. მურადელი.*

3. ქალაქი მაგადანი დაარსდა —

*ა) **1934** წელს; ბ) **1937** წელს; გ) **1940** წელს; დ) **1943** წელს.*

4. მე-19 ყრილობის შემდეგ ი. სტალინის პარტიულ თანამდებობას ერქვა —

*ა) ცკ-ის გენერალური მდივანი; ბ) პარტიის თავმჯდომარე; გ) პარტიის ლიდერი; დ) ცკ-ის მდივანი.*

5. ქალაქი ფრუნზე მდებარეობს —

*ა) თურქმენეთში; ბ) ყაზახეთში; გ) ტაჯიკეთში; დ) ყირგიზეთში.*

6. საბჭოთა არმიაში გენერალისიმუსის წოდება შემოიღეს —

*ა) **1943** წელს; ბ) **1944** წელს; გ) **1945** წელს; დ) **1946** წელს.*

7. საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი ორგანო იყო —

*ა) სახალხო კომისართა საბჭო; ბ) პარტიის ყრილობა; გ) პარტიის ცკ; დ) საბჭოების ყრილობა.*

8. კიროვის მკვლელ ნიკოლაევს ერქვა —

*ა) ლევ; ბ) ლეონარდე; გ) ლეონიდი; დ) ლეონტი.*

9. ძირითადი ფსევდონიმის გარდა, ზოგიერთ ნაშრომს სტალინი ხელს ასე აწერდა —

*ა) ნებიერიძე; ბ) ნემსიწვერიძე; გ) ნიჟარაძე; დ) ნიკურაძე.*

10. სოფელი შუშენსკოე, რომელშიც ლენინი იყო გადასახლებული, მდებარეობს —

*ა) ნოვოსიბირსკის ოლქში; ბ) სვერდლოვის ოლქში; გ) კრასნოიარსკის მხარეში; დ) ასტრახანის მხარეში.*

11. 1918 წელს ტროცკის თანამდებობას ერქვა —

*ა) სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი; ბ) საბჭოთა მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე; გ) სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; დ) საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი.*

## შეკითხვების პასუხები ჩაწერეთ შესაბამის გრაფებში და მიიღებთ სტალინის ცნობილ ფრაზას, რომელიც მან 1935 წლის 4 მაისს წარმოთქვა




1. გერმანელი ფელდმარშალი, რომელმაც ხელი მოაწერა კაპიტულაციის აქტს; 2. სსრკ-ის სახელმწიფო უშიშროების მინისტრი 1947-1951 წლებში; 3. „ბულგარელი ლენინი“; 4. ქალაქი უკრაინაში, სადაც 1941 წელს დიდი სატანკო ბრძოლა გაიმართა; 5. მდინარე, სადაც საბჭოთა და ამერიკელი ჯარისკაცები შეხვდნენ ერთმანეთს; 6. სსრკ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი 1938-1945 წლებში; 7. ადგილი, სადაც 1945 წლის თებერვალში გაიმართა კონფერენცია; 8. სად მოკლეს ილია? 9. ნახევარკუნძული, რომელზეც გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ; 10. სტალინის უმცროსი ვაჟი; 11. რაიხსტაგზე წითელი დროშის ამტანთაგან ერთ-ერთი; 12. აშშ-ის 33-ე პრეზიდენტი; 13. ბალტიისპირეთის რესპუბლიკა, რომელიც საბჭოთა კავშირს შეუერთდა 1939 წელს მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის შემდეგ; 14. ქალაქი, სადაც გაიმართა ცნობილი სასამართლო პროცესი ფაშისტების წინააღმდეგ; 15. სახელგანთქმული ქართველი კომპოზიტორი; 16. გერმანიის შეიარაღებული ძალები, რომლებიც სტალინმა გაანადგურა; 17. გერმანული გადასატანი გასაშიფრ-დასაშიფრი მანქანა; 18. ქალაქი, რომელიც 871 დღის განმავლობაში იყო ბლოკადაში; 19. გერმანელ ფაშისტთა სამხედრო დაზვერვა და კონტრდაზვერვა; 20. ქალაქი, სადაც ჩერჩილმა წარმოთქვა სიტყვა, რომელმაც საფუძველი დაუდო ცივ ომს; 21. ბრიტანელი პოლიტიკოსი, რომელმაც ჩერჩილი შეცვალა პრემიერ-მინისტრის პოსტზე; 22. ორი ქვეყნის მარშალი; 23. გმირი-ქალაქი.

## ★ ვიცინოთ თუ ვიტიროთ?



— გასაკვირია, კაცო, ჩვენთან შობადობა ეცემა და პარლამენტართა რაოდენობა კატასტროფულად იზრდება.

— რაა გასაკვირი, ბავშვის გაჩენას სჭირდება ცხრა თვე, თორემ პარლამენტარს ამ კუნძისგანაც გაგიკეთებ ხუთ წუთში!

*გიგა ცხადაიას ნახატები, ტექსტი ილია ბარამიძისა*

### ამავე გვერდზე გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

1. კაიტელი; 2. აბაკუმოვი; 3. დიმიტროვი; 4. როვნო; 5. ელბა; 6. ბერია; 7. იალტა; 8; წიწამურთან; 9. ყირიმი; 10. ვასილი; 11. ეგოროვი; 12. ტრუმენი; 13. ესტონეთი; 14. ნიურნბერგი; 15. ყანჩელი; 16. ვერმახტი; 17. ენიგმა; 18. ლენინგრადი; 19. აბვერი; 20. ფულტონი; 21. ეტლი; 22. როკოსოვსკი; 23. სევასტოპოლი. ფრაზა: კადრები წყვეტენ ყველაფერს.

### ამავე გვერდზე გამოქვეყნებული ვიქტორინის პასუხები:

1. კუიბიშევი; 2. ვ. მურადელი; 3. 1940 წელს; 4. ცკ-ის მდივანი; 5. ყირგიზეთში; 6. 1945 წელს; 7. საბჭოების ყრილობა; 8. ლეონიდი; 9. ნიჟარაძე; 10. კრასნოიარსკის მხარეში; 11. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი.

2022 წლის 16 მაისი, № 2 (126)
გენერალისიმუსი
გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან
რედაქტორი გრიგოლ ონიანი
„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი. „ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: www.asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: www.facebook.com/Asavali.com გაზეთი დაბეჭდილია „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.
თბილისი, მიხეილ ჭიაურელის ჩიხი №1, სახლი №5
599 29 2000

# შვეიცარიის ბანკი მამუკა ხაზარაძის ფაზაში შევიდა!



*„ბიძინა ივანიშვილი ძალიან ახლოს არის იმასთან, რომ დასავლეთმა ფინანსური სანქციები დაუწესოს!“* ***— ერთი ამბავი ატეხეს ნაცებმა;*** *„შესაძლოა, საქმე გვქონდეს კოორდინირებულ მცდელობასთან, რომ ბიძინა ივანიშვილს — პოლიტიკაში დაბრუნება, ხოლო საქართველოს რუსეთისათვის მეორე ფრონტის გახსნა აიძულონ!“* ***— ლამის ისტერიკაში ჩაცვივდნენ ქოცები.***






## არა, სანქციები არაფერ შუაშია,

### ეს არის შვეიცარიული ბანკის მცდელობა, შური იძიოს ბიძინა ივანიშვილზე, რომელმაც მას სასამართლოში 500 მილიონი დოლარი მოუგო!

ეს ყველაფერი მას შემდეგ მოხდა, რაც გაცხადდა, რომ შვეიცარიულმა ბანკმა **„კრედიტ სუისმა“** ბიძინა ივანიშვილის მიერ ამა წლის 4 აპრილს მოთხოვნილი ფინანსური ტრანზაქცია ერთი თვის დაგვიანებით — 4 მაისს განახორციელა, შეფერხების ოფიციალურ მიზეზად კი „აღმოსავლეთ ევროპაში არსებული გეოპოლიტიკური გარემო“ დაასახელა.

სულაც არ არის გასაკვირი, რომ შვეიცარიული ბანკის მიერ ივანიშვილისათვის ფინანსური ტრანზაქციის დაგვიანება ნაცებმა მაშინვე „დასავლურ სანქციებს“ დაუკავშირეს და სიხარულის ყიჟინა მორთეს — **ასრულდა ჩვენი ოცნება, „რუს ოლიგარქს“ დასავლეთმა კლანჭები გამოუჩინაო,** მაგრამ, ცოტა არ იყოს, უცნაური და გაუგებარია, რა ბზიკმა უკბინა „ქართული ოცნების“ ზოგიერთ ლიდერს, რომლებმაც შვეიცარიული კერძო ბანკისა და ბიძინა ივანიშვილის ურთიერთობაში წარმოქმნილი უხერხულობა რუსეთ-უკრაინის ომსა და მასში საქართველოს ჩათრევის მცდელობას მიაწერეს?

ჯერ ერთი, დასავლეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს რომც უნდოდეთ, ივანიშვილს სანქციების საფრთხე აგრძნობინონ, ამისათვის შვეიცარიული კერძო ბანკის გამოყენება ნამდვილად არ დასჭირდებათ, რადგან ბევრი ღია და კიდევ უფრო მეტი დახურული არხი გააჩნიათ, რომელთა საშუალებითაც შეუძლიათ, „ქართული ოცნების“ სულისჩამდგმელ ექსპრემიერზე პოლიტიკური ზეწოლა სცადონ.

რაც მთავარია, **ამერიკამ და დასავლეთმა მშვენივრად იციან ერთი რამ: თუ ივანიშვილს სანქციებს დაუწესებენ იმის გამო, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება რუსეთს მეორე ფრონტს არ უხსნის, ამას საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილის პროტესტი და იმდენად მძლავრი ანტიდასავლური ტალღა მოჰყვება, შესაძლოა, თბილისის ქუჩები ამერიკისა და ევროკავშირის დამწვარი დროშებით გაივსოს!**

დიახ, ამერიკული და ევროპული სპეცსამსახურები კარგად იცნობენ ქართველი ხალხის უდიდესი ნაწილის განწყობას, რომელიც საქართველოში მშვიდობის შენარჩუნებისა და რუსეთთან ახალი ომის არგაჩაღების საკითხში სრულად ემთხვევა და ემხრობა ხელისუფლების პოზიციას!

**ასე და ამრიგად, აშშ-სა და ევროპას ნამდვილად არ აძლევთ ხელს, ივანიშვილისათვის ყოვლად უსაფუძვლო და პოლიტიკურად მოტივირებული სანქციების დაწესებით საქართველოში ანტიდასავლური ისტერია გამოიწვიონ და ქვეყანას, რომელიც რეგიონში მათი ყველაზე მჭიდრო მოკავშირეა, თავადვე უბიძგონ საგარეო ვექტორის შეცვლისაკენ.**

მაშ, რამ განაპირობა შვეიცარიული კერძო ბანკის ერთგვარი დემარში ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ და რატომ დაუკავშირა „კრედიტ სუისმა“ ფინანსური ტრანზაქციის შეფერხება „აღმოსავლეთ ევროპაში შექმნილ გეოპოლიტიკურ ვითარებას“?

ვფიქრობთ, საქმე გვაქვს შვეიცარიული ბანკის მცდელობასთან, პოლიტიკური ხრიკების გამოყენებით იძიოს შური ბიძინა ივანიშვილზე, რომელმაც მას სასამართლოში 500 მილიონი დოლარი მოუგო!

ამ ასპექტის გათვალისწინებით, პირდაპირ შეგვიძლია ვთქვათ, რომ **შვეიცარიული ბანკი ქართველი ყაჩაღ-ბანკირის მამუკა ხაზარაძის ფაზაში შევიდა!**

გაგახსენებთ: შვეიცარიულ ბანკთან ბიძინა ივანიშვილის დავა ბერმუდის კუნძულების სასამართლოში ჯერ კიდევ 2011 წელს დაიწყო და მთელი 10 წლის განმავლობაში გრძელდებოდა. ქართველმა მილიარდერმა „კრედიტ სუისს“ მას შემდეგ უჩივლა, რაც აღმოაჩინა, რომ ბანკის თანამშრომელი **პატრის ლესკადრონი** მისი კონფიდენციალური ანგარიშიდან ფულს წლების განმავლობაში იპარავდა, მაგრამ ბანკმა, შვეიცარიული მარეგულირებელი კომპანიის მხრიდან არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, საკუთარი თანამშრომლის თაღლითობისა და კლიენტის ძარცვის აღსაკვეთად არავითარი ზომა არ მიიღო. ბერმუდის კუნძულების სასამართლოში დავა ივანიშვილის სასარგებლოდ დასრულდა და შვეიცარიულ ბანკს მისთვის 500 მილიონი დოლარის გადახდა დაეკისრა.

ამ ფაქტმა, რომელიც მთელ მსოფლიოში გახმაურდა, შვეიცარიულ ბანკს არამხოლოდ ფინანსური ზიანი, არამედ სერიოზული რეპუტაციული დარტყმაც მიაყენა. აქედან გამომდინარე, **„კრედიტ სუისი“, რომელმაც იცის, რომ სასამართლოს მიერ ივანიშვილის სასარგებლოდ დაკისრებული კოლოსალური კომპენსაციის გადახდისაგან თავს ვერ დაიძვრენს, ერთგვარ ეშმაკობას მიმართავს — ცდილობს, უკრაინის ხელისუფლების ცალკეულ მაღალჩინოსანთა მიერ საქართველოს ხელისუფლებისა და პირადად ივანიშვილის წინააღმდეგ გაკეთებული პოლიტიკური განცხადებები თავის სასარგებლოდ გამოიყენოს და ისეთი სურათი დახატოს, თითქოს სამართლებრივი დავა არა კეთილსინდისიერ კლიენტთან, არამედ „რუს ოლიგარქობაში ეჭვმიტანილ“ და დასავლური სანქციების პოტენციურ სამიზნედ დასახელებულ პერსონასთან წააგო.**

შვეიცარიული ბანკის **ხაზარაძიზმიც** სწორედ ამაში გამოიხატება!

მოგეხსენებათ, **„თიბისი ბანკის“** ბოსებმა **მამუკა ხაზარაძემ და ბადრი ჯაფარიძემ** პოლიტიკაში მოსვლა მას შემდეგ გადაწყვიტეს, რაც უკანონო ფინანსური ტრანზაქციისა და თაღლითური სქემის გამოყენების გამო სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაემუქრათ. ყაჩაღ-ბანკირი ხაზარაძის მიზანი იყო, ხმამაღლა ეყვირა — **„როგორც ოპოზიციონერს, ივანიშვილის რეჟიმი პოლიტიკურად მდევნის!“** იყვირა კიდეც და უნდა ითქვას, რომ დასახულ მიზანსაც მიაღწია — კიდევ ერთი „პოლიტიკური პატიმრისა“ და ოპოზიციის დასავლელ მოკავშირეთა მორიგი აყეფების თავიდან ასაცილებლად სასამართლომ სამართლებრივი ტრიუკი ჩაატარა, **ანუ ხაზარაძე-ჯაფარიძის ტანდემს პროკურატურის მიერ წარდგენილი ბრალი ისეთ მუხლზე გადაუკვალიფიცირა, რომელიც ხანდაზმულობის გამო პატიმრობას არ ითვალისწინებდა.**

მოკლედ, **ყაჩაღ-ბანკირი ხაზარაძე** პოლიტიკისათვის თავის შეფარებამ ციხეს გადაარჩინა, მაგრამ ვერ იხსნა **„ხანდაზმული თაღლითის“** სამარცხვინო იმიჯისაგან!

**ყაჩაღ-ბანკირ ხაზარაძეს** გაპოლიტიკოსება ვერც **„უბორნიის პოეტების“** დამფინანსებლის, ეროვნული მოძრაობის მიტინგის დამრბევისა და **მერაბ კოსტავაზე ხელის ამწევი ზონდერკომკავშირელის** საბედისწერო თიკუნისაგან გათავისუფლებაში დაეხმარა!

დიდი ალბათობით, **კრახისათვის არის განწირული ხაზარაძის ფაზაში შესული შვეიცარიული ბანკის მცდელობაც, ბიძინა ივანიშვილის დისკრედიტაციისათვის პოლიტიკური მაიმუნობანი გამოიყენოს და ამით საკუთარი შელახული რეპუტაცია გაიუმჯობესოს ან 500-მილიონიანი კომპენსაციის გადახდა აირიდოს!**

პოლიტიკა ყველაფრის წამალი ნამდვილად არ არის, მაგრამ ნამდვილად შეიძლება, იქცეს ყველანაირი დაავადების წყაროდ, რომელიც ადამიანის სულს, სინდისსა და მორალს ანადგურებს!

**გაპოლიტიკოსებული ყაჩაღ-ბანკირი ხაზარაძე სწორედ ასეთი დაავადებებით არის შეპყრობილი და ხაზარაძის ფაზაში შესულ შვეიცარიელ ბანკირებსაც ვინძლო იგივე არ დაემართოთ!**

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**მამუკა არეშიძე**
*ექსპერტი*



ხალხი თუ დაინახავს, რომ **ივანიშვილს ომში საქართველოს არჩართვისთვის სჯიან,** მას ბოლომდე გვერდში დაუდგება.

„იმედინიუსი“

**მამუკა ხაზარაძე**
*„ლელოს“ ლიდერი*



**ბიძინა ივანიშვილს** ანგარიშზე გადარიცხვა შეუყოვნდა და აბობოქრდნენ, თურმე, უნდა გამოვიდეთ ქუჩაში — **მართლა ცოტა აზრზე მოვიდეთ,** მეგობრებო.

„ინტერპრესნიუსი“

**ირაკლი ზარქუა**
*პარლამენტარი*



ივნისის ბოლოს **საქართველო მიიღებს ევროკავშირში წევრობის სტატუსს, გახდება ევროკავშირის წევრი** და ეს იქნება თითოეული ქართველის დამსახურება — **წინასწარ გილოცავთ.**

„ინტერპრესნიუსი“

**გიგა ბოკერია**
*„ევროპული საქართველოს“ ლიდერი*



არსებითი წარმატების მოლოდინი ევროკავშირის გაწევრიანების გზაზე, **ვიდრე საქართველოში ივანიშვილის რეჟიმია,** სამწუხაროდ, არ გამაჩნია.

„ინტერპრესნიუსი“

**ბადრი ჯაფარიძე**
*„ლელოს“ ერთ-ერთი ლიდერი*



თუ **სააკაშვილის** ამბავი ტრაგიკულად დასრულდა, **პოლარიზება და დაპირისპირება** მერე იქნება, თუ იქნება.

„კვირის პალიტრა“

**ვახტანგ ხარჩილავა**
*„საერთო გაზეთის“ მთავარი რედაქტორი*



**ვინც ომისკენ უბიძგებს საქართველოს,** მას სურს, საქართველოს დაეპატრონოს, ოღონდ **საქართველოს ქართველების გარეშე.**

„საერთო გაზეთი“

**ნაცებო, ამაზე რას იტყვით?!**

# დიდი ბრიტანეთის ელჩმა ნაცებს ნაცეთი დამარხა!

***ის, რომ თითქოს საქართველოს ხელისუფლება რუსეთს დასავლური სანქციების გვერდის ავლაში ეხმარება, ნაცბანდისა და მისი ჯიბის ტელევიზიების მთავარი პროპაგანდისტური იარაღია, მაგრამ გასულ კვირას საქართველოში დიდი ბრიტანეთის ელჩმა ნაცების ეს იარაღი ჯართში მოისროლა და, რა თქმა უნდა, თავლაფდასხმულმა ნაცმედიამ ეს ხალხს დაუმალა!***

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ **უკრაინის სამხედრო დაზვერვამ დააბრეხვა,** ჩვენი ინფორმაციით, რუსეთსა და საქართველოს შორის მიმდინარეობს მოლაპარაკებები რუსეთისთვის დაწესებული დასავლური სანქციების გვერდის ასავლელადო!

უმარტივეს კითხვას — **კი მაგრამ, სად არის მტკიცებულებები, რომ საქართველო რუსეთს სანქციების გვერდის ავლაში ეხმარებაო,** ნაცსექტანტები თუთიყუშებივით წინასწარ დაზეპირებული ტექსტით პასუხობდნენ: **თქვენ გგონიათ, უკრაინის დაზვერვა დასავლური სპეცსამსახურების მიერ მიწოდებულ ინფორმაციებს არ ეყრდნობაო?!**

ჰოდა, აი, დიდი ბრიტანეთის ელჩი საქართველოში **მარკ კლეიტონი** ხაზგასმით აცხადებს, რომ **დიდი ბრიტანეთის დაზვერვას არა აქვს უკრაინის სადაზვერვო სამსახურის მსგავსი ინფორმაცია, თითქოს საქართველოს მთავრობა რუსეთს სანქციებისგან თავის არიდებაში ეხმარება!**

მეტიც, დიდი ბრიტანეთის ელჩის შეფასებით, **საქართველო საკუთარ როლს კარგადაც ასრულებს სანქციების უპრეცედენტო პაკეტის დაცვაში,** რომელიც დასავლეთმა რუსეთის წინააღმდეგ აამოქმედა!

*„რაც ვნახე,* ***საქართველოს ეროვნული ბანკი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ საქართველო არ იყოს გამოყენებული რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული ფინანსური სანქციების თავიდან აცილების ადგილად.*** *ჩვენ ვნახეთ მართლაც სწრაფი ქმედება!“* — სიტყვასიტყვით აი, ეს ბრძანა ელჩმა!

აბა, კიდევ როგორ უნდა გადავთარგმნოთ **მარკ კლეიტონის** სიტყვები, თუ არა საკუთარი ქვეყნისა და ხალხის წინააღმდეგ მებრძოლი ნაცხროვის გაბანძებად და დასამარებად?!

**დიდი ბრიტანეთის ელჩის მიერ ჩარეცხილო ნაცებო:** ამაოდ ოცნებობთ მავნებლურად — **საქართველოს ხელისუფლებას სანქციებს არ დაუწესებენ, არა!**

დაბოლოს, საკუთარი ქვეყნის სადაზვერვო სამსახურზე დაყრდნობით დიდი ბრიტანეთის ელჩმა საქართველოში ისიც განაცხადა, რომ **არა აქვს ინფორმაცია საქართველოში რუსეთის მიერ დაგეგმილი პროვოკაციებისა და შესაძლო ხელახალი შემოჭრის შესახებ!**

***გიორგი გიგაური***




**დღესაც აქტუალურია!**

# მართლა თქვით, 18-იანებზე



***პატივცემულო მკითხველო, საქართველოს მეოთხე, მეხუთე და მეექვსე მოწვევის თუ მოწველის პარლამენტის წევრსა და შეწყალების კომისიის ყოფილ თავმჯდომარეს, ქალბატონ ელენე თევდორაძეს ქვეყანა იცნობს!***

## „მე ვიყავი ციხეში და ვნახე, რა შემაშფოთებელი მდგომარეობაა იქ. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა საშინლად ხმარობენ პატიმრებს!“

მთელ საქართველოს ახსოვს მისი ჩიქორთული... ელენე თევდორაძემ, რომელიც გერმანული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტია, ქართული ვერა და ვერ ისწავლა. ამიტომ პარლამენტში, სატელევიზიო ეთერებსა თუ სხვა სახის საჯარო გამოსვლებში მისი უცნაური ქართულის გამო ხშირად ანეკდოტური სიტუაცია იქმნებოდა.

ამ რამდენიმე დღის წინათ ინტერნეტსივრცეში იმ გამოთქმათა ნაკრები გავრცელდა, რომელიც, სავარაუდოდ, სწორედ ელენე თევდორაძეს ეკუთვნის... **ღმერთმა უწყის, ვინ შეაგროვა და სად მოიძია ამდენი სახალისო მასალა, მაგრამ ფაქტია, რომ წინამდებარე იუმორისტულ ფრაზებს, ანუ, როგორც მას ჩვენში უწოდებენ, ხოხმებს, თავისი მნიშვნელობა დღემდე არ დაუკარგავთ და ახლანდელ პოლიტიკურ რეალობასაც ძველებური სიცხადით ეხმიანებიან.** შესაბამისად, ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ მას შემდეგ, რაც ამ ოცდაათი წლის წინათ ელენე თევდორაძე პარლამენტის წევრი გახდა, საქართველოში პოლიტიკური პროცესიც და ამ ფრაზების ადრესატებიც დროში გაიყინნენ...

მაშ ასე, პატივცემულო მკითხველო, **წარმოგიდგენთ ელენე თევდორაძის სავარაუდო სახალისო გამოთქმებს შესაბამისი კომენტარებითურთ, ხოლო მრავალნაცად პარლამენტარს, რომელმაც ზურაბ ჟვანიას ბოლომდე უერთგულა და მეგობრის მკვლელებს არ შეეკრა, ვეკითხებით — ქალბატონო ელენე, ეს ყველაფერი მართლა თქვით?**

**1.** ელენე თევდორაძე მიმართავს საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერ **ვახტანგ ყოლბაიას** — **„დიდი მადლობა ბატონო ვახტანგ, რომ მხარი დაუჭირეთ ამ ჩემისას!“**

*ქალბატონო ელენე, ბატონი ვახტანგი სულ* ***„ამ ჩემისას“*** *უჭერდა მხარს და რა ღმერთი გაუწყრებოდა, ახლა სხვაგვარად მოქცეულიყო? სხვათაშორის, ჩვენი პარლამენტი დაწყევლილია, რადგან ახლაც* ***„ამ ჩემისებს“*** *უჭერს მხარს! მაგალითად, „ქართული ოცნების“ წინა მოწვევის პარლამენტმა თავსლაფი დაისხა, როცა აფრასიძეების მკვლელი და კიდევ ათას უბედურებაში გარეული* ***„ქუმდარა“ — გიორგი ბარამიძე,*** *ანუ* ***„ეს ჩემისა“*** *ვიცე-სპიკერად გაამწესა! აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ ისევე, როგორც ბევრი სხვა რამ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ანუ ჩვენი სახელოვანი ალმა-მატერიც სწორედ* ***„ამ ჩემისებმა“*** *დააქციეს და სათხებოს დაამსგავსეს.* ***„ამ ჩემისებით“,*** *ანუ მამალი ნაცებით არის სავსე განათლების სამინისტრო, სასამართლო, პროკურატურა და ყველა ძალოვანი უწყება...*

**2. „ეგენი უთხრეს, უთხრეს და გაუთხრეს ტუნელი და სამი პატიმრები გაქცევაში მიიმყოფებიან!“**

*ქალბატონი ელენე, სავარაუდოდ, აქ იმ გახმაურებულ ისტორიაზე უნდა საუბრობდეს, როცა* ***ლოთი ქობალია, გურამ აბსანძე*** *და კიდევ ერთი პატიმარი ციხიდან გვირაბის საშუალებით გაიქცნენ. ეს ის შემთხვევაა, როცა ყველაზე საუკეთესო კომენტარი* ***სალომე ზურაბიშვილის*** *მიერ წარმოთქმული ცნობილი ფრთიანი ფრაზა იქნება —* ***„სადაც უნდა გათხარო, ყველგან შეგიძლია გათხარო!“***

**3. „მე მინდა ხაზგასმით გავუსვა, რომ საჭიროა არა მხოლოდ დაპირობა, არამედ ხალხის რეალური მისაქმება, თორემ სულ ვპირდებით და სულ მოტყუვნებულები რჩებიან!“**

*სრული ჭეშმარიტებაა, ქალბატონო ელენე! დასაქმებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ხალხი დიდი ხანია* ***„მისაქმებულიც“*** *არის და* ***„მოტყუვნებულიც“!*** *ის კი არა, უფშვიტინე სააკაშვილი ერთ-ერთ სატელევიზიო გამოსვლაში მთელი საქართველოს მოსახლეობას დაემუქრა —* ***„მე თქვენ მოგიტყვანთო!“*** *სააკოვმა ეს დაპირებაც შეასრულა...*

**4. „მე ვიყავი ციხეში და ვნახე, რა შემაშფოთებელი მდგომარეობაა იქ. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა საშინლად ხმარობენ პატიმრებს!“**

*ეჰ, ქალბატონო ელენე, თქვენ პატიმრების* ***„ხმარება“*** *მაშინ უნდა გენახათ, სააკაშვილი რომ პრეზიდენტი გახდა, ხოლო* ***მერაბიშვილებმა, ადეიშვილებმა, კოდუებმა, ახალაიებმა და შაშკინებმა*** *თავიანთი* ***„კასტილებით“, „კილერებით“, კოხტა კოდუებით, გაგა მკურნალიძეებითა და თემურ უბირიებით*** *პენიტენციური სისტემა და, საერთოდ, ძალოვანი უწყებები ჯიბეში ჩაიდეს... თქვენ დროს ციხეებში მსუბუქ ეროტიკას იღებდნენ, ხოლო სააკოვმა ცხელი პორნოგრაფია გადაიღო სადომაზოხისტური, კანიბალური და ნეკროფილური აქცენტებით.*

**5. „ტოლერანტობა ნიშნავს ურთიერთგაგებას — მე — შენისა, შენ — ჩემისა!“**

*სწორედ ამდაგვარი* ***„ტოლერანტობაა“*** *თანამედროვე ქართული პოლიტიკის გასაღები — იმისათვის, რათა პოლიტიკაში ახალი, ეროვნული და სუფთა ძალა არ მოვიდეს, ნაცები და „ქოცები“ ერთმანეთს სწორედ ამ პრინციპით ეკურკურებიან —* ***„მე — შენისა, შენ — ჩემისა!“*** *ამ სტრატეგიის საუკეთესო დემონსტრაცია გახლდათ* ***მამუკა მდინარაძისა*** *და გაქანებული ნაცების მიერ ლონდონში შესრულებული ერთობლივი სიმღერა —* ***„ვინც ჩვენზე ცუდი რამე თქვას, გული გაუკოს დანამა!“***

**6. „გთხოვთ, ჩემი მოსაზრება შეიტენოთ... ახ, შეიტანოთ დღის წესრიგში!“**

*ქართველობისა და მართლმადიდებლობის შეჭირვებული და შერყეული მდგომარეობა დღევანდელ საქართველოში გვაიძულებს, დავეთანხმოთ ელენე თევდორაძეს და ვთქვათ, რომ იმ დღის წესრიგში, რომელმაც ქვეყანა უნდა გადაარჩინოს, ჯერჯერობით ყველაფერი მართლაცდა* ***„შეტენილია“*** *და არა* ***შეტანილი!***

**7. „როცა პიდაგოგი ვიყავი, მოწაფეებს სულ კარგებს ვუწერავდი!“**

*ეტყობა, ქალბატონი ელენე ვერაფრით იფიქრებდა იმ ამბავს, რომ ერთ მშვენიერ დღეს საქართველოს პრემიერ-მინისტრი* ***ბიორბი ქვირიქაშვილი*** *საქართველოს პარლამენტში წონასწორობას დაკარგავდა და კარგებს არათუ მოწაფეებს, არამედ ნაცპარტიის რაიხსმარშალ* ***ნიკანორ მელიასაც*** *კი* ***„დაუწერავდა“!***

**8. ნარკოტესტი ჩაუტარეს პარლამენტარებს, რაზეც ქალბატონმა ელენემ აღნიშნა — „ჩვენ ყველანი გამოკვლევებულები ვართ!“**

*ღმერთმანი, იშვიათი თვითაღიარება და თვითკრიტიკაა! საერთოდ,* ***„გამოკვლევებულობის“*** *პრობლემა ქართულ პოლიტიკაში სწორედ ელენე თევდორაძემ წამოსწია.* ***ქალბა-***

**კვირგვინოსნები**

**სანდრო რაქვიაშვილი**
*„გირჩის“ წევრი*



უკრაინისთვის უფრო სერიოზული დახმარება იქნება **მეორე ფრონტი ჩინეთიდან და იაპონიიდან,** რატომ არ ხსნიან? საქართველო რითი გამოირჩევა, ვინც ამაზე აქცენტს აკეთებს, სხვა მიზეზები უნდა ჰქონდეს.

„პირველი არხი“

**ზაზა შათირიშვილი**
*ფილოსოფოსი*



დღეს უკვე საქართველოსა და უკრაინაში არსებული **მეხუთე კოლონა** მათი „დამკვეთის“ დავალებით ღიად და დაუფარავად აცხადებს, რომ **ომი არის „ერთადერთი სწორი გზა“** ჩვენი ქვეყნისთვის.

გრძელდება მუდმივი მცდელობა, რამენაირად **დააშანტაჟონ** საქართველოს ხელისუფლება, რომ ქვეყანა **ომში ჩაითრიონ.**

„აიპრესი“

**თორნიკე შარაშენიძე**
*საგარეო პოლიტიკის ექსპერტი*



**ომი,** ალბათ, სერიოზულად გაიწელება, ტერმინია ასეთი: **„ომი გამოფიტვაზე“,** რაც ყველაზე **კოშმარული ომია.**

„რეზონანსი“

**გაბრიელიუს ლანდსბერგისი**
*ლიეტუვის საგარეო საქმეთა მინისტრი*



**პუტინის თანამდებობიდან გადაყენება ერთადერთი გზაა** მოსკოვის საფრთხისგან **დასავლეთისა და მისი მოკავშირეების დასაცავად.**

„რეზონანსი“

**ალექსი პეტრიაშვილი**
*დიპლომატი, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი*



**უკრაინაში რუსეთის ომმა** კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ **ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანების იქით** საქართველოს არჩევანი არ არსებობს.

„ინტერპრესნიუსი“

დღესაც აქტუალურია!

# ქალბატონო ელენე?!

**ტონი ელენეს გარდა არავის აღმოაჩნდა სინდის-ნამუსი, ქართველი ხალხისთვის მწარე სიმართლე ეთქვა და ქვეყნის წახდენის მიზეზი დაესახელებინა** — „პოლიტრიკოსთა გამოკვლევება"!



**9. „სანამდე ადამიანის ლიკვიდაციას მოჰკიდებ ხელს, მანამდე უნდა გააფრთხილო იგი!"**

ეს ის შემთხვევაა, როცა სააკაშვილმა ელენე თევდორაძის რჩევა ყურად იღო და ვიდრე მოკლავდა, ბიძამისის — თემურ ალასანიას პირით ზურაბ ჟვანია გააფრთხილა. როგორც აწ განსვენებული პრემიერ-მინისტრის ძმამ **გოგლა ჟვანიამ** მითხრა, ამ გაფრთხილებისა და მუქარის შემდეგ **ზურაბ ჟვანია** ცოლ-შვილთან ერთად აპირებდა ქვეყნის დატოვებას და ამერიკაში წასვლას, მაგრამ, როგორც ჩანს, სააკაშვილისა და ბიძამისის გეგმებში რაღაც შეიცვალა და ჟვანიამ საქართველოდან ვერ გაასწრო!

**10. „როდემდე ვეკიდოთ ბომბზე ჩამოკიდული?"**

ამ სახალისო ფრაზის „გატრეზევება", ცხადია, ბევრნაირად შეიძლება, მაგრამ მაინც გვგონია, რომ ეს ისეთივე უბოროტო შეცდომაა, როგორიც ცხონებულმა **ვანო ზოდელავამ** თქვა ერთხელ ხალხმრავალი აუდიტორიის წინაშე — **„ცხონებული ზვიადი და მერაბი რომ ცოცხლები იყვნენ, საფლავში გადატრიალდებოდნენ!"**

**11. „ზოგი რომ ფრაქციებს იცვლის, როგორც ჩიტი გადამფრინველი, ანდა როგორც ბიკინის კომპლექტი „ნედელია", ეს ცოტა არ იყოს, არაეთნიკურია!"**

„არაეთნიკურობა" თქვენ ახლა უნდა ნახოთ, ქალბატონო ელენე! **თქვენ დროს პარლამენტში „ნედელია" ბიკინები მაინც ეცვათ, ახლა სულ აღარაფერი აცვიათ და ამის გამო პარლამენტში ისეთი სუნი დგას, მტრისას!** აი, მაგალითად, ამ ორი წლის წინათ, **ირმა ნადირაშვილმა და ლელა ქებურიამ** პარლამენტი რომ ააქოთეს, მაშინ ეს საქმე კარგად შეისწავლეს და ჩვენი ინფორმაციით, ასეთი დასკვნა დაიდო — **იმ დღეს არც ლელა ქებურიას და არც ირმა ნადირაშვილს „ნედელია" ბიკინი არ ეცვათ, შესაბამისად, პარლამენტის სხდომათა დარბაზში სუნიც იმიტომ დადგა!** არადა, ყველაფერი **ალექსანდრე დოროგოვის „ასდ"**-ს დააბრალეს — დეპუტატმა ქალებმა სითხე მოასხესო!

> **„ეგენი უთხრეს, უთხრეს და გაუთხრეს ტუნელი და სამი პატიმრები გაქცევაში მიიმყოფებიან!"**

**12. „ზოგი ჩვენი კოლეგა ამაში ვერ ერკვევა, ანუ, როგორც იტყვიან, ტყემალში ზის!"**

ტყემალში კი არა, ტყემალზე სააკაშვილი იჯდა, როცა თანატოლები ფეხბურთს არ ათამაშებდნენ და ამის გამო სწორედ ხის ტოტზე ჩამომჯდარი საფეხბურთო მატჩს კომენტატორობდა. პრეზიდენტი რომ გახდა, სააკაშვილმა ის ტყემლის ხე მოჭრა. **ახლანდელ საქართველოში ოპოზიცია უფრო საცივში თავის ჩაყოფაზეა დასპეციალებული, ვიდრე ტყემალზე ჯდომაში, რის შესახებაც ამ რამდენიმე თვის წინათ ბიცოლა-დეიდა ნინო ბურჯანაძემ რიხით გვაუწყა!** ისე, მე თუ მკითხავთ და ცნობილ მასტურბატორს — **ლაშა ბუღაძეს** დავესესხებით, ოპოზიცია **„მაგარ მძღ...შია!"** (ცენზურა ჩვენია. რედ.).

**13. „ხშირად რომ ვუყურებდი, ალბათ, იმიტომ დავემსგავსეთ ერთმანეთს! (ალენ დელონზე საუბრობს)".**

ქალბატონო ელენე, ეგ თქვენსა და ალენ დელონზე კი არა, მოხუც გინეკოლოგსა და მისი დაკვირვების მუდმივ ობიექტზეა ნათქვამი!

**14. „რაღაა ჩვენი ჰუმანურობა, თუ უმცეოს არ შეეციე?!"**

ამ პრინციპით ყველაზე დიდი ჰუმანისტი **მამუკა ხაზარაძე** გამოდის, რადგან ძალიან ცოტა ვინმე თუ დარჩა საქართველოში, **ვისაც ხაზარაძემ და მისმა „ბრაშკამ" მართლაცდა არ „შეეციეს" და კუდის რიკამდე არ გაატყავეს!**

**15. „ეგ ბიუდჟეტი ისეთივე უტოპია, როგორც გერასიმმა მუმუ!"**

ეს, ალბათ, ქალბატონი ელენეს ერთგვარი ლიტერატურული რებუსია, რომელიც ცნობილი რუსი მწერლის **ივანე ტურგენევის** გახმაურებულ მოთხრობას **„მუმუს"** უკავშირდება. ცნობილია, რომ **„გერასიმმა", რომელიც ბავშვობიდან ყრუ-მუნჯი იყო, თავისი გამოზრდილი ძაღლი მუმუ თავადვე დაახრჩო. ფაქტია, რომ ელენე თევდორაძის დროს ბიუჯეტს მართლაცდა მუმუსავით ახრჩობდნენ, ხოლო ახლა მთელ საქართველოს უპირებენ დახრჩობასა და ომის ქარცეცხლში გახვევას, რათა ეს პოლიტიკურ-ბიოლოგიური მძორი — სააკოვი როგორმე ციხიდან გამოათრიონ!**

**16. „და ჩვენ აღვდგებით, როგორც პენიქსები... ფერფლიდან!"**

ცნობილია, რომ ზღაპრული ფრინველი — **ფენიქსი** მართლაც ფერფლიდან აღდგა. რაც შეეხებათ **„პენიქსებსა"** და **პენისებს,** ანუ ხაბაზს, ბარამიძესა და სხვებს, **ესენი უკრაინაში აღდგნენ, როცა გაპრიალებული ჩექმებითა და სამხედრო ფორმით კიდევ უფრო გაკრიალებულ ოთახებში „ჯაველინებით" ხელში „სელფებს" იღებდნენ და ქვეყანას ომში ეპატიჟებოდნენ!**

**17. „მივმართავ შინაგან საქმეთა მინისტრს, თავი დაანებოს პატიმარ კაკო ელიავას. მე შევხვდი მას, მე მას მივაწექი, ის მე მომაწვა და ამ მიწოლ-მოწოლაში მოვნახეთ საერთო ენა!"**

ქალბატონო ელენე, **„მიწოლ-მოწოლა"** ყოველთვის სჯობდა **„ჩასაფრება-ჩაჟლეტას!"** ცხონებულ **აკაკი ელიავასთან** „საერთო ენის გამონახვა" თქვენ კი შეძელით, მაგრამ **რუბენ ასანიძესა** და **ლევან კენჭაძეს** ზემოდან სულ სხვა დავალება ჰქონდათ... ამიტომაც იყო, რომ ეკის ტყეში „მიწოლ-მოწოლა" ზესტაფონში **„ჩასაფრება-ჩაჟლეტამ"** სისხლით წალეკა...

**18. „პარლამენტის ბიუროს ოთახში დეპუტატები ორ გრძელ მაგიდასთან ისხდნენ. ერთ-ერთ სხდომაზე ელენე თევდორაძე რაღაცას წერდა, მისი კოლეგები კი ერთმანეთში საუბრობდნენ და, როგორც ჩანს, ზედმეტად აქტიურად იქნევდნენ ხელებს. მაგიდა ყანყალებდა და თევდორაძეს მუშაობაში ხელი ეშლებოდა. — ოიჰ, ვინ ანძრევს მანდ?! — იკითხა აღშფოთებულმა ქალბატონმა ელენემ."**

ძვირფასო მკითხველო, ჩვენი აზრით, ეს სააკოვისა და მისი ბანდის მისამართით დასმული რიტორიკული შეკითხვაა! თუმცა, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ **ელენე თევდორაძისეული შეძახილი სრულიად ქართულ პოლიტიკურ სპექტრს ეკუთვნის. თევდორაძე არ შემცდარა, როცა ატოცში შარვალჩახდილებსა და 2021 წლის 4 მაისს გეი-მანიფესტზე ხელმომწერ გეი-პარტიებს ჰკითხა — „ოიჰ, ვინ ანძრევს მანდ?"**

დარწმუნებული ვარ, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ამ შეკითხვას ქართველი ერი უცდომლად უპასუხებს!

**დიტო ჩუბინიძე**

## ნათქვამი

ნაცებო, კიდევ რა გინდათ?!




# სააკაშვილს აქ, საქართველოში, პატიმრობით უნდა უმკურნალონ!

***ნაცების საპარლამენტო ფრაქცია საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისთვის თავდებში ჩადგომის ინიციატივით პარლამენტს მიმართავს! ნაცპარტიის წევრების განცხადებით, თუ საქართველოს ხელისუფლება სააკაშვილს საზღვარგარეთ მკურნალობის შესაძლებლობას მისცემს, რეაბილიტაციის შემდეგ ის ქვეყანაში დაბრუნდება და სასჯელს მოიხდის!***

და თუ არ დაბრუნდება, ჩვენ ჩაგვსვით ციხეშიო! საერთოდ, **თავდებობის** ინსტიტუტი მთელ ცივილიზებულ სამყაროშია აპრობირებული: ცნობილი და საზოგადოებაში პატივცემული ადამიანები **თავდებში** უდგებიან ვინმეს — პატიმარს, დამწყებ ბიზნესმენს თუ გზასაცდენილ პედაგოგს, რომელსაც რაღაც შეეშალა და მეორე შანსი უნდა მიეცეს რეაბილიტაციისათვის! მაგალითად, ასეთი **თავდებობა** არაერთხელ განხორციელებულა საქართველოშიც და ეს, ძირითადად, ბრალდებულის გირაოთი გათავისუფლებისას ხდება ხოლმე.

მოკლედ, **თავდებობის** ინსტიტუტში უმთავრესი ის არის, რომ ვიღაცას **თავდებში** უდგებიან ადამიანები, რომელთა რეპუტაცია უმწიკვლოა და მათდამი საზოგადოებრივი პატივისცემა არავითარ ეჭვს არ იწვევს! ჰოდა, ახლა წარმოიდგინეთ, თითქოს საქართველოს ხელისუფლება ჭკუიდან გადავიდა და ნაცდეპუტატთა **თავდებობას** დაეთანხმა! რომელი დეპუტატია სანაცეთში, ვისაც უმწიკვლო რეპუტაცია და საზოგადოების უპირობო პატივისცემა აქვს?! გიჭირთ ხომ ასეთის გახსენება?

## სად გაგონილა, ბანდის წევრები ბანდის მეთაურს თავდებში დასდგომოდნენ, ციხიდან სამკურნალოდ გაუშვით და უკან დაბრუნდებაო?!

გსმენიათ სადმე, მკვლელების, ჯალათებისა და მწამებლების ხროვა **თავდებში** უდგებოდეს მთავარ მკვლელს, ჯალათსა და მწამებელს, ფუფუა სტკივა, დედასთან უნდა, უცხოეთში გამოჯანმრთელდება და დაბრუნდება ციხეშიო?! და როცა არ დაბრუნდება უცხოეთში ნამკურნალები **სააკაშვილი,** მერე ვინ უნდა აგოს პასუხი?! **ხატია დეკანოიძეს** ან **ეკა ხერხეულიძეს** ჩასვამენ ციხეში, რომ შემდეგ მთელ მსოფლიოში იკივლონ, „ქართული ოცნება" უკვე ქალ დეპუტატებს იჭერსო? ყველაზე სახალისო ამ ამბავში ის არის, რომ ერთ-ერთ „ნაცფიურერშას" — დეპუტატ **ხატია დეკანოიძეს** პირდაპირ ეთერში ლაქლაქისას წამოსცდა: **თუ სააკაშვილს უცხოეთში გადაიყვანენ და იქ გამოჯანმრთელდა, მერე თავად გადაწყვეტს, დაბრუნდეს თუ არა ასეთ სამართლებრივ საქართველოშიო!**

მოკლედ, **სააკაშვილს აქ, საქართველოში, პატიმრობით უნდა უმკურნალონ** — ეს ქართველი ხალხის ვალია! მეორეც, არავითარი უთავო და უშუბლისძარღვო ნაცების **თავდებობა!** ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც სააკაშვილის გამო **თავდებობა** კი არა, **ნაცდებობაც** უადგილოა!

**გიორგი გიგაური**

## კვირგვინოსნები

**იგორ კვესელავა**
ანალიტიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი



**ეს ომი მეორე მსოფლიო ომის პირდაპირი გაგრძელებაა,** რომელიც მსოფლიოს ახალ გადანაწილებას ისახავს მიზნად. ქართველმა ხალხმა უნდა იცოდეს: **ამ უმძიმეს ვითარებაში საქართველოს მხსნელი არის ირაკლი ღარიბაშვილი,** რომელიც დღეს იმავე როლს ასრულებს, რაც თავის დროზე **დიმიტრი თავდადებულმა** შეასრულა ქვეყნის გადასარჩენად.

„საერთო გაზეთი"

**ნანა კაკაბაძე**
„ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის" თავმჯდომარე



რუსეთთან **პირდაპირ ომში ჩაბმას** თავს არიდებენ აშშ-იც, ევროპის ქვეყნებიც და სხვებიც და რატომღაც ეს არავის უკვირს, ხოლო, **თუ საქართველოს ხელისუფლება მოიქცევა ასე, მაშინვე დაესევიან დასაკორტნად** შინაური თუ გარეული ყვავ-ყორნები.

„იმედინიუსი"

**თენგიზ ფხალაძე**
საერთაშორისო პოლიტიკის მკვლევარი



დიდი სიფრთხილე გვმართებს — **ჩვენ რუსეთის სამიზნე ვართ.** ამიტომ ახლა მთელი ძალისხმევა ერთმანეთთან დაპირისპირებაზე კი არა, ეროვნულ ინტერესებსა და უსაფრთხოებაზე უნდა მივმართოთ. თუ არადა, **ერთ დღეს რუსეთი ისე დაგვამხობს თავზე ქვეყანას, გონზეც ვერ მოვალთ,** სახელმწიფო აღარ გვექნება.

„კვირის პალიტრა"

**ხათუნა ლაგაზიძე**
ანალიტიკოსი



**კატეგორიულად მიუღებელია** უკრაინის ვიცე-პრემიერის განცხადება, რომ **საქართველომ კიდევ რამდენიმე პოლიტიკური ვადა, ანუ წლები უნდა მოიცადოს** იმისათვის, რომ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მისცენ.

„აიპრესი"

# პატიმარ სააკაშვილის ციხეში საკითხავი

# სააკაშვილის „ძალის გამოღვიძება“ და რუსთავის საპყრობილეში მიძინება!




***„ასავალ-დასავალი“ აგრძელებს მიხეილ სააკაშვილის ქართულ ენაზე დასტამბული მემუარების მიმოხილვას. ეს წიგნი ნაცთა ფიურერმა ჯერ კიდევ უკრაინაში ცხოვრებისას გამოსცა და იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც სწორედ ამ ნაშრომით გეგმავდა საქართველოში სარევოლუციოდ „ძალის გამოღვიძებას“, როგორც ადოლფ ჰიტლერი თავისი „მაინ კამპფით“, ანუ „ჩემი ბრძოლით“!***

მიხეილ სააკაშვილი თავის მემუარებში **2004 წლის გაზაფხულის „აჭარის კრიზისზე“** თხრობისას აღწერს, როგორ გამართა ბათუმში მოლაპარაკებები **ასლან აბაშიძესთან,** რომელიც კომპრომისზე წავიდა და თურქეთის საზღვარზე მდებარე სარფის საბაჟოზე ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელთა შესვლას დათანხმდა! ეს ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო, რათა, ასე თუ ისე, დამთბარიყო ურთიერთობები საქართველოს ხელისუფლებასთან, რომელსაც აჭარის ლიდერი არ ენდობოდა!

თუმცა, ამ კომპრომისის მიღწევის შემდეგ პრეზიდენტი სააკაშვილი უკრაინისაგან უკვე სამხედრო შეიარაღების შესყიდვას იწყებს აჭარის წინაშე ძალის დემონსტრირებისთვის:

***„აპრილის ბოლოს ჩვენთან მანევრები დაიწყო. ჯარი, როგორც ასეთი, იმ პერიოდში, როგორც ასეთი, არც გვყავდა, ამიტომაც მანევრებიც უვარგისი იყო. თუმცა, იმ დროისთვის კუჩმამ, ჩემი თხოვნით, რამდენიმე ვერტმფრენი მი-24, ჯავშანმანქანა და БМП მოგვყიდა. მისი შემდგომი უკრაინელი მმართველებისგან განსხვავებით, ის სწრაფად იღებდა გადაწყვეტილებებს და მათ სწრაფ რეალიზებას ახდენდა. ის არ შეჰყურებდა პუტინს თვალებში. ეს მისი მხრიდან კეთილშობილური ჟესტი იყო, თითქმის საჩუქარი. შემდეგ ჩვენ განვადებით გადავუხადეთ“*** *(მ. სააკაშვილი, „ძალის გამოღვიძება“, გვ. 80).*

როგორც ხედავთ, **ლეონიდ კუჩმას** ამ ქება-დიდებაში სააკაშვილმა თავის მეგობარსა და შვილის ნათლიას — უკრაინის პრეზიდენტ **ვიქტორ იუშჩენკოსაც** ტალახი მიასხა, თუმცა, ამაზე არ შევყოვნდებით!

ახლა ნახეთ, როგორ გამოიყენა სააკაშვილმა უკრაინისაგან ნაყიდი ვერტმფრენები:

***„გადავწყვიტე, მანევრებზე ახალი მი-24-ით გავფრენილიყავი. აბაშიძემ ადმინისტრაციულ საზღვარზე სრული მზადყოფნა გამოაცხადა. მე ტყვიამფრქვევის კაბინაში ვიჯექი, რომელიც პილოტის კაბინის ქვემოთაა მოთავსებული. წინასწარ მოვილაპარაკეთ, რომ აბაშიძის რაზმების პოზიციებს გადავუფრენდით. კაბინებს შორის კავშირი არ არის, მაგრამ პილოტს მიწასთან ჰქონდა კომუნიკაცია. მას აცნობეს, რომ აბაშიძის მებრძოლებმა საზენიტო ქვემეხები დააყენეს და ვერტმფრენის ჩამოგდების ბრძანება მიიღეს, თუკი ის მათ ტერიტორიაზე შეფრინდებოდა“*** *(იქვე, გვ. 80).*

ჯერ ერთი, სააკაშვილი საკუთარი პირით ამბობს, რომ ის არამხოლოდ აბსოლუტურად უპასუხისმგებლო პოლიტიკანია, არამედ არანაკლებ აბსოლუტურად ზნედაცემული პროვოკატორიც! რა უნდოდა ქვეყნის პრეზიდენტს საბრძოლო ვერტმფრენის მეტყვიამფრქვევის კაბინაში, თანაც, წინასწარ განზრახული პროვოკატორული გეგმით, რომ აჭარაში ასე შეფრინდებოდა და ასლან აბაშიძის პროვოცირებას მოახდენდა?!

მეორეც, სააკაშვილი აშკარად ცრუობს, როცა ამბობს, აბაშიძის მებრძოლებმა საზენიტო ქვემეხები დააყენეს და ვერტმფრენის ჩამოგდების ბრძანება მიიღეს, თუკი ის მათ ტერიტორიაზე შეფრინდებოდაო! დიდი სამხედრო ექსპერტობა არ სჭირდება იმის გააზრებას, რომ თბილისიდან აფრენილი ვერტმფრენი აჭარაში ნახევარ საათში იქნება და ამ ხნის განმავლობაში ვერავითარი საზენიტო ქვემეხები ვერ დაყენდებოდა!

მითუმეტეს, აჭარაში არავინ გასცემდა ბრძანებას, სააკაშვილი რომ ზის ვერტმფრენში, ცეცხლი გაუხსენით და ჩამოაგდეთო!

თუმცა, სააკაშვილი ისეა ეშხში შესული თავისი „რემბოობის“ შეთხზვით, რომ ექსტაზში შესული აგრძელებს ამ ამბის თხრობას:

***„აჭარის საჰაერო სივრცეში თითქმის შესული ვერტმფრენი პილოტმა უეცრად მარჯვნივ, ფოთის მხარეს მიაბრუნა. მე მას ჟესტებით ვანიშნებ, მარცხნივ წადი-მეთქი, ის არ მემორჩილება, მიფრინავს მარჯვნივ. ერთი სიტყვით, მარჯვნივ გადავუხვიეთ...“*** *(იქვე, გვ. 80).*

ანუ ცრუპენტელა სააკაშვილს სურს, დაგვაჯეროს, რომ ის გამოცდილი შტურმანივით ჰაერში მიხვდა, როგორ გადაუხვია პილოტმა ფოთისკენ და ხელების ქნევა დაუწყო, მარცხნივ წადი, მარცხნივ — აჭარისკენო, მაგრამ, ჰოი, საოცრებავ, პილოტი არ დაემორჩილა პრეზიდენტს!

ფოთში ჩაფრენილმა სააკაშვილმა, რომელსაც აჭარაზე „საჰაერო შტურმი“ ჩაეშალა, ახლა ზღვიდან გადაწყვიტა შეტევა:

***„როდესაც დავეშვით, საგუშაგო კატარღაზე გადავჯექი. ის იყო, ზღვაში გავედით, რომ ინფორმაცია მივიღეთ, რომ აბაშიძეს აუფეთქებია ოთხივე ხიდი, რომლებიც აჭარას დანარჩენ საქართველოსთან აკავშირებდა. ეს მისთვის ნამდვილი პოლიტიკური თვითმკვლელობა იყო: მან დაანახა მოსახლეობას, რომელთა შორის პოპულარული ვიყავი, რომ საქართველოსთან ყოველგვარ კავშირს წყვეტდა“*** *(იქვე, გვ. 80).*

რა თქმა უნდა, ესეც სააკაშვილის ბოროტი სიცრუეა, ჩოლოქის ხიდის აფეთქებით **ასლან აბაშიძემ** დაანახა მოსახლეობას, რომ საქართველოსთან ყოველგვარ კავშირს წყვეტდაო! ამით სააკაშვილს სურს, აჭარის იმჟამინდელი ლიდერის დემონიზაციით, დაგვაჯეროს, თითქოს ასლან აბაშიძე აჭარის საქართველოდან გამოყოფასაც კი გეგმავდაო!

**თუ სააკაშვილი საგუშაგო კატარღით აპირებდა ბათუმში ზღვიდან შესვლას, რა შუაშია აქ ჩოლოქზე აფეთქებული ხიდები?! მაგრამ ეს უტიფრად ცრუ მიზეზად მოჰყავს, აი, ასლან აბაშიძეს ისე ეშინოდა ჩემი, რომ ბათუმის სანაპიროსკენ საგუშაგო კატარღით დაძრულს, დიამეტრულად მოპირდაპირე მხარეს, ჩოლოქზე ხიდები ააფეთქაო!**

სინამდვილეში, ასლან აბაშიძემ ხიდები სააკაშვილის სამხედრო მანევრირებისას კი არა, მოგვიანებით ააფეთქებინა, როდესაც ვითარება მკვეთრად დაიძაბა და ჩოლოქის ხიდთან თბილისიდან გაგზავნილი ნაცაქტივისტებისა და ნაცზონდერების ბანაკი დასცეს!

კიდევ ერთი მაგალითი, რა სიგიჟეებს გეგმავდა სააკაშვილი აჭარაში — მემუარისტი ჰყვება, როგორ აპირებდა ასლან აბაშიძის მომხრე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის თანამდებობის პირთა განეიტრალებას:

***„იქ ყოველთვის იყვნენ ადამიანები, ყველაზე მეტად რომ აქტიურობდნენ ასლან აბაშიძის სეპარატისტულ აჯანყებასა თუ ამბოხში, მაგალითად, ქობულეთის გამგებელი, ვინმე ხალვაში და, სხვათაშორის, გეგმაც მოვამზადეთ და დავამტკიცეთ, რათა იგი ქობულეთის ტერიტორიაზე დაგვეპატიმრებინა.***

*ეს გეგმა ითვალისწინებდა შემდეგს:* ***სატვირთო ვაგონში ქვანახშირის ტვირთის ქვეშ უნდა დამალულიყო სპეცრაზმი, ასე გადასულიყვნენ და აეყვანათ ხალვაში. თუმცა, ბოლო წამში ოპერაციაზე მეც უარი ვთქვი, იმიტომ, რომ ამას შეიძლებოდა, მოჰყოლოდა ადამიანების მსხვერპლი. მოგვიანებით, ხალვაში ისედაც დაპატიმრებულ იქნა“*** *(იქვე, გვ. 81).*

და ამას წერს მემუარისტი, რომელიც წინა აბზაცში თვალში ნაცარს გვაყრიდა, ხიდების აფეთქებით **ასლან აბაშიძემ** საქართველოსთან აჭარის ყოველგვარი კავშირი გაწყვიტაო! და ის სატვირთო-სარკინიგზო შემადგენლობა ქობულეთის გამგებლის დასაპატიმრებლად ქვანახშირში ჩამალული სპეცრაზმით რა, თბილისიდან არ უნდა შესულიყო აჭარაში?! თუ „უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე“ საბაჟო პუნქტი უნდა გადაეკვეთა?!

ამის შემდეგ სააკაშვილი უფრო დიდ აღიარებით ჩვენებას იძლევა **ბათუმის დაბომბვის გეგმის** შესახებ:

***„ერთი მხრივ, ჩვენ ვპირდებოდით ასლან აბაშიძეს, რომ, თუ ცენტრალური ხელისუფლების ანგარიშგაწევით წარმართავდა საქმეს, პრობლემები არ შეექმნებოდა, მაგრამ, მეორე მხრივ, მე დავამტკიცე გეგმები, ოღონდ ისე ვიმოქმედე, მას ამ გეგმების შესახებ ჰქონოდა ინფორმაცია, კერძოდ, მისი რეზიდენციის საჰაერო დაბომბვას ვაპირებდი თითქოს. ასე რომ, გვინდოდა, მას ამის შესახებ სცოდნოდა ისევე, როგორც გენშტაბის უფროსს იუკურიძეს დავავალე, შეესწავლათ ასევე ო-ბე-ერ-ის*** *(აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ძალოვანი ქვედანაყოფების — გ.გ.)* ***წინააღმდეგ სხვადასხვა სახის სპეც. სამხედრო ქმედებათა განხორციელების სცენარი და ეს სცენარიც ისე გავაკეთე, ასლან აბაშიძეს რომ სცოდნოდა. მინდოდა, მიმხვდარიყო, რომ ნამდვილად არ ვაპირებდით ხუმრობას, შევარდნაძისგან განსხვავებით“*** *(იქვე, გვ. 81).*

დიახ, სააკაშვილმა საკუთარი აღიარებითი ჩვენებით დაადასტურა ის, რაც „ასავალ-დასავალს“ წლების წინ არაერთხელ გამოუქვეყნებია: **სააკაშვილის ნაცბანდას ჰქონდა ბათუმის ცენტრში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის თავმჯდომარის რეზიდენციის ვერტმფრენებიდან დაბომბვის ოფიციალურად დამტკიცებული გეგმა!**

როგორც თავად მემუარისტი აღიარებს, არსებობდა ასევე საქართველოს შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსთან, **გენერალ იუკურიძესთან** შემუშავებული და ოფიციალურად დამტკიცებულ-გაწერილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ძალოვანი სტრუქტურების წინააღმდეგ სამხედრო-საარმიო სპეცოპერაციის გეგმაც!

როდესაც წლების შემდეგ სააკაშვილი წერს, ეს გეგმები ისე დავამტკიცეთ, რომ ასლან აბაშიძისთვისაც ყოფილიყო ცნობილიო, ამით ცდილობს, ივირეშმაკოს: ჩვენ მართლა კი არ ვაპირებდით ბათუმის ვერტმფრენებიდან დაბომბვას ან აჭარელი ძალოვნების წინააღმდეგ საარმიო სპეცოპერაციის ჩატარებას, ამით უბრალოდ, ვაშინებდით აბაშიძესო!

**მხოლოდ აბაშიძის შეშინება თუ უნდოდა სააკაშვილს, სულ არ იყო საჭირო ბათუმის დაბომბვისა და საარმიო სპეცოპერაციის ოფიციალური გეგმების შემუშავება და შემდეგ მათი დამტკიცება! ამისთვის საკმარისი იყო, ყოველგვარი გეგმების დამუშავების გარეშე, ჭორის გაშვება, სააკაშვილმა აბაშიძის რეზიდენციის დაბომბვის გეგმა შეიმუშავაო!**

მაგრამ საქმეც ის არის, რომ ეს გეგმები იმიტომაც შეიმუშავეს, რომ სააკაშვილი მართლა გეგმავდა აჭარაში საარმიო სპეცოპერაციის ჩატარებასაც და ბათუმის ცენტრში მდებარე სამთავრობო შენობების ვერტმფრენებით დაბომბვას!

**დიახ, სააკაშვილი მზად იყო ამისთვის, უბრალოდ, აღარ დასჭირდა!**

***გიორგი გიგაური***

***გაგრძელება იქნება***



## სააკაშვილის აღიარებითი ჩვენება, როგორ დაამტკიცა ვერტმფრენებიდან ბათუმის დაბომბვის სამხედრო სპეცოპერაციის გეგმა!

**13**

## კვირგვინოსნები

**ნიკა გვარამია**
*„მთავარი არხის“ გენერალური დირექტორი*



**გერმანიის ელჩი** არა გერმანიის სახელმწიფოს, არამედ **„ოცნების“ წარმომადგენელია** — ჯერ კიდევ არ გარკვეულა, რა როლი ჰქონდა 20 ივნისის დარბევაში.

„TV პირველი“

**გოგა ხაინდრავა**
*კინორეჟისორი*



**სად საზღვარგარეთ უნდა წავიდეს სააკაშვილი,** იმ ადამიანებს არ ეკითხებით, ვისზეც, ვის ბედზეც, ოჯახებზე როგორც ბულდოზერმა გადაიარა? **მაშინ სხვებიც გამოვუშვათ,** ზოგს კუჭი სტკივა, ბადრაგი და ჩაკეტილი კარი არავის უყვარს.

„TV იმედი“

**შალვა ნათელაშვილი**
*ლეიბორისტული პარტიის ლიდერი*



**მხარს ვუჭერთ მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლებას,** ის არის პოლიტიკური პატიმარი და ის უნდა გადაიყვანონ, თუ ეს სურვილი აქვს, უცხოეთში სამკურნალოდ. **მანდელა 40 წელი იჯდა ციხეში, მაგრამ ამდენი არ უტირია.**

„ახალი თაობა“

# რატომ აქვს ლომს ღრიალის პრივილეგია, ანუ

გოგი დოლიძე

# როგორ და რატომ ანაგვიანებს ლევან თითმერია ქართული წიგნის ბაზარს?



***ცხადია, მკითხველი უმალ მიხვდება, რომ ასეთი სათაური, არც მეტი, არც ნაკლები, ერთგვარი პერიფრაზია ჩერჩილის ერთი გახმაურებული გამოთქმისა („მე ეგებ სულაც არა ვარ ლომი, მაგრამ მაქვს ღრიალის პრივილეგია“).***

დიახ, მკითხველი კი მიხვდება ამას, მაგრამ ვაი, რომ უკვე მრავალი წელია, **გამომცემლობა „საარის“** ხელმძღვანელობა (ბატონი **ლევან თითმერია,** ჩემი თაობის უბრწყინვალესი წარმომადგენლის, შესანიშნავი ლიტერატორის **ჯუმბერ თითმერიას ვაჟი**) ვერ გადავაჩვიე თავის **ულირს ტრადიციას** და ქართული წიგნის ბაზარს კვლავაც ანაგვიანებს ყოვლად უწიგნური, ნამდვილად ფინაჩური გამოცემებით. **„ფინაჩი“** სპარსული სიტყვაა და ქართულად ნიშნავს **მეჯღანეს,** ანუ უხეირო და უვარგის ხელოსანს, სწორედ ისეთს, „საარი“ რომ იწვევს თავისთან და მერე ერთხმად დასცინიან მკითხველ საზოგადოებას.

საყოველთაოდ ცნობილია ილია ჭავჭავაძის პირველივე უმძაფრესი კრიტიკული სტატია — **„ორიოდე სიტყვა თავად რევაზ ერისთავის კაზლოვიდან — შეშლილის თარგმანზედა“,** რომელიც ისტორიულად შეფასდა, როგორც თერგდალეულთა ლიტერატურული მანიფესტი. იგი ჯერ კიდევ პეტერბურგში სტუდენტობისას დაწერა ილიამ და **ჟურნალ „ცისკრის“ რედაქციას** გამოუგზავნა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, **სასამართლოში კი არ უჩივლა უნიჭო თავადს ქართული ენის დამახინჯების გამო, არამედ პრესაში გააკრიტიკა და თანაც დიდსულოვნად გამოთქვა გაოცება — გვიკვირს, კაცმა ასე როგორ უნდა გაიმეტოს თავისი დედ-მამის ენა, თავად ერისთავს რომ უკადრებიაო...**

არც თქვენი მონა მორჩილი, უხუცესი ქართველი კინომცოდნე, გაქცეულა სასამართლოში, როცა დაგვიანებითა და ისიც შემთხვევით გაეცნო **„საარის“ კიდევ ერთ ფინაჩურ გამოცემას** და ნიშნად გაოცებისა, გაზეთ **„ახალ თაობაში“** გამოაქვეყნა მხოლოდ რეპლიკა. თუმცა, თქვენც არ მომიკვდეთ, გადის დღეები და ვითომც არაფერი — **„საარი“ დუმს... „საარის“ დუმილი როგორ იქნება, თქვე ულმერთოებო, დილიდანვე უნდა ახარებდეს სულსა და გულს...**

ასე რომ, რამდენიმე დღის შემდეგ **თავად დავრეკე გამომცემლობაში, მაინტერესებდა, ვინ არის და რა ასაკის ბატონი მამუკა მიქენაია, რედაქტორ-კორექტორად რომ აწერია ჭიაურელ-ანჯაფარიძეების სახელოვანი დინასტიის ღირსეული წარმომადგენლის, უნიჭიერესი და ადამიანური მომხიბვლელობით ესოდენ გამორჩეული, ჩვენი ძვირფასი მიშიკო ჭიაურელის მემუარებს-მეთქი და რას მპასუხობს უფალი ლევან თითმერია, მამუკა მიქენაია რა შუაშიაო?!**

რაკი გამომცემლობის რედაქტორი არაფერ შუაში ყოფილა, უმალ დავამთავრე საუბარი — რა უნდა ელაპარაკო გამომცემლობას, რომელიც, ოღონდ კი თანხა გადაუხადე, ეგრევე — **წაუკითხავად, ურედაქტოროდ და უკორექტოროდ** გამოგიქვეყნებს ყველაფერს!!!

და სად და როდის ხდება ეს? — ცხადია, ჩვენს თბილისში და 21-ე საუკუნეში!

**ახლა გეკითხებით, ბატონო ლევან** — ყოველივე აქედან გამომდინარე, ვინა ხართ პირადად თქვენ ამის შემდეგ? არ იცით, რომ გამომცემლობაში შემოსული ხელნაწერი უნდა გასწორდეს, ლიტერატურულად დაიხვეწოს და მომზადდეს გამოსაქვეყნებლად? ამის თაობაზე 11 წლის წინათ პირადად გელაპარაკეთ, როცა ერთი ცნობილი თეატრმცოდნის 1464-გვერდიანი ორტომეული გამოეცით ყოვლად უწიგნურად. პრესაში გამოქვეყნდა ჩემი სტატია — **„789 შეცდომა 789-გვერდიან წიგნში“ („მწერლის გაზეთი“, 2011 წლის 20 სექტემბერი, №6).** ამას მოჰყვა გამოხმაურება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ 2011 წლის 28 სექტემბერს — **„ნუთუ მართლა 789 შეცდომაა?“** და ა.შ. მაგრამ, **როგორც ჩანს, მარტო საჯარო გაკიცხვა არ გშველით, უფრო მკაცრი ზომები უნდა მიგვეღო და ახლა გავითვალისწინებთ ამას.**

## რა საცოდავად გამოიყურებოდა მაშინ თქვენი გამომცემლობა, მაგრამ ჭკუა მაინც არ ისწავლეთ! ბოლოს და ბოლოს, ვინ მოგცათ მკითხველის აბუჩად აგდების უფლება და რას ჰგავს საერთოდ ყოველივე ეს?!

**ასე რომ, ახლა კეთილი ინებეთ, დაიქირავეთ არა მეჯღანეები, არამედ ნამდვილი რედაქტორი და კორექტორი და ხელახლა, ოღონდ საკუთარი ხარჯებით გამოეცით ეს მშვენიერი მემუარები — რაინდი ასე მოიქცეოდა თქვენ ადგილზე და ჯუმბერ თითმერიას ვაჟიშვილო, სწორედ რაინდი მინდა, იყოთ და არა მეჯღანეთა ამქრის უსტაბაში.**

ასეთია ჩემი რჩევა და სურვილი, ცხადია, ჯერჯერობით და პასუხსაც მოთმინებით დაველოდები, მხოლოდ, როგორც ამ შემთხვევაში იტყვიან, გონივრულ ვადაში!



ლევან თითმერია

გამომცემლობა „საარი“



ჯუმბერ თითმერია

## ჯუმბერ თითმერიას ვაჟიშვილო, → სწორედ რაინდი მინდა, იყოთ და არა მეჯღანეთა ამქრის უსტაბაში!

# P.S.

**რაც შეეხება წერილის სათაურში დასმულ კითხვას, აზრობრივად თუ ვერ მიხვდით, პირდაპირ გეტყვით — ლომს იმიტომ აქვს ღრიალის პრივილეგია, რომ იგი... ლომია, ლომი!**

## კვირგვინოსნები

**ზაალ ანჯაფარიძე**
*ანალიტიკოსი*



რატომ არის **სააკაშვილის** მდგომარეობა დამძიმებული? იმიტომ, რომ განზრახ არ იღებს ცილოვან საკვებს! **სააკაშვილს** ყველა სასჯელიც რომ მოეხსნას და ყველაფერში გამართლდეს, მარტო საზღვრის უკანონოდ კვეთაზე, როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქეს, **5-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთა** ემუქრება.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**თამაზ გაიაშვილი**
*„ჯორჯიან ეარვეისის“ დამფუძნებელი, ბიზნესმენი*



**ძმები კოდუები** ისე გათავხედდნენ, რომ უკვე სახელმწიფო სამსახურებზეც მიაქვთ იერიში და **საკადრო პოლიტიკაში ხელის ფათურსაც არ ერიდებიან.** მოვუწოდებ საქართველოს მთავრობას და შესაბამის სამსახურებს, რომ აღკვეთონ ამ **ყოვლის მკადრებელი ძმების** დაუოკებელი პარპაში. თავიდან ბოლომდე შეისწავლონ მათ მიერ ჩადენილი ყველა დანაშაული, რათა მათ დამსახურებისამებრ მიეზღოთ.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**თამთა მეგრელიშვილი**
*საჯარო მმართველობის დოქტორი*



რამდენი იწვალეს **ნაცებმა,** მათმა **მონა ტელევიზიებმა** და **შაურიანმა სპიკერებმა,** რამდენი წერეს, რამდენი ვერსია დადეს, მაგრამ მაინც ვერ გაანიავეს მთავარი, რაც ითქვა — **ქართველი ხალხი და ხელისუფლება ომს არ დაუშვებს.**

რუსეთის დროშის ქვეშ მცურავმა გემმა **კეზერაშვილის** კუთვნილი **„გალფისთვის“** საწვავი შემოიტანა.

„იმედინიუსი“

**ირაკლი ლაზარია**
*ექსპერტი*



მსოფლიო ისტორიაში, ვინც **ერთ ადამიანს მაინც დამისახელებს,** ვისაც **სააკაშვილზე მეტად ეზიზღება საკუთარი ერი,** მაშინ დავივიწყებ მე პირადად ყველაფერს. **მხოლოდ ერთი ადამიანი მაინც მითხარით, ვისაც ოდესმე იმაზე მეტი ევნოს საკუთარი ქვეყნისთვის, ვიდრე — სააკაშვილს!**

იმედინიუსი“

# „ვინც ღვინის ძმარს სისტემატურად იღებს, მეორე ტიპის, ანუ შეძენილი დიაბეტის განვითარების რისკი მცირე აქვს!“





## კახა საბახტარიშვილი:

# ადამიანი უხსოვარი დროიდან მხოლოდ და მხოლოდ ღვინის ძმარს იყენებდა!

***ქართველი მეცნიერი, ექიმი კახა საბახტარიშვილი ძმრის სასარგებლო თვისებებზე გვესაუბრება და ხაზგასმით აცხადებს, რომ ვაშლის ძმრის პოპულარიზაცია აბსოლუტურად ხელოვნურია და ჯანმრთელობისთვის ღვინის ძმარს არაფერი შეედრება. ცნობილი ჰომეოპათი შეგვახსენებს, რომ ღვინის ძმარი დაბლა სწევს მავნე ქოლესტერინს, არტერიულ წნევას, გლიკემიურ ინდექსს და ხელს უწყობს კალციუმის ათვისებას. ღვინის ძმარი ამავე დროს უძლიერესი ანტისეპტიკია:***

— ძმარს, რომელიც მთელი მსოფლიოსა და განსაკუთრებით ქართველების სამზარეულოს განუყოფელი ატრიბუტია, ადამიანი ჯერ კიდევ 7 ათასი წლის წინათ იყენებდა. ძმარი მოხსენიებულია ბიბლიაში, ახალ აღთქმაში, ძველ ჩინურ და ინდურ ტრაქტატებსა და ა.შ. **ლუი პასტერმა** 1864 წელს დაადგინა, რომ სხვადასხვა პროდუქტისგან ძმრის წარმოშობა ძმარმჟავა ბაქტერიების მეშვეობით ხდება. სახეობების მიხედვით განასხვავებენ ვაშლის, ბრინჯის, სხვადასხვა ხილისა და ღვინის ძმარს. აღმოსავლეთის ქვეყნებში ძალიან პოპულარულია ფინიკის ძმარი, აზიაში — ბრინჯის, რუსეთში — ვაშლის, ხოლო საქართველოში, იტალიაში, ესპანეთში, საფრანგეთსა და საბერძნეთში — ღვინის ძმარი.

**— ბატონო კახა, რომელია უფრო სასარგებლო — ვაშლის თუ ღვინის ძმარი?**

— რა თქმა უნდა, **ღვინის ძმარი** ბევრად უფრო სასარგებლოა, ვიდრე ვაშლის! საერთოდ, ძმრის სარგებლიანობას განაპირობებს, თუ რა პროდუქტისაგან არის დამზადებული. საქართველოსა და რუსეთში გავრცელებულია მითი, თითქოს ვაშლი ყველაზე სასარგებლო ხილია. არადა, **რეალურად მიკროელემენტებისა და ვიტამინების შემცველობის მხრივ ვაშლი ბევრად ჩამორჩება კივს, ფეიხოას, ლიმონს, მანდარინს, ფორთოხალს და ა.შ.** ამ მხრივ ვაშლის შედარება ყურძენთან საერთოდ უხერხულია. უნდა ვიცოდეთ, რომ ადამიანი უხსოვარი დროიდან მხოლოდ და მხოლოდ ღვინის ძმარს იყენებდა. **ვაშლის ძმრის პოპულარიზაცია ხელოვნურია, რადგან ვაშლი ყურძენთან შედარებით გაცილებით უფრო ფართო არეალზე მოდის მაშინ, როცა ღვინის მწარმოებელი ქვეყნები დედამიწაზე სულ თითზე ჩამოსათვლელია!**

**— მაინც რა სარგებლობა მოაქვს ძმარს?**

— შევთანხმდეთ, რომ, რაკი საქართველო ღვინის ქვეყანაა, ჩვენი ორგანიზმი მომართული და მიდრეკილია **მხოლოდ ღვინის ძმრის** ასათვისებლად. რაც შეეხება ბრინჯის, სხვადასხვა ხილისა და მათ შორის, აღმოსავლეთში ძალზე პოპულარულ ფინიკის ძმარს, რა თქმა უნდა, სასარგებლოა, მაგრამ მხოლოდ იმ ხალხებისთვის, რომლებსაც მათი დამზადების ტრადიცია აქვთ. საერთოდ, სულ უნდა გვახსოვდეს ვანგას სიტყვები — **ყველა ადამიანმა უნდა მიიღოს ის სასმელ-საჭმელი, რომელიც მის საცხოვრებელ გარემოში ბუნებრივად მოიპოვება!** რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, ღვინის ძმარში ყველა ის სასარგებლო ნივთიერებები გადადის, რომლითაც ასე მდიდარია ყურძენი, ყურძნის წვენი და ღვინო. კერძოდ, ღვინის ძმარი დიდი რაოდენობით A და C ვიტამინს შეიცავს, მასში ბლომად არის შემდეგი მიკროელემენტები: კალიუმი, კალციუმი, ფოსფორი, თუთია, ფტორი, რკინა, მანგანუმი და ყველა ის მიკროელემენტი, რომელიც სასიცოცხლოდ აუცილებელია. ღვინის ძმარში შედის ნივთიერება **რასვერატოლი,** რომელსაც უძლიერესი ანთების საწინააღმდეგო, ანტისიმსივნური და კარდიოპროტექტორული, ანუ გულის დამცავი თვისებები გააჩნია.

**საბერძნეთში, იტალიასა და ესპანეთში ვერ ნახავთ სუფრას, სადაც ღვინის ძმარი და ზეითუნის ზეთი გვერდიგვერდ არ იქნება. ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნები ზეითუნის ზეთითა და ღვინის ძმრით თითქმის ყველა კერძს კაზმავენ.**



„სულ უნდა გვახსოვდეს ვანგას სიტყვები — ყველა ადამიანმა უნდა მიიღოს ის სასმელ-საჭმელი, რომელიც მის საცხოვრებელ გარემოში ბუნებრივად მოიპოვება!“

**ის ფაქტი, რომ ესპანეთში, საბერძნეთში, საფრანგეთსა და იტალიაში კიბოსა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რიცხვი ძალიან მცირეა, სწორედ ღვინის ძმრისა და ზეითუნის ზეთის დამსახურებაა!**

ღვინის ძმარი დაბლა სწევს მავნე ქოლესტერინს, არტერიულ წნევას, ხელს უწყობს კალციუმის ათვისებას. ამავე დროს ის უძლიერესი ანტისეპტიკია. **წყალში გარეული მცირეოდენი ძმარი ანადგურებს მიკრობებსა და ბაცილებს. ამიტომ სასურველია, რომ უზმოზე, დილით მივიღოთ ერთი ჩაის ჭიქა ცივი წყალი, რომელშიც ერთი ჩაის კოვზი ღვინის ძმარი იქნება გახსნილი.**

**— საინტერესოა, როგორ მოქმედებს ღვინის ძმარი შაქრიან დიაბეტზე?**

— ღვინის ძმარი გლიკემიურ ინდექსს დაბლა სწევს! ვინც ღვინის ძმარს სისტემატურად იღებს, მეორე ტიპის, ანუ შეძენილი დიაბეტის განვითარების რისკი მცირე აქვს! ღვინის ძმარს გააჩნია ანტიოქსიდანტური თვისება, ანუ ის გამაახალგაზრდავებელი საშუალებაა. ღვინის ძმარი აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას და ამიტომაც ის გახდომის ერთ-ერთი საუკეთესო ბუნებრივი საშუალებაა.

**— რატომ აცმევენ სიცხიან ავადმყოფს ძმრიან წინდებს და ზელენ ძმრით? რატომ იკლებს ამ პროცედურის შემდეგ ტემპერატურა?**

— ამის მეცნიერული ახსნა არცერთ სამეცნიერო ლიტერატურაში არ არსებობს, მაგრამ მე ამ ყველაფრის შესახებ ჩემი მეცნიერული პოზიცია მაქვს. საქმე ის გახლავთ, რომ ორგანიზმში მიმდინარე აბსოლუტურად ყველა ბიოქიმიური პროცესი ე.წ. კრებსის ციკლით იმართება. საბოლოო ჯამში, ნებისმიერი ბიოქიმიური დაშლის პროცესის პროდუქტი სწორედ ძმარმჟავა, ანუ ძმარია. ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმში ყოველთვის უნდა იყოს 1,5-2 ლიტრი ძმარი. როდესაც ორგანიზმში ძმრის რაოდენობა იკლებს, იმუნიტეტი სუსტდება და სხვადასხვა ინფექციებისა და დაავადებების საწინააღმდეგოდ ორგანიზმი დაცვით, ანუ ტემპერატურულ რეაქციას ავითარებს. როცა სიცხიან ავადმყოფს ძმრიან წინდებს ჩავაცმევთ ან ძმრით დავზელთ, ცხადია, ძმარი კანის ფორების გზით შეაღწევს ორგანიზმში, ძმრის დანაკლისი შეივსება და ადამიანი გამოჯანმრთელებისკენ წავა. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ძველ ეგვიპტეში ფარაონების პირამიდების მშენებლობაზე დასაქმებულ მონებს ისევე, როგორც მეომრებს, ძმრიან წყალს ასმევდნენ.

**— რამდენად სასარგებლოა ძილის წინ ძმრიანი წყლის პირის ღრუში გამოვლება?**

— დღის განმავლობაში, საკვების მიღებასთან ერთად, პირის ღრუში უამრავი მიკროორგანიზმი ხვდება. ძილის წინ პირის ღრუში გამოვლებული ძმრიანი წყალი ყველა ამ მიკროორგანიზმს ანადგურებს. საერთოდ, უნდა ვიცოდეთ, რომ ძმრის უკონტროლოდ გამოყენება მავნებელია. ღვინის ძმარი სუსტი, მაგრამ მაინც მჟავაა. ძმარი ბავშვებს არ უნდა დავალევინოთ! ძმარი ასევე საშიშია იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც კუჭის წვენის მაღალი მჟავიანობა, გასტრიტი ან კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული აწუხებთ! ღვინის ძმარი ასევე არ უნდა მიიღონ იმათ, ვისაც ყურძნისა და ღვინის მიმართ ალერგია აქვთ! უნდა ვიცოდეთ ღვინის ძმრის მიღების დოზაც — 1 ჩაის კოვზი ღვინის ძმარი უნდა გავხსნათ 200 გრამ წყალში და დავლიოთ. ეს დოზა დღის განმავლობაში შეიძლება მაქსიმუმ ოთხჯერ გავიმეოროთ.

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***



**„ძველ ეგვიპტეში ფარაონების პირამიდების მშენებლობაზე დასაქმებულ მონებს ისევე, როგორც მეომრებს, ძმრიან წყალს ასმევდნენ!“**

# რას ამბობდნენ ცნობილი ულმერთონი სიკვდილის წინ

***მეცნიერთა ჯგუფმა ჩაატარა კვლევა იმის დასადგენად, რას ამბობდნენ სიკვდილის წინ გამოჩენილი ადამიანები, რომლებსაც ღმერთის არ სწამდათ — ვოლტერი, მერილინ მონრო, ლენინი და სხვები... მათვე გაარკვიეს, რაზე ხუმრობდა ინჟინერი, რომელმაც „ტიტანიკი“ ააგო და რაში იყო დარწმუნებული პოპ-მუსიკის კერპი ჯონ ლენონი. შედეგები ფრიად საინტერესო აღმოჩნდა.***



● **ვლადიმერ ლენინი, რომელიც რელიგიას ხალხისათვის განკუთვნილ ოპიუმად მიიჩნევდა,** სიკვდილის წინ შეიშალა, ხოლო ცოდვების მიტევებას მაგიდასა და სკამებს სთხოვდა.

● **ჯონ ლენონი.** პოპულარობის პიკზე მყოფმა ბრიტანელმა მომღერალმა ამერიკული ჟურნალისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, **რომ ქრისტიანობა მალე დასრულდებოდა, უბრალოდ, გაქრებოდა და ამაში დარწმუნებული გახლდათ: „იესო იყო ოკეი, მაგრამ მისი იდეები ძალიან უბრალო გახლდათ. დღეს ჩვენ, „ბითლზის“ წევრები, უფრო პოპულარულები ვართ, ვიდრე იესო“.** მას შემდეგ, რაც განაცხადა, რომ ჯგუფი „ბითლზი“ იესოზე პოპულარულია, ჯონ ლენონი ტრაგიკულად დაიღუპა — მავანმა ფსიქოპატმა 6-ჯერ ესროლა მიზრჯნით.

● **ალმეიდა ნევესი, ბრაზილიელი პოლიტიკოსი.** საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას საჯაროდ განაცხადა: **„თუ მოვაგროვებ ჩემი პარტიის მხარდამჭერ 500 ათას ხმას, მაშინ თვით ღმერთიც კი ვერ გადამაყენებს პრეზიდენტის პოსტიდან“.** ნევესმა მოაგროვა ეს ხმები, მაგრამ უეცრად დაავადდაა და პრეზიდენტის პოსტის დაკავებამდე ერთი დღით ადრე გარდაიცვალა.

● **მერილინ მონრო, ამერიკელი მსახიობი.** შოუს პრეზენტაციისას მონროს ეწვია ევანგელისტი **ბილი გრემი** და განუცხადა, რომ ღმერთმა მასთან საქადაგებლად გაგზავნა. მერილინმა მოუსმინა და უპასუხა: **„მე არ მჭირდება შენი იესო“.** ერთი კვირის შემდეგ მერილინ მონრო მისივე აპარტამენტებში გარდაცვლილი იპოვეს.

● **ვოლტერი, ფრანგი ფილოსოფოსი.** მთელი ცხოვრება ებრძოდა რელიგიასა და ღმერთს, მაგრამ მისი ცხოვრების ბოლო ღამე საშინელი იყო. ის ექიმს ევედრებოდა, თუნდაც ექვსი თვით გაეხანგრძლივებინა მისთვის სიცოცხლე და, თუ არ დაეხმარებოდა, ჯოჯოხეთში მოხვდებოდა მასთან ერთად. ვოლტერს სურდა, მღვდელი მიეწვია, მაგრამ ამის უფლება მისმა „თავისუფლად მოაზროვნე“ მეგობრებმა არ მისცეს. კვდებოდა და ყვიროდა: **„მე მიმატოვეს ღმერთმა და ადამიანებმა, მე ჯოჯოხეთში მოვხვდები. ო, იესო ქრისტე!“**

● **ტომას პეინმა, ღვთისმგმობელმა ამერიკელმა მწერალმა** სასიკვდილო სარეცელზე მყოფმა თქვა: **„ბევრ რამეს მივცემდი, რომ ჩემი წიგნი „საუკუნის გონი“ არასდროს დაბეჭდილიყო. იესო ქრისტე, დამეხმარე, ჩემთან იყავი!“**

● **გენრიხ იაგოდა, „ენკავედეს“ სახალხო კომისარი:** „ღმერთი არსებობს, ის ჩემი ცოდვებისთვის მსჯის“.

● **დავით ჰიუმი, ათეისტი.** სიკვდილის წინ სასოწარკვეთილი გაიძახოდა: **„მე ცეცხლის ალში ვარ“.**

● **ჩარლზ დარვინმა** სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე თქვა: **„ევოლუციის გზა აბსურდია“.** ვინმე ლედი **ჰოუპმა,** რომელიც საწოლზე მიჯაჭვულ ხანდაზმულ დარვინს ეწვია, დაინახა, რომ მას ხელში გადაშლილი ბიბლია ეჭირა. — **რას კითხულობთ?** — ჰკითხა ჰოუპმა. — **სამეფო წიგნს. განა ის დიდებული არ არის?!** — უპასუხა დარვინმა.

● **გრიგორი ზინოვიევი. დახვრიტეს სტალინის განკარგულებით. „გესმის, ისრაელო, ღმერთი ერთია“.** — ასეთი იყო ათეისტური სახელმწიფოს ერთ-ერთი ხელმძღვანელის ბოლო სიტყვები.

● ინჟინერმა **ენდრიუ ტომას-უმცროსმა,** რომელმაც „ტიტანიკი“ ააგო, სამუშაოების დასრულების შემდეგ რეპორტიორების კითხვას — **რამდენად უსაფრთხოა ეს საოცარი ხომალდი?** — ირონიით უპასუხა: **„ახლა თვით ღმერთიც ვერ შეძლებს მის ჩაძირვას“.** ყველამ იცის, რა დაემართა „ჩაუძირავ“ „ტიტანიკს“ **1912 წლის 14-15 აპრილის მიჯნაზე.**

„ნუ შეცდებით: ღმერთს ვერ შეურაცხყოფთ, რადგან, ვინც რას დასთესს, მასვე მოიმკის. ვინც ხორცისთვის თესავს, ხორცისაგან მოიმკის ხრწნილებას, ხოლო, ვინც სიცოცხლეს თესავს, სულისგან მოიმკის საუკუნო სიცოცხლეს“.

***პავლე მოციქულის ეპისტოლე გალატელთა მიმართ (6, 7-8)***




● 2005 წელს ქალაქ კამპინესში (ბრაზილია) მთვრალი ახალგაზრდების ჯგუფმა მეგობარ გოგონას წასაყვანად მიაკითხა. გოგონა მანქანამდე მიაცილა დედამ, რომელმაც შეშფოთებულმა იმით, რომ ახალგაზრდები მთვრალები იყვნენ, ქალიშვილს უთხრა: **„შვილო, ღმერთი იყოს შენთან!“** გოგონამ, რომელიც უკვე ჯდებოდა მანქანაში, უპასუხა: **„მხოლოდ მაშინ იქნება, თუ ის საბარგულში ჩაჯდება, მანქანაში ადგილი არ არის“.** რამდენიმე საათში დედას შეატყობინეს, რომ ეს ავტომობილი საშინელ კატასტროფაში მოხვდა. ყველა დაიღუპა. ავტომობილი ისე იყო დაზიანებული, მისი მარკის ამოცნობაც კი გაჭირდა, მაგრამ, ყველას გასაოცრად, საბარგული საერთოდ არ იყო დაზიანებული. გასაოცარია, რომ საბარგულის გახსნის შემდეგ მასში იპოვეს კვერცხების კონტეინერი, რომელშიც დაუზიანებელი კვერცხები იდო.

● **კრისტინა ჰევიტმა, იამაიკელმა ჟურნალისტმა და მოცეკვავემ** განაცხადა, რომ სახარება ყველაზე ცუდი წიგნია. 2000 წელს ის დანახშირებული იპოვეს თავის დამწვარ ავტომობილში.

● **ემილიან იაროსლავსკიმ, საერთაშორისო ათეისტური მოძრაობის ხელმძღვანელმა, ანტირელიგიური პოლიტიკის იდეოლოგმა სსრკ-ში,** სიკვდილის წინ **სტალინს** უცნაური თხოვნით მიმართა: **„გთხოვთ, დაწვათ ჩემი ყველა წიგნი. შეხედეთ წმინდანს! ის დიდი ხანია, მელოდება!“**

● **იოაჰიმ ფონ რიბენტროპმა, ფაშისტური გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა** სიკვდილის წინ თქვა: **„ვიმედოვნებ, რომ ქრისტეს მსხვერპლი მეც გადამარჩენს“.**

● **ჰაინრიხ ჰაინემ,** გერმანელმა პოეტმა და პუბლიცისტმა სიკვდილის წინ განაცხადა:

**„დაიმსხვრა ძველი ლირა კლდის ქიმზე, რომელსაც ქრისტე ეწოდება. ო, ღმერთო, ღმერთო! მე მუხლებზე ვეცემი, მომიტევე ჩემი სიმღერები!“**




**ვოლტერი** კვდებოდა და ყვიროდა: **„მე მიმატოვეს ღმერთმა და ადამიანებმა, მე ჯოჯოხეთში მოვხვდები. ო, იესო ქრისტე!“**







**მონროს ეწვია ევანგელისტი ბილი გრემი და განუცხადა, რომ ღმერთმა მასთან საქადაგებლად გაგზავნა. მერილინმა მოუსმინა და უპასუხა: „მე არ მჭირდება შენი იესო“.**

*მოამზადა*
***ნიკა კორინთელმა***

# დიდი პოეტის მოფარიკავე შვილიშვილი და ერთი წუთის თეორია!



ტიციან ტაბიძის შვილიშვილი ნიკოლოზ ანდრიაძე – მსოფლიო ჩემპიონი ახალგაზრდა მოფარიკავეთა შორის. 1963 წელი



*85 წლის წინათ, 1937 წლის 15 მაისს, ლავრენტი ბერიამ საქართველოს ცკ კპ-ს მე-10 ყრილობაზე ხაზგასმით აღნიშნა, რომ აღმოჩენილი იყო ტროცკისტულ-მავნებლური ჯგუფი, რომელიც უნდა განადგურებულიყო. ერთი თვის შემდეგ მან უკვე კატეგორიულად მოითხოვა, მწერალთა კავშირის წევრებს შორის გამოევლინათ ქვეყნის მტრებთან —კონტრრევოლუ-ციონერებთან დაკავშირებული პირები. პოეტმა პაოლო იაშვილმა თავი მოიკლა, ხოლო მის უახლოეს მეგობარს — პოეტ ტიციან ტაბიძეს პაოლოს წინააღმდეგ ჩვენების მიცემა მოსთხოვეს. ტიციანმა მეგობრის ერთგულება ამჯობინა, რაც უკვე იმას ნიშნავდა, რომ სიცოცხლეს უნდა დამშვიდობებოდა. გვესაუბრება ტიციან ტაბიძის შვილიშვილი, ნიტა ტაბიძის ვაჟი ნიკოლოზ (გივი) ანდრიაძე, რომელიც თავის სახელოვან ბაბუას დედის მოგონებებიდან იცნობს:*



დედა-შვილი ნიტა ტაბიძე და ნიკოლოზ ანდრიაძე

„ტიციან ტაბიძის შვილიშვილობა, გარდა სიამაყისა, დიდი პასუხისმგებლობაა და ყოველთვის ვიცოდი, რომ ცუდად არასოდეს მოვიქცეოდი!“

ნიკოლოზ (გივი) ანდრიაძე:

## დედას მთელი ცხოვრება ახსოვდა სახლის კიბეებზე ნაბიჯების ხმა და კარზე კაკუნი!

— დავიბადე 1943 წელს, ტიციანის დახვრეტიდან 5 წლის შემდეგ. როცა დააპატიმრეს, დედაჩემი — **ნიტა ტაბიძე** 16 წლის იყო. **ის ხშირად იხსენებდა, როგორ მოვიდნენ ჩეკისტები მათთან სახლში და მამა წაიყვანეს.** ტიციანს ატირებული ცოლ-შვილისათვის უთქვამს: იცოდეთ, ჩემი სახელის ხსენებისა და ხალხისათვის თვალებში შეხედვის არასოდეს შეგრცხვებათო. **დედას მთელი ცხოვრება ახსოვდა ის კოშმარული ღამე, სახლის კიბეებზე ნაბიჯების ხმა და კარზე კაკუნი. მას შემდეგ მას მამა აღარ უნახავს.**

დედა გარდაიცვალა 2007 წელს 86 წლის ასაკში, ძილში. კეთილი და თბილი ადამიანი იყო, მის მიმართ ყველა პატივისცემითა და სიყვარულით იყო განმსჭვალული, ანდამატივით იზიდავდა ადამიანებს, მეგობრობდა და აფასებდა მამის მეგობრებს, უყვარდა სტუმრები. ბებიაჩემი — დედაჩემის დედა და ტიციანის მეუღლე **ნინო მაყაშვილი** თავადის ქალი იყო, დახვეწილი და გონიერი. ყოველ ზაფხულს მის მშობლიურ ყვარელში ვატარებდით, ძალიან მიყვარდა იქაურობა, ნათესავები, მეგობრები და მეზობლები.

**ბებიას არნახულად უყვარდა მეუღლე, ელოდებოდა და ვერ იჯერებდა, რომ ტიციანი დახვრეტილი იყო.**

ინახავდა მაგიდის საათს, რომელიც იმ დროს გაჩერდა, როდესაც ტიციანი სახლიდან წაიყვანეს. ეს საათი დღეს ტიციან ტაბიძის სახლ-მუზეუმში

### რახანია, ტიციან...

თითქო არრა იციან,
ახლა აგე რო ზიან, —
რახანია, ტიციან,
ყველა ანგელოზია...

მოცილენი ტიტულის
კვერს იყოფენ თაფლიანს,
მათი მყრალი ფიტულიც
ჩვენი დასადაფნია...

შეიწყალე, პოეტო,
შემართული ტორებად,
მკვლელის ეპოლეტებზე
გაყიდული დროება...

წუთისოფლის მუხა კი, —
(ეჰ, რამდენი ხე გახმა...)
როგორც შენი მიხაკი,
იფოთლება ხელახლა!

ლაშა ნადარეიშვილი

## კვირგვინოსნები

**თენგიზ ცერცვაძე**
*თბილისის ინფექციური საავადმყოფოს გენერალური დირექტორი*



დიახ, **ვრჩები** — საქმისთვის და ქვეყნისთვის **სჯობს, დავრჩე.** თავიდან მეგონა, რომ მთელი ქვეყანა დაინგრა და ჩემ წინააღმდეგაა, აღმოჩნდა, რომ **ეს საზოგადოების ძალიან მცირე ნაწილია,** იმდენად მცირე, რომ ეს განწყობები და შეფასებები ვერსად ვიგრძენი — ვერც სამსახურში და ვერც ყოფით პირობებში. **საზოგადოებისგან ცალსახა და უპირობო მხარდაჭერა ვიგრძენი.** ამან მაფიქრებინა, რომ მე კი არ უნდა ვტოვებდე სამსახურს, არამედ ეს ხალხი უნდა ტოვებდეს.

„პირველი არხი“

**მიხეილ ჭიაურელი**
*კინოდოკუმენტალისტი*



ქალაქში რომ გამოვდივართ, ჩვენ ნათლულს ქართული დროშა აქვს შემოხვეული და ისე დადის. შემოგვხედავენ, მოგვაძახებენ: **„სლავა უკრაინე! სლავა გრუზიი!“** არაჩვეულებრივი ხალხია. **საერთოდ არ ჰგვანან რუსებს.** სულ სხვა გამომეტყველება აქვთ. თბილი ხალხია, ქალიან-კაციანად მებრძოლები. **ვუთხარი, უძველეს ერებს შორის მეორე ხართ-მეთქი. პირველები ვინ იყვნენო. რა თქმა უნდა, ქართველები-მეთქი.** დაიხოცნენ სიცილით.

„კვირის პალიტრა“

**ბექა ცერცვაძე**
*საფრანგეთში მცხოვრები ფლორისტი*



მაღაზიაში ერთი ადამიანი შემოვიდა და **რვა ცალი ყვავილი** მთხოვა. ვუთხარი, **თუ ათს აიღებთ, ნაკლები დაგიჯდებათ-მეთქი.** უცებ ჩემმა თანამშრომლებმა და თვითონ ამ ადამიანმაც სიცილი დაიწყეს. თურმე, ეს ადამიანი ძალიან მდიდარი ყოფილა, საფრანგეთში მილიონერების პირველ რიგებშია. **საქართველოში რომ ივანიშვილი შემოვიდეს მაღაზიაში და შენ ფასდაკლება შესთავაზო** — დაახლოებით, ასე მოვიქეცი.

„თბილისელები“

**მერაბ სეფაშვილი**
*მომღერალი*



ის ურთიერთობები მენატრება, რაც **გასული საუკუნის 70-ანი წლების საქართველოში** იყო.

„სარკე“

ინახება. სამწუხაროდ, ბებია ამ მუზეუმის გახსნას ვერ მოესწრო, რომელიც მისი გარდაცვალებიდან 20 წლის შემდეგ, 1985 წელს გაიხსნა.

**— ტიციანის მეგობრებიდან ვისთან გქონდათ ურთიერთობა?**

— 1959 წელს **ბორის პასტერნაკი** მეუღლითურთ თბილისში ჩამოვიდა და ერთი თვე ჩვენთან ცხოვრობდა. 16 წლის ვიყავი და კარგად მახსოვს ისინი. მოსკოვში ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ **ჰაროლდ მაკმილანის** ვიზიტის წინ ხრუშჩოვმა პასტერნაკს პირდაპირ უთხრა — პრემიერ-მინისტრს შენთან შეხვედრა სურს, ამიტომ დედაქალაქიდან უნდა წახვიდეო. მან და მისმა მეუღლემ თბილისში ჩამოსვლა არჩიეს, აქ მათ თბილი მასპინძელი, მეგობრის — ტიციან ტაბიძის მეუღლე **ნინო მაყაშვილი** ეგულებოდათ. თბილისში სტუმრობიდან ერთი წლის შემდეგ კი პასტერნაკი მოსკოვში, პერედელკინოში, ბებიაჩემის ხელში გარდაიცვალა.

პასტერნაკების ოჯახს ჩემზეც დიდი წვლილი მიუძღვის, როდესაც მოსკოვში საკანდიდატო დისერტაციაზე ვმუშაობდი, თავისი ოროთახიანი ბინა დამითმეს, სადაც ხუთი წელი ვცხოვრობდი. გამოვყოფ მეგობრობას **ნიკოლოზ ტიხონოვთან, პავლე ანტოკოლსკისთან, სერგეი ესენინთან, კონსტანტინე სიმონოვთან** — ტიციანი მათ მოსკოვში სწავლის დროს დაუახლოვდა, შემდეგ ბებიაც დაუმეგობრდა, მათთან ხშირად ჩადიოდა, ისინიც სტუმრობდნენ საქართველოში, ერთად მიემგზავრებოდნენ ზღვაზე.

**— ვინ არიან ტიციან ტაბიძის შთამომავლები?**

— ტიციან ტაბიძის შვილიშვილები — მე და ჩემი და **ნინო ანდრიაძე.** ორი შვილი მყავს — **ლექსო და მარიამი,** სამი შვილიშვილი — **ზურაბი, ელენე და ნიკოლოზი.** ჩემს დას ორი შვილი ჰყავს — **ზურაბი და მანანა,** მისი მეუღლე გახლდათ მწერალი **ზურამ ასათიანისა** და **მანანა ქიქოძის** ვაჟი **ლევან ასათიანი,** რომელიც 46 წლის ასაკში გარდაიცვალა. ჩვენთვის აუნაზღაურებელი დანაკლისია ჩემი მეუღლის **მანანა დოლიძის** გარდაცვალება, რომელიც იყო ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი და კონსერვატორიის პრორექტორი, მადლიანი და კეთილი ადამიანი, პირველი შეხვედრისთანავე შემიყვარდა, ის 2013 წელს წავიდა ამ ცხოვრებიდან.

**— ლექსებს წერთ?**

— ჩვენს ოჯახში პოეზია სულ იყო, მაგრამ არც მე ვწერ ლექსებს, არც ჩემი შვილები, ისინი ბიზნესში მოღვაწეობენ. ლექსომ თავიდან სამედიცინო ინსტიტუტში ჩააბარა, მაგრამ შემდეგ მედიცინა აღარ ისურვა. მე კი ჩემი ცხოვრება მედიცინასა და ფარიკაობას მივუძღვენი. მეკითხებიან ხოლმე, ამ ორ საქმეს ერთმანეთთან რა საერთო აქვსო. ვპასუხობ — ის ერთადერთი წუთი, რომელიც ყველაფერს წყვეტს! კარდიოლოგი ვარ, მოსკოვში აკადემიკოს **ევგენი ჩაზოვთან** ვმუშაობდი, რომელიც მთელი პარტიული ელიტის მკურნალი იყო. ერთხელ ჩემი მორიგეობისას მძიმე ავადმყოფი მოიყვანეს და მოულოდნელად გული გაუჩერდა.



ტიციან ტაბიძის შთამომავლობა დიდი პოეტის ბიუსტთან

# „ტიციანს ატირებული ცოლ-შვილისათვის უთქვამს: იცოდეთ, ჩემი სახელის ხსენებისა და ხალხისათვის თვალებში შეხედვის არასოდეს შეგრცხვებათო!“

**ერთ წუთში მივიღე გადაწყვეტილება და იმ დროისათვის ახალი მეთოდი ელექტროშოკი – დეფიბრილაცია ჩავუტარე. პაციენტი გადარჩა. სწორედ იმ ერთმა წუთმა გადაწყვიტა ყველაფერი. ასეა ფარიკაობაშიც, ბრძოლა რომ მოიგო, წუთში უნდა შეაფასო მოწინააღმდეგე, ეს არის ჩემი ერთი წუთის თეორია!**

**— დუელში ვის გამოიწვევდით?**

— ფარიკაობა დუელთან არ არის დაკავშირებული, დუელი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია, ხოლო ფარიკაობა აზროვნებაა, ელიტური სპორტი. ბავშვობაში პუტკუნა ბიჭი ვიყავი, მშობლებმა იფიქრეს, ფარიკაობის წრეზე შევიყვანოთ, წონაში დაიკლებსო. **უკვე 79 წლის ვარ და დღესაც ამ სპორტში ვარ, გავხდი მსოფლიოს, ევროპისა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი.**

1962 წელს ეგვიპტეში მსოფლიო ჩემპიონატში მივიღე მონაწილეობა (20 წლამდე ასაკში). ფინალში ფრანგ მოფარიკავეს **კურტილიას** შევხვდი. ტურნირის დროს ვიღაცამ ზურგიდან დამიძახა: **ბიჭო, შეუტიე, ქართველი არა ხარო?!** მივიხედე, იმ დროს ქართველი ეგვიპტეში იშვიათად იყო, კურტილიამ დრო იხელთა და ჩხვლეტა მომაყენა.

ის ბრძოლა წავაგე. თბილისში რომ ჩამოვედი, მამაჩემი მთელი წელი ნორმალურად არ მელაპარაკებოდა, როგორ ვერ გაიმარჯვეო? პირველი ადგილი ავიღე 1963 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც ბელგიის ქალაქ გენტში გაიმართა, ფინალში ისევ **კურტილიას** შევხვდი, უამრავი გულშემატკივარი ჰყავდა ჩამოყვანილი, მე კი ჩემი მწვრთნელი **ბიჭიკო მესხი** მახლდა და კიდევ რამდენიმე ადამიანი. ეს შეხვედრა **ზუსტად ერთ წუთში** მოვიგე, უბედნიერესი ვიყავი, როცა კვარცხლბეკზე ვიდექი, ჰიმნის გაჟღერების დროს მხოლოდ მამაზე ვფიქრობდი, რომელსაც თვალებში თამამად შევხედავდი და ჩემზე ნაწყენი აღარ იქნებოდა!



ევგენი ჩაზოვი და ნიკოლოზ ანდრიაძე

**70 წელს გადაცილებული ვიყავი, როდესაც დაშნითა და ხმლით ფარიკაობა ვისწავლე, 2015 წელს გერმანიაში, ლაიფციგში, მედიკოსების ჩემპიონატში მივიღე მონაწილეობა, ევროპის ჩემპიონი გავხდი რაპირით ფარიკაობაში, 2019 წელსაც გავიმარჯვე ხმლით, რაპირით და დაშნით ფარიკაობაში – ისევ გერმანიაში მოვიგე ევროპის ჩემპიონატი.**

ფარიკაობის ფედერაციამ სპორტის რაინდის წოდებაზე წარმადგინა და სპორტის რაინდის ტიტული მომანიჭეს, მედალს საპატიოდ ვინახავ. ახლაც მსოფლიო ჩემპიონატისთვის ვემზადები, ოქტომბერში ხორვატიაში მივდივარ.

**— თქვენი პაპის — ნიკოლოზ ანდრიაძის სახელი აქვს მინიჭებული თბილისში ხილიანის ქუჩაზე არსებულ ბავშვთა ინფექციურ საავადმყოფოს...**

— ის იყო პირველი ინფექციონისტი და ამ საავადმყოფოს დამაარსებელი, ძალიან ცნობილი ექიმი, მის სახელთან არის დაკავშირებული საქართველოში ამ დარგის ჩამოყალიბება და განვითარება. მე მისი სახელი მქვია, მის ოჯახში გავიზარდე ძნელაძის ქუჩაზე, არაჩვეულებრივი ბებია მყავდა — **ნინო ჟღენტი.** მამაც ექიმი იყო, კარდიოლოგი **ალექსი ანდრიაძე.** ბედნიერი ვარ, რომ ორივე გვარიდან, ტაბიძეებისა და ანდრიაძეებისაგან მემკვიდრეობით მერგო ყველაზე მნიშვნელოვანი და მთავარი რამ ამ ცხოვრებაში — სიცოცხლის სიყვარული. ყველას უყვარს თავისი გვარი, მეც მეამაყება, რომ ანდრიაძეები წარმატებული გვარის შვილები ვართ, შეკრული ოჯახები გვაქვს, ვმეგობრობთ, გვაქვს ჩვენი საგვარეულო დროშა და ჰიმნი. **რაც შეეხება ტაბიძეებს, ტიციან ტაბიძის შვილიშვილობა, გარდა სიამაყისა, დიდი პასუხისმგებლობაა და ყოველთვის ვიცოდი, რომ ცუდად არასოდეს მოვიქცეოდი.** ასე გავზარდე ჩემი შვილებიც, მწამდა, რომ წინაპართა გვარი ჩვენი ფარი იყო, რომელიც გვიცავდა შეცდომებისგან და შეცდომების უფლება არ გვქონდა!

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიცაშვილი***

## კვირგვინოსნები

**ნანა ფაჩუაშვილი**
*მსახიობი*



**ოქროს ხანას** დაემთხვა თეატრში ჩემი მსახურება, **გენიალურ მსახიობებთან ერთად ვიდექი სცენაზე.** არ არის ადვილი, როცა შენი ძვირფასი პარტნიორები ნელ-ნელა შემოგეცლებიან და აღმოაჩენ, რომ **იმ თაობიდან ძალიან ცოტანი ვართ დარჩენილები.**

„სარკე“

**ბესო მეგრელიშვილი**
*მსახიობი*



სცენაზე **უარყოფით პერსონაჟს** რომ ასახიერებ, მთლიანად უნდა წარმოაჩინო მისი უარყოფითი სახე. ამავდროულად, მასში უნდა ჩადო შენი მოქალაქეობრივი მსოფლმხედველობა — **მაყურებელს დაანახო, რომ ასეთი ცუდი არ უნდა გახდეს.**

„სარკე“

**აკაკი გოგიჩაიშვილი**
*ჟურნალისტი*



ყველა, ვინც **„60 წუთში“** მუშაობდა, **თავზეხელაღებულები** და **გიჟები** ვიყავით. ვინც ასეთი არ იყო, ჩამოგვშორდა.

„თბილისელები“

**კესარია აბრამიძე**
*ტელეწამყვანი*



**ერთგული ქმარი** მე აქ არ გამიგია. **ყველას ქმარი** მყავს ნანახი სხვა ქალთან კლუბში ან რესტორანში.

„თბილისელები“

**თამუნა გომართელი**
*ჟურნალისტი*



აი, **შუბლის ძარღვი** რომ ჰქვია, ეგ არის ჩემთვის მთავარი ფასეულობა.

„თბილისელები“







თარაზულად: 1. მორიგეობა გემზე; 6. ვაზის ნასხლავი; 9. ჭადრაკის ფიგურა; 10. ი. კალმანის ოპერეტა; 11. ქართული ზღაპარი; 12. ტემპერატურის საზომი ერთეული; 13. ჰიგიენური დაწესებულება; 16. ქალაქი საფრანგეთში; 17. ფრანგი მსახიობი ქალი; 20. იაპონური თეატრი; 22. ამბის ერთ-ერთი ახსნა; 23. ალ. ყაზბეგი — „... მკვლელი“; 25. სლოვენიური ფირმა (საყოფაცხოვრებო ტექნიკის); 26. თამბაქოს ნაწარმი; 27. იგივეა, რაც ბლანდი.

შვეულად: 1. ყველაზე კაშკაშა მცირე პლანეტა; 2. ტყავის პარკი, ტომარა; 3. ფრთოსანი მწერის განვითარების ბოლო სტადია; 4. თავდაპირველი ტექსტი, საიდანაც გადაღებულია პირი; 5. იტალიელი საოპერო მომღერალი მამაკაცი; 6. გველის ნაშიერი; 7. რძის შაქარი; 8. ერთგვარი კოქტეილი; 14. ფილმი ა. ჩელენტანოს მონაწილეობით; 15. იტალიელი ფეხბურთელი; 17. ახალი ვენახი; 18. ინდოეთის სახელმწიფო მოღვაწე; 19. აგრეთვე შენ, ანუ; 21. აღმოსავლეთი; 23. მსახიობი ... გიბსონი; 24. მიმართვა ქალისადმი ინგლისში.

## იპოვეთ ხუთი განსხვავება



## სკანვორდის პასუხები:

1. გრენლანდია; 2. ვეა; 3. ლე; 4. გადია; 5. ქანთარია; 6. მემ; 7. ოტია; 8. ოდეტა; 9. ბანდერა; 10. ჯოტია; 11. ეტა; 12. აიდა; 13. ვირა! 14. რადიო; 15. რამ; 16. ერა; 17. ზოდს; 18. ჰიჯრა; 19. ომა; 20. ელია; 21. სიო; 22. ბაო; 23. იდო; 24. მამული; 25. ვაი; 36. ამო; 27. ფროდო; 28. ქადა. ფოტოზე: 1. მარიტა და გედია; 2. ლუვრი; 3. სოფი მარსო.

## კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. ვახტი; 6. წალამი; 9. მხედარი; 10. სილვა; 11. წიქარა; 12. გრადუსი; 13. აბანო; 16. ლიონი; 17. ბინოში; 20. ნო; 22. ვერსია; 23. მამის; 25. გორენიე; 26. სიგარა; 27. ლამბი. შვეულად: 1. ვესტა; 2. ხალთა; 3. იმაგო; 4. დედანი; 5. კარუზო; 6. წიწილი; 7. ლაქტოზა; 8. მარტინი; 14. ბლეფი; 15. ნესტა; 17. ბაგა; 18. ნერუ; 19. შენც; 21. ოსტი; 23. მელ; 24. მემ.

## 10 კითხვა ინტელექტუალთათვის პასუხები:

1. იმიტომ, რომ უკეთესი არაფერი შეექმნათ; 2. ვენეციაში; 3. ჩაუ-ჩაუ; 4. ფილტვები; 5. წყნარ ოკეანეში; 6. სექსტეტს; 7. იისფერს; 8. შევარდენი; 9. ურუგვაიმ; 10. დიოსკურია.




## ვინ მოკლა არისტოკრატი



იპოვეთ 5 განსხვავების პასუხი:

ჯორჯ სმიტი კვირა საღამოს მოკლეს. იმ მომენტში სახლში იმყოფებოდა 5 ადამიანი: მისტერ სმიტის ცოლი, პირადი მზარეული, მსახურთუფროსი, მოსამსახურე ქალი და მებაღე. ისინი დეტექტივმა სტივენსმა დაჰკითხა და შეიტყო:
● ჯორჯ სმიტი ბუხართან იჯდა და წიგნს კითხულობდა. ● მზარეული საუზმეს ამზადებდა. ● მსახურთუფროსი დავალებას აძლევდა მუშებს სასტუმრო ოთახში. ● მოსამსახურე ქალი ჭურჭელს რეცხავდა. ● მებაღე ორანჟერეაში მცენარეებს რწყავდა.
***ყველასთან გასაუბრების შემდეგ დეტექტივმა მყისვე დააპატიმრა მკვლელი. როგორ გამოთვალა დეტექტივმა სტივენსმა, ვინ იყო დამნაშავე?***




# 10 კითხვა ინტელექტუალთათვის



1 საქართველოს მეფე გიორგი პირველმა სვეტიცხოვლის ამგებ კონსტანტინე არსაკიძეს მკვლავი მოჰკვეთა, რუსეთის მეფე ივანე მრისხანემ კი — წმინდა ვასილი ნეტარის ტაძრის არქიტექტორებს. **რატომ?**



2 რომელ ქალაქში ვითარდება მოქმედება შექსპირის ტრაგედია **„ოტელოში“?**



3 რას უწოდებენ ჯიშს ძაღლისა, რომელსაც **ლურჯი ენა** აქვს?



4 **ადამიანის რომელი ორგანო არ ფუნქციონირებს მის დაბადებამდე?**



5 რომელ **ოკეანეშია მარიანის ღრმული,** რომლის სიგრძეც 10994 ± 40 მეტრია?



6 რას უწოდებენ **6 მუსიკოსისგან** შემდგარ ანსამბლს?



7 რომელ ფერს მივიღებთ **წითელი და ლურჯი საღებავების** ერთმანეთში არევით?



8 რომელია ყველაზე **სწრაფი ფრინველი,** რომლის სიჩქარე საათში 322 კილომეტრია?




9 რომელმა ქვეყანამ მოიგო **პირველი მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში?**



10 რა ერქვა **სოხუმს** კოლხეთის სამეფოში?



**პასუხი: მზარეული.** მკვლელობა მოხდა საღამოს, მზარეულმა კი თქვა, რომ ამზადებდა საუზმეს.

*„მწვადისთვის განკუთვნილი მარინადი შეიცავს ძმარს, რომელიც ანელებს ორგანიზმში ალკოჰოლის დაშლის პროცესს, რაც, თავის მხრივ, იწვევს გაუწყლოებას“* ***— ალკოჰოლთან მწვადის შეხამების სახიფათო თვისებაზე ექიმმა-თერაპევტმა ნადეჟდა კაპნინსკაიამ ისაუბრა.***



„კუჭი ალკოჰოლის გარეშეც ძნელად გადაამუშავებს ცხიმიან შემწვარ ხორცს. თუ მწვადს ჭამისას სპირტიან სასმელს მიაყოლებთ, საკვების მომნელებელი ყველა ორგანო ორმაგად დაიტვირთება. მარინადების უმრავლესობაში შედის ძმარი, რომელიც ორგანიზმში ალკოჰოლის დაშლის პროცესს ანელებს და შედეგად ხდება გაუწყლოება. **ცხიმიანი საკვები და დიდი რაოდენობის ალკოჰოლი აგრეთვე ძალიან ზრდის დატვირთვას ღვიძლზე“.** — განაცხადა ექიმმა და დასძინა, რომ აღნიშნული პროცესი უარყოფითად აისახება ყველა ორგანოს მუშაობაზე, თუმცა, პრობლემები შეიძლება არა მაშინვე, არამედ რამდენიმე კვირის შემდეგ გამოვლინდეს. მანამდე სპორტულმა ექიმმა **ალექსანდრა პურიგამ** განმარტა, რომ **მწვადი — ეს არ არის რეგულარული რაციონის კერძი და მისი ჭამა შეიძლება მხოლოდ კვირაში ერთხელ.** პურიგას აზრით, კარგი იქნება, თუ საჭმელში დავამატებთ ქორფა ბოსტნეულსა და მწვანილს. ექიმი გვირჩევს, რომ გულმოდგინედ მივუდგეთ მწვადისთვის მარინადის არჩევის საკითხს და არ გამოვიყენოთ მაიონეზი და ისეთი ხილი, რომელიც შექმნის შაქრის კარამელის ქერქს.



# მწვადზე ალკოჰოლური სასმლის მიყოლება ორგანიზმის გაუწყლოებას იწვევს

# გასახდომად იდეალური საუზმის საიდუმლო

***ფლორიდელი (აშშ) დიეტოლოგის კიმ როუზის თქმით, ადამიანმა, რომელსაც ჭარბი წონის დაკლება სურს, აუცილებლად უნდა ისაუზმოს.***

სპეციალისტი ამბობს, რომ საუზმის გამოტოვება და მწირი სადილი გახდომის პროცესს ართულებს. ჯანმრთელი, კარგად დაბალანსებული საუზმე მთელი დღის სამყოფ ენერგიას იძლევა. ის მუხტავს სხეულსა და ტვინს ღამით შიმშილის შემდეგ. „აი, რატომ არის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რას შეჭამთ საუზმეზე ისევე, როგორც თვითონ გადაწყვეტილება, ისაუზმოთ“, — აღნიშნა ექიმმა.

როუზმა გაამხილა წონის დასაკლებად იდეალური საუზმის სამი შემადგენელი: ცილები, ცხიმები და ნახშირწყლები. **„თუ თქვენ კარგად ისაუზმებთ და დღის დარჩენილ ნაწილში მცირე რაოდენობის კალორიებს მოიხმართ, არ მოგინდებათ გამუდმებით წახემსება. ამას გარდა, თქვენ შეძლებთ კალორიების დაწვას დაღამებამდე“,** — დასძინა მან. დიეტოლოგის რჩევაა, არ ვთქვათ უარი ნახშირწყლებზე, რადგან ის ტვინისთვის უპირატეს ენერგიას წარმოადგენს. ექსპერტის თქმით, მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ **საუზმეზე კვერცხის რეგულარული მირთმევა კოგნიტურ ფუნქციებს აუმჯობესებს.** მან იმ ადამიანებს, რომლებსაც რთული კერძების მომზადება ეზარებათ, ავოკადოს ტოსტები შესთავაზა. **„თქვენ მიიღებთ უცხიმო ცილას კვერცხიდან, სასარგებლო ცხიმს — ავოკადოდან, ხოლო ნახშირწყლებსა და უჯრედებს — ტოსტებიდან“.** — დააზუსტა როუზმა.



**მოსამზადებლად საჭიროა გაჭყლეტილი ავოკადო წავუსვათ ტოსტს, დავუმატოთ შემწვარი კვერცხი, მოვაყაროთ ცოტაოდენი შავი პილპილი, პაპრიკა და მარილი.**

„უმრავლესობა ადამიანებისა, რომლებიც დიეტას იცავენ, გამოკლების მეთოდით მოქმედებენ, მაგრამ, ჯობს, მიმატების კანონი გამოიყენონ. მოხარშეთ 6-7 კვერცხი, რომელსაც მთელ კვირას იმყოფინებთ, ბლენდერში ათქვიფეთ შრატის პროტეინის სმუზი საუზმისთვის“. — დასძინა სპეციალისტმა.

უფრო ადრე დიეტოლოგმა **კრისტიან მილმაინმა** ფუნთუშებსა და ნამცხვრებს ცუდი არჩევანი უწოდა, რადგან ასეთ საჭმელში ბევრია შაქარი, მავნე ცხიმები და ძალიან ცოტა — უჯრედისი.



***ექიმმა-თერაპევტმა ელენე ტიხომიროვამ გამოცემა „იზვესტიასთან“ საუბარში დღეგრძელობის საიდუმლო გაამხილა.***

## დღეგრძელობის საიდუმლო

ექიმის თქმით, დღეგრძელობა გენეტიკური თვისებაა, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ყველა ხანდაზმული იშვიათად ჭამს ბევრს და ზოგჯერ ვახშამსაც კი ივიწყებს. **„სასურველია, იკვებოთ უბრალო გლეხური საკვებით, რომელსაც არ შეხებია კვების მრეწველობის ხელი. დიდხანს სიცოცხლე — ეს არის ცოტა საკვები და ზოგჯერ შიმშილი“.** — თქვა ტიხომიროვამ.



# გართულებები, რომლებიც „კოვიდ-19“-ის შემდეგ სამუდამოდ რჩება




ელენე მესკინა



***ექიმმა-ინფექციონისტმა ელენე მესკინამ ჩამოთვალა გართულებები, რომლებიც „კოვიდ-19“-ის გადატანის შემდეგ სამუდამოდ რჩება ორგანიზმში.***

**მესკინამ** ხაზგასმით აღნიშნა, რომ კორონავირუსის ინფექციამ შეიძლება გამოიწვიოს არამხოლოდ ქრონიკული დაავადებების გამწვავება, არამედ ახალი სნეულებების პროვოცირებაც. ჩატარებული გამოკვლევების მიმდინარეობისას გაირკვა, რომ **15 პროცენტს იმ ადამიანებისა, რომლებმაც SARS-COV-3 გადაიტანეს, მეორე ტიპის შაქრიანი დიაბეტი განუვითარდა.** ამ 15 პროცენტიდან 2 პროცენტს სწორედ კორონავირუსის შემდეგ დაეწყო დიაბეტი, „ანუ მათ ორგანიზმში გამომწვევი უკვე იყო, უბრალოდ, „კოვიდ-19“-მა მათ ადრეულ გამოვლინებას ბიძგი მისცა“, — განმარტა ინფექციონისტმა. დანარჩენ 13 პროცენტს დიაბეტი გამოუვლინდა პირველად და ეს იყო ვირუსის პირდაპირ ნეგატიური შედეგი.

მესკინას თქმით, **კორონავირუსისგან განკურნების შემდეგ ბევრ პაციენტს დაუდგინდა ფილტვების ფიბროზი.** „ცნობილია, რომ „კოვიდ-19“ შტამისგან დამოუკიდებლად იწვევს პნევმონიას, რაც გადადის ფიბროზში. შედეგად ფილტვის ქსოვილი იწყებს ზრდას და ნაწიბურებით დაფარვას. აღდგენის პერიოდში დაზიანებული ადგილების სრული კომპენსაცია არ ხდება და ფილტვების ბევრ უბანზე ნაწიბურები სამუდამოდ რჩება.

აგრეთვე, **ზოგიერთ პაციენტს შეიძლება დაეწყოს ფარისებრი ჯირკვლის ანთება — ტირეოდიტი და იმის რისკი, რომ ის გადავიდეს ქრონიკულ სტადიაში, დიდია.** „თუ ჩვეულებრივ პირობებში დაავადება სამთვიანი თერაპიის შემდეგ იკურნება, კორონავირუსით პროვოცირებული ტირეოდიტი სამუდამოდ რჩება და იწვევს დისკომფორტს ყელის არეში, ყლაპვის გაძნელებას, დიფუზიურ ცვლილებებს და არღვევს ჯირკვლის ფუნქციებს“ — განაცხადა ინფექციონისტმა.

ექიმის თქმით, გართულებების ჩამონათვალში აგრეთვე შედის გულის კუნთის ანთება, ინფარქტები და ინსულტები. **„კოვიდის კიდევ ერთი სახიფათო შედეგი არის კარდიოსკლეროზი, რომლის დროსაც ავადმყოფს ნორმალური კუნთოვანი ქსოვილი მიოკარდში ეცვლება არაელასტიკური და უხეში წარმონაქმნებით“.** — თქვა სპეციალისტმა და დასძინა, რომ მის მიერ ჩამოთვლილი „კოვიდ-19“-ით გამოწვეული შედეგები ჩნდება პოსტკოვიდურ პერიოდში, ამიტომ პაციენტებმა უნდა ჩაიტარონ დამატებითი კვლევები, თუნდაც არ აღენიშნებოდეთ ჯანმრთელობის მდგომარეობის პრობლემები.



# მიხეილ ცაგარელი:
# მთვარის მრავალფეროვნება და ფოლკლორი

*— რატომ უწოდებენ ინდიელები ზამთრის მოკაშკაშე მთვარეს მგლის მთვარეს? რა სახელებით მოიხსენიებენ მას სხვა ხალხთა ფოლკლორში, რას უკავშირებენ ანდა ასტროლოგიური თვალთახედვით რასთან გვაქვს საქმე? რა იშვიათ მოვლენას წარმოადგენს ფოლკლორული შავი, იგივე თებერვლის მთვარე? რატომ უყვართ იგი მაგებსა და ჯადოქრებს ანდა ასტროლოგიურად რას უკავშირდება, რას აღნიშნავს და ამ დროს რა არის მეტად სასიკეთო? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი* ***მიხეილ ცაგარელი*** *გვესაუბრება.*

**— განვაგრძოთ საუბარი მთვარის მრავალფეროვნების შესახებ, რაც ზოგ შემთხვევაში წელიწადის ამა თუ იმ დროს ანდა სავსემთვარეობასა და ახალმთვარეობას უკავშირდება.**

— **ზამთრის მოკაშკაშე მთვარეს ინდიელთა უმეტესი ტომებში მგლის მთვარეს უწოდებენ.** მათი რწმენით, ეს სწორედ ის დროა, როცა შიმშილისა და სიცივის გამო მგლები ღამღამობით მთვარეს შეჰყმუიან. ამავდროულად, ხალხური გადმოცემით, არსებობენ ადამიანები-მაქციები, რომლებიც იმ პერიოდში, როცა მთვარე ჰორიზონტს უახლოვდება, მგლებად გადაიქცევიან. მოგეხსენებათ, **მთვარე ჰორიზონტს უახლოვდება ყოველი წლის იანვარში, ძირითადად შუა თვეში. ამ დროს მზის სხივები მას პირდაპირ ანათებენ და მთვარეც განსაკუთრებით მოკაშკაშეა, რითიც ახალი წლის პირველ სავსემთვარეობას გვამცნობს. სხვა ერებში კი ამგვარ მთვარეს უწოდებენ ძველ მთვარეს, დიდებულ სულიერ მთვარეს, თოვლის მთვარეს, ცივ მთვარეს** და ა.შ. ძირითადად კი ეს **სავსემთვარეობა** არის რაღაცის დასასრული, რაღაცის შეჯამება, ამიტომ იგი წინა, უკვე გასული წლის ბოლო აკორდია, რომელსაც ყველაფერი ძველი უნდა გაატანო, რათა ცხოვრება ახალი, ნათელი ენერგიით დაიწყო. **ასტროლოგიური თვალსაზრისით** კი ეს მორიგი **სავსემთვარეობაა, რომელსაც ადგილი აქვს წლის დასაწყისში. ამ დღეს აუცილებელია ლოცვა, მედიტაცია, წარსულის გააზრება და მომავალზე ფიქრი. ამ დროს დღე უკვე ნელ-ნელა, ჯერჯერობით შეუმჩნევლად, მაგრამ ზრდას იწყებს. ღამე კი მოკლდება და სინათლე სიბნელეზე იმარჯვებს. სწორედ ეს გახლავთ ის განწყობა, რომელიც ამ დღის გააზრებისთვის საუკეთესოა.** ამავდროულად, ეს დღე კარგია უახლოეს წარსულში მიღებული გადაწყვეტილებების, საახალწლოდ ჩაფიქრებული სურვილების გასახსენებლად და აუცილებლობის შემთხვევაში კორექტირებისთვის.

**— არაერთი ქვეყნის ფოლკლორში ნახსენებია ე.წ. შავი მთვარე. რას წარმოადგენს იგი და უკავშირდება თუ არა ასტროლოგიური შავი მთვარის, ანუ ლილიტის ფენომენს?**

— **შავი მთვარე** მართლაც არაერთი ქვეყნის ფოლკლორშია წარმოდგენილი. ითვლებოდა, რომ ამ დროს ხალხი გარეთ არ უნდა გასულიყო და კარებიც კარგად უნდა ჩაერაზათ. თუმცა, ეს **შავი მთვარე არ უნდა აგვერიოს ასტროლოგიურ შავ მთვარესთან, ანუ ლილიტთან. ფოლკლორული შავი მთვარე ძალიან იშვიათი ახალმთვარეობაა თვის დასაწყისსა და ბოლოში, რომელიც ყოველთვის თებერვალში ხდება, ამიტომ მას თებერვლის მთვარესაც უწოდებენ.** ნიშანდობლივია ისიც, რომ ეს ორი ახალმთვარეობა ძალიან უყვართ მაგებსა და ჯადოქრებს, რადგან ამ დროს მათი საკმაოდ მნიშვნელოვანი რიტუალები სრულდება. **ასტროლოგიური თვალსაზრისით კი ე.წ. შავი მთვარეები ჩვეულებრივი ახალმთვარეობებია, რომლებიც რაღაცა ახლის დასაწყისს აღნიშნავენ. როგორც ყოველი ახალმთვარეობისას ამ დროსაც ენერგიის ნაკლებობა დამატებით სირთულეებს ქმნის, მაგრამ ასევე ახალი მთვარე ადამიანს შემოქმედებითობასაც უძლიერებს, ამიტომ შემდგომი დღეები ძალზედ სასიკეთოა ახალი წამოწყებებისა და ინიციატივებისთვის, რომელიც ხელს შეუწყობს განვითარებასა და წარმატებას.** თავად **ახალმთვარეობის დღე** კი მეტად სასიკეთო იქნება თვითანალიზისთვის და იმ მავნე ჩვევებზე უარის სათქმელად, რომელიც პიროვნულ, პროფესიულ თუ სულიერ ზრდას ხელს უშლის. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არსებობს რიტუალი, რომლის მიხედვითაც ამგვარი **შავი მთვარის** დროს ფურცელზე წერენ იმას, რისი მოშორებაც სურთ, რისგანაც უნდათ გათავისუფლება. ეს შესაძლოა, იყოს, როგორც მავნე ჩვევა, ისე რაიმე მანკიერება. შემდგომ ამ ფურცელს კეცავენ და **ახალმთვარეობისას** მდინარეში ან ზღვაში აგდებენ. **ამგვარად, როგორც ვხედავთ, რაც არ უნდა იშვიათ მოვლენასთან გვქონდეს საქმე, მთვარე როგორიც არ უნდა იყოს და რა სახელიც არ უნდა დავარქვათ, იგი ყოველთვის თავისი ძირითადი ფუნქციის შემსრულებლად გვევლინება.** ფოლკლორს რაც შეეხება, ის ყველა ხალხსა და ყველა დროში მუდამ უკავშირდებოდა სიცოცხლის წრებრუნვას, დასრულებასა თუ განახლებას და ფარულ საიდუმლოებებს.

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

## 16 –22 მაისის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
მთელ დროს გართობისთვის ნუ დახარჯავთ, რადგან, შესაძლოა, პერსპექტიული შესაძლებლობები ხელიდან გაუშვათ. ეს კვირა მნიშვნელოვანია ახალი კავშირების დამყარებისთვის და საჭირო მოლაპარაკებებისთვის საოჯახო და სასიყვარულო სფეროში, გელით მრავალფეროვანი დადებითი მოვლენები ან სიურპრიზები. მოგზაურობის დროს ბრმად ნურავის ენდობით და მიღებული ინფორმაცია შეამოწმეთ. ხშირად დაისვენეთ და სამოქმედოდ ძალები დააგროვეთ.

**კურო** (21.04-20.05)
თქვენი მიზანია არსებული მდგომარეობის გამყარება და ფინანსური წარმატება. კარგი პერიოდია უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმეების მოსაგვარებლად, საბუთების მოსაწესრიგებლად. ხრიკებს მოერიდეთ და ნუ გარისკავთ, რათა საკუთარ ავტორიტეტს არ ავნოთ. თუ დახარჯული შრომისთვის ადეკვატურ შექებას არ მიიღებთ, თავს არაკომფორტულად იგრძნობთ. ოჯახსა და ბავშვებს მეტი დრო დაუთმეთ. დასვენების საუკეთესო საშუალება კი სპორტი და სეირნობა იქნება.

**ტყუპი** (21.05-22.06)
ილუზიებს ერიდეთ და პირად თუ საქმიან საკითხებს პრაქტიკულად მიუდექით. სხვისი ან საკუთარი უსიამოვნება წონასწორობას დაგირღვევთ. სასურველია, შინ და გარეთ უფრო გულღია იყოთ, რათა ცვლილებებმა მხოლოდ დადებითი შედეგი მოიტანოს. ოჯახის წევრებთან ურთიერთობა მდგომარეობას შეგიმსუბუქებთ. მოგზაურობისას ბევრ ადამიანს გაიცნობთ, რაც ახალ ინფორმაციებს მოგაწვდით და მშვენიერი საჩუქრებით გაგახალისებთ.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
მოვლენები სწრაფად განვითარდება, ამიტომ ხშირად დაისვენეთ და ეცადეთ, არ გადაიღალოთ, რათა ორგანიზმს არ ავნოთ. ამ პერიოდში თქვენი ძირითადი საზრუნავი ფინანსური შემოსავლების ზრდა და სამუშაო პირობების გაუმჯობესება იქნება. პირად ურთიერთობაში მეტი ტაქტი და დაკვირვება გმართებთ, რათა გაუგებრობას გვერდი აუაროთ. დასვენებასა და ენერგიის აღდგენას მეტი დრო დაუთმეთ და მოგზაურობისას სარისკო სიტუაციებს მოერიდეთ.

**ლომი** (23.07-23.08)
ამ კვირაში მიღებული გადაწყვეტილებები ძალზედ მნიშვნელოვანი იქნება, თქვენი ამბციურობა იმატებს, ახალი მიზნები და ამოცანები გაგიჩნდებათ. მიღწეული შედეგით კმაყოფილი არ იქნებით და არსებულის გაუმჯობესებას მოისურვებთ. კარიერული, პროფესიული და სოციალური სტატუსის თვალსაზრისით მოსალოდნელია ცვლილებები. გადაადგილებებისას არსებობს რომანტიკული თავგადასავლების ალბათობა, თუმცა, გაუაზრებელ გადაწყვეტილებას ნუ მიიღებთ.

**ქალწული** (24.08-23.09)
მოსალოდნელია მატერიალური ან ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება და სოციალური სტატუსის ამაღლება. სიახლეებს ნუ მიეძალებით და მეტად გამოიყენეთ ნაცნობები, ჩვეული სფერო და მეთოდები. წარმატების მიღწევა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მშვიდი განწყობით და ახლობლებთან კონტაქტით. შესაძლოა, ოჯახური ურთიერთობის მოთხოვნილება გაგიჩნდეთ, რაც ქორწინებისკენ გიბიძგებთ. მგზაურობა კი საინტერესო და სახალისო იქნება.

## 16 –22 მაისის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
კეთილგანწყობა და სიახლეებისადმი ინტერესი ბევრ ადამიანთან დაგაკავშირებთ. ნებისმიერ საკითხში ესთეტიკური პრინციპით იხელმძღვანელეთ და ჩანაფიქრის განხორციელებას ნუ შეუშინდებით. შესაძლოა, ადამიანი გაიცნოთ, რომელთანაც სიყვარული დაგაკავშირებთ. საჭიროებისას კარგი იქნება მკურნალობის დაწყება და ჯანმრთელობის პრობლემებისგან გათავისუფლება. მოგზაურობისას ექსტრემალურ გართობას მოერიდეთ.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
აქტიური და მნიშვნელოვანი პერიოდია. წარმატების რწმენა, თავდაჯერება და შრომისუნარიანობა იმატებს. შესაძლოა, საპასუხისმგებლო საქმე დაგეკისროთ. თამამი ჩანაფიქრები რეალიზდება. ბევრი ადამიანი დახმარებისთვის მოგმართავთ და კარგი იქნება, თუ გულისხმიერებას გამოიჩენთ. ახლობლებს ყველა საკითხში ნუ მიენდობით, რადგან მაღალია მოტყუების ალბათობა. სასიყვარულო ფრონტზე კი თავშეკავება გმართებთ, რათა არსებული კავშირი შეინარჩუნოთ.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
პერსპექტიული თანამშრომლობა წარმატების შესაძლებლობას გაგიფართოებთ სხვა ქვეყანაში თუ ქალაქში მცხოვრებ პარტნიორებთან. პროფესიული საქმე და საზოგადოებრივი საქმიანობა წინასწარ დაგეგმვასა და მომზადებას საჭიროებს. შორეული მოგზაურობა არამარტო ბევრ დადებით ემოციებს გამოიწვევს, არამედ შინაგან სამყაროსაც გაგიმდიდრებთ. წვრილმანი უთანხმოება პირად კავშირებს პრობლემას შეუქმნის ან შვილებთან კამათის საბაბი გახდება.

**თხის რქა** (22.12-19.01)
კარიერა მოითხოვს ცოდნის გაღრმავებას და დამატებითი ინფორმაციის მიღებას. გონებამახვილობითა და შეუპოვრობით ბევრ საქმეს დაასრულებთ. საეჭვო ადამიანებთან ურთიერთობას მოერიდეთ და ემოციებიც აკონტროლეთ. სხვისნაცვლად საქმეებს ნუ შეასრულებთ, რათა ზედმეტად არ გადაიღალოთ. პირად ცხოვრებაში ცვლილებები არ არის მოსალოდნელი. მოგზაურობა კი დადებითად ჩაივლის და შთაბეჭდილებებით აღსავსე იქნება.

**მერწყული** (20.01-18.02)
კარგი პერიოდია შემოქმედებისა და თვითგამოვლენისთვის. ასევე ცოდნის გასაღრმავებლად, იურიდიული და ოფიციალური საქმეების მოსაგვარებლადაც ხელსაყრელი დროა. ფულადი სახსრების მიმართ მეტად ფრთხილი იქნებით, რაც გარკვეული თანხის დაზოგვის საშუალებას მოგცემთ. რომანტიკული ურთიერთობისას შესაძლოა, უჩვეულო გამოცდილების მიღება მოისურვოთ, რაც ბედ-იღბლის რადიკალურ ცვლილებას გამოიწვევს. მოგზაურობა დადებითად ჩაივლის.

**თევზები** (19.02-20.03)
მოსალოდნელია ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება. ბევრი ადამიანი დახმარებისთვის მოგმართავთ და თქვენც ხელს გაუწვდით. ყველას ნუ მიენდობით, რადგან მოტყუების ალბათობა არსებობს. ოჯახისა და სამსახურის საქმეები ყურადღებას ითხოვს. შესაძლოა, ოჯახური ურთიერთობის აუცილებლობის მოთხოვნილებამ ზოგიერთ თქვენგანს დაქორწინებისკენ უბიძგოს. მოგზაურობა სახალისო იქნება.

## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია 16, 18, 19 და 22 მაისი

16 მაისი – სავსემთვარეობა და მთვარის დაბნელება (პიკი – 08.13);
30 მაისი – ახალმთვარეობა (პიკი – 15.30).




## მაღაზია «ბუკვიცა»

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე.

მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.
574-73-46-96, 243-01-17
555-68-82-90


### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 1. მორზე; 6. სადა; 11. პორტერი; 12. მორიელი; 13. ქუსლი; 14. რასპე; 15. ლინდერი; 16. რიტმიკა; 17. ივანე; 18. ნეონი; 19. ვაფლი; 21. ქანდარა; 23. არე; 25. სე; 26. ლაზიერი; 27. ალ; 28. ალბინოსი; 31. ფაზენდა; 33. ამირა; 35. საკე; 37. აი; 38. სარკომა; 39. დინგო; 40. ბეტონი; 41. ლურჯა; 43. ნაილონი; 44. ნარინი; 45. შიკი; 47. ესერი; 48. ანტონიმი; 50. ამპირი; 53. მური; 54. სილიო; 57. კავერნა; 59. ფალცეტი; 60. უსენი; 61. ნავსი; 62. რეგალია; 63. საყდარი; 64. იდიში; 65. მჭადი.

**შვეულად:** 1. მექსიკა; 2. რუსთაველი; 3. ეპილეფსია; 4. ბრენდი; 5. სენეგალი; 6. სირინოზი; 7. დისკოთეკა; 8. კრეტინიზმი; 9. ბერიკა; 10. ყირამალა; 12. მერიქიფე; 20. ლენ; 22. რადიო; 24. რამზესი; 29. ბრიოლინი; 30. სარდინი; 32. ნაგლინი; 34. სოდომი; 35. სალიერი; 36. კარდენი; 38. სინიორა; 39. დანია; 42. ზიჩი; 45. შამპუნი; 46. კარმენი; 49. მორალი; 51. მალაყი; 52. როტორი; 54. სანამ; 55. ლავრა; 56. ოფისი; 57. კირი; 58. ვოგი.

**პონტოაკიდომინოსიგარაჟიგოლონეზიერატოლიბანი**
**ბლუზიანისიგანედიადიდავლადიუნიკუმისიბარიტი**

# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 16 მაისი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 04.41 საათზე, ჩადის 19.15 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (15.51) მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 19.52 საათზე, ჩადის 17 მაისს 04.40 საათზე (მთვარის მე-17 დღე იწყება 22.35 საათზე. **სავსემთვარეობაა.** პიკი — 08.15 საათზე. ამ დროს იწყება მე-3 ფაზა. **მთვარის დაბნელებაა,** პიკი — 08.13 საათზე). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 13.28 საათიდან 15.51 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** მძიმე ენერგიების დღეა, რაც განაპირობებს ტრავმებს, ავარიებს, შეცდომებს, ცდუნებებს, ეჭვიანობას, განაწყენებას, ჯანმრთელობის გაუარესებას, აგრესია-დეპრესიას. დღეს მთვარის ენერგიის შეერთება დაღმავალ კვანძთან და უჩინარ პლანეტა პროზერპინასთან ხელს შეუწყობს საბანკო სისტემის კრიზისს, ვალუტის კურსის ცვალებადობას, ტერორიზმს, ამორალურ ქმედებას, სექსუალურ ძალადობას. აკონტროლეთ ემოცია, იმპულსურობა, მთვარის დაბნელებამ შესაძლოა, ნეგატიური ზეგავლენა მოახდინოს სამშენებლო ბიზნესზე, საბინაო და აგროპროექტების რეალიზაცია შეაჩეროს. სიმშვიდე შეინარჩუნეთ. სასიკეთოა ლოცვა. არ არის სასურველი ახალი საქმის დაწყება, ყიდვა-გაყიდვა, მგზავრობა, ფულის სესხება-გასესხება, ალკოჰოლის მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო სისტემა, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი. **ქვების** გამოყენება არ არის რეკომენდებული. **პოზიტიური დღეა** ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის. **ნეგატიურია** სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის.

## 17 მაისი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 04.40 საათზე, ჩადის 19.16 საათზე. **მთვარე** მშვილდოსნის ზოდიაქოშია. ამოდის 21.11 საათზე, ჩადის 18 მაისს 05.19 საათზე (მთვარის მე-18 დღე იწყება 23.14 საათზე. მე-3 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს ახალი საქმის დაწყებას ნუ იჩქარებთ. ხელი შეეწყობა გაცნობას, პარტნიორული ურთიერთობისას პრობლემის მოგვარებას. კარგი დღეა სუნთქვითი ვარჯიშებისთვის, წყლის პროცედურებისთვის, ფილტვებისა და ხელების მკურნალობისთვის, სულიერი და ინტელექტუალური განვითარებისთვის, იურიდიული საქმეებისთვის, მოგზაურობისთვის, სპორტული ღონისძიებისა და ვარჯიშებისთვის, ხელშეკრულების დასადებად. არ არის სასურველი სისხლის გადასხმა, მშენებლობა. ბავშვები ქუჩაში გადაადგილებისას გააკონტროლეთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი. **ქვები:** ფირუზი, ლაზურიტი, საფირონი, გიშერი, სერდოლიკი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, თევზებისთვის.

## 18 მაისი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 04.39 საათზე, ჩადის 19.17 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (16.03) თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 22.25 საათზე, ჩადის 19 მაისს 06.09 საათზე (მთვარის მე-18 დღე გრძელდება. მე-3 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს თქვენი იდეის მართებულობის მტკიცება არ ღირს. გააქტიურებული არიან ბოღმიანი, შურიანი ადამიანები, რაც შესაძლებლობას იძლევა ადამიანთა გადახარისხებასა და ფილტრაციისთვის. პარტნიორული ურთიერთობისას მოერიდეთ სარკაზმსა და დაცინვას. კარგი დღეა მავნე ჩვევებისგან გათავისუფლებისთვის, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის, უცხოელებთან კონტაქტისთვის, მოგზაურობისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, სარესტავრაციო სამუშაოებისთვის. იმატებს ინტუიცია და კომპეტენტურობის გამოვლენის სურვილი. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, ძვლოვანი სისტემა, სახსრები, მუხლები. **ქვები:** ფირუზი, ლაზურიტი, საფირონი, ონიქსი, ქრიზოპრაზი. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის.

## 19 მაისი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 04.38 საათზე, ჩადის 19.18 საათზე. **მთვარე** თხის რქის ზოდიაქოშია. ამოდის 23.27 საათზე, ჩადის 20 მაისს 07.10 საათზე (მთვარის მე-19 დღე იწყება 01.36 საათზე. მე-3 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** კარგი დღეა ყოველდღიური და კარგად ნაფიქრი საქმეებისთვის, მავნე ჩვევისგან გათავისუფლებისთვის, სარესტავრაციო საქმიანობისთვის, საათისა და საოფისე ნივთების შესაძენად, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, ექიმთან კონსულტაციისთვის. ეფექტურია კუჭ-ნაწლავის, მკერდის, ფილტვების, კანისა და ფრჩხილების მკურნალობა. არ არის სასურველი სიმძიმეების აწევა, მკვეთრი მოძრაობები, ფინანსური ოპერაციები, ქორწინება, სტომატოლოგიური პროცედურები, გაცვლითი ოპერაციები. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები, კანი, კბილები. **ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, ოპალი, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, მერწყულისთვის.

## 20 მაისი, პარასკევი

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 04.37 საათზე, ჩადის 19.19 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (16.54) მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 23.59 საათზე, ჩადის 21 მაისს 02.38 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 15.52 საათიდან 16.54 საათამდე. **ტენდენციები:** პოზიტიური ტენდენციების დღეა! შესაძლებელია ნაყოფიერად მუშაობაც და დასვენებაც. დღეს ზედმეტად მომთხოვნი ნუ იქნებით, რამეთუ დათმობის ტაქტიკა შესაძლოა, უფრო მომგებიანი იყოს. მოერიდეთ ფორიაქსა და ზედმეტ ლაპარაკს. კარგი დღეა მავნე ჩვევებისგან გათავისუფლებისთვის, სარესტავრაციო სამუშაოებისთვის, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის, საათისა და საოფისე ნივთების შესაძენად, სამეცნიერო კვლევისთვის, ცურვისთვის. არ არის სასურველი ფინანსური ოპერაციები, ვაჭრობა, ხელმძღვანელთან ურთიერთობა, ქორწინება, ახალი კავშირის დამყარება, მანუალური თერაპია. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, მუხლები, სახსრები, კანი, თვალები. **ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი. **საღამოს** — საფირონი, აკვამარინი, ცირკონი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ტყუპისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის.

## 21 მაისი, შაბათი

**მზე** გადაინაცვლებს (05.24) **ტყუპის** ზოდიაქოში. ამოდის 04.36 საათზე, ჩადის 19.20 საათზე. **მთვარე** მერწყულის ზოდიაქოშია, ამოდის 00.16 საათზე, ჩადის 09.36 საათზე (მთვარის 21-ე დღე იწყება 03.05 საათზე. მე-3 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს **მზე** გადაინაცვლებს **ტყუპის** ზოდიაქოში და უახლოესი ერთი თვის მანძილზე ადამიანებში გააძლიერებს კომუნიკაბელურობას, გონებამახვილობას, შუამავლობის ინფორმაციის მოძიების, კონტაქტის დამყარების, მოლაპარაკებების უნარს, მოგზაურობისკენ მიდრეკილებას და ასევე მერყეობა-გაორებას, უყაირათობას, სულსწრაფობას, ზედაპირულობას, ფლირტისა და ფეიკებისკენ მიდრეკილებასაც. კარგი დღეა ცურვისთვის, სამშენებლო-სამღებრო სამუშაოებისთვის, ბინის შესაცვლელად, რეფორმატორული და საზოგადოებრივი საქმიანობისთვის, ელექტრო-აირ და კომპიუტერული ტექნიკის შესაძენად. სპორტული ღონისძიებებისთვის, ვიზიტებისთვის. არ არის სასურველი ფორიაქი და ზედმეტი ლაპარაკი, ზედმეტი სუბიექტურობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თვალები, ნერვული სისტემა, ფეხის კუნთები. **ქვები:** საფირონი, აკვამარინი, ცირკონი, ამაზონიტი, ციტრინი, ლაბრადორიტი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის.

## 22 მაისი, კვირა

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 04.35 საათზე, ჩადის 19.20 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (19.51) თევზების ზოდიაქოში. ამოდის 00.55 საათზე, ჩადის 10.52 საათზე (მთვარის 22-ე დღე იწყება 03.25 საათზე, მე-4 ფაზა იწყება 22.44 საათზე). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 11.19 საათიდან 19.57 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს პოზიტიური შესაძლებლობები მოგეცემათ. ხელი შეეწყობა მრწამსის პრინციპულ დაცვას. ამავდროულად გამახვილებულია სექსუალური ენერგია და ნუ გარდაქმნით მას აგრესიულ მოჭარბებულ ემოციურობაში. საკვებისა და სასმლის ხარისხი გააკონტროლეთ. რეალურ ფაქტებს დაეყრდენით და სანამ რაიმეს იტყვით, კარგად დაფიქრდით. ყური დაუგდეთ დედის რჩევას. კარგი დღეა საზოგადოებრივ-ნოვატორული საქმიანობისთვის, სახლის მშენებლობისა და რემონტისთვის, ბინის შესაცვლელად, საღამოს მოერიდეთ ალკოჰოლს, ფსიქოტროპული და ნარკოტიკული ნივთიერებების მიღებას. ნუ გადაიღლებით. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თვალები, ნერვული და ლიმფური სისტემა, ფეხის კუნთები, ტერფები. **ქვები:** საფირონი, აკვამარინი, ცირკონი, მარგალიტი, ამეთვისტო. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## საეკლესიო კალენდარი



**21 მაისი – ხსენება მოციქულისა და მახარებელისა იოანე ღმრთისმეტყველისა**

✝ **16 მაისი, ორშაბათი.** მამაი კათალიკოსისა; ღირსთა: მიქაელ და არსენ ქართველთა, ულუმბოელთა; მოწამეთა: ტიმოთესი და მავრასი; ღირსისა პეტრე სასწაულმოქმედისა, არგოსელი ეპისკოპოსისა; ღირსისა თეოდოსისა, კიევპეჩორელი იღუმენისა.

✝ **17 მაისი, სამშაბათი. ქალწულმოწამისა პელაგია ტარსიელისა;** მღვდელმოწამისა ერაზმისა, თორმიელი ეპისკოპოსისა; მღვდელმოწამისა ალვიანესი, ანეელი ეპისკოპოსისა და მოწაფეთა მისთა; მღვდელმოწამისა სილვანესი, ღაზელი ეპისკოპოსისა და მისთანა 40-თა მოწამეთა.

✝ **18 მაისი, ოთხშაბათი. ერგასის განზოგება.** დიდმოწამისა ირინესი; დღესასწაული ღმრთისმშობლის ხატისა „ბარძიმი შეუსმელი"; მოწამისა საგდუხტ ქალწულისა.

✝ **19 მაისი. ხუთშაბათი.** მართლისა იობ მრავალვნებულისა; მოწამეთა: ბარბარ მხედრისა, ბაქოსი, კალიმაქესი და დიონისესი; მოწამისა ბარბარ ავაზაკყოფილისა.

**20 მაისი, პარასკევი. ხსენება გამოჩინებისა პატიოსნისა ჯვარისა იერუსალიმს;** ღირსთა ასურელთა მამათა — იოანე ზედაზნელისა და 12-თა მოწაფეთა მისთა. **წმიდა კეთილმსახურ მეფე ბაგრატ მესამისა, საქართველოს გამაერთიანებლისა.**

✝ **21 მაისი, შაბათი. მოციქულისა და მახარებელისა იოანე ღმრთისმეტყველისა;** ღირსისა არსენი დიდისა.

✝ **22 მაისი, კვირა. აღდგომიდან მე-5, სამარიტელის კვირა.** წინასწარმეტყველისა ესაიასი; მიცვალება ღირსისა შიო დიდისა, მღვიმელისა, სასწაულმოქმედისა; ღირსისა ევაგრე ციხედიდელისა; მოწამისა ქრისტეფორესი; აღმოყვანება წმიდათა ნაწილთა ნიკოლოზ სასწაულმოქმედისა მირონლუკიიდან ბარიში.



საქართველო- ისრაელის ერთობლივი კლინიკა
GIDMEDI
GEORGIA - ISRAEL JOINT CLINIC
გიდმედი
გქონდეთ ჩვენი იმედი!
ნებისმიერი ქირურგიული და უროლოგიური პათოლოგია
თბილისი, ლუბლიანას ქ. 2/6, მეხუთე სართული. 591 35 33 55

იმედის კლინიკა
თბილისი, დიდი დიღომი, მირიან მეფის 10ა
imediclinic.com
* ორსულ ქალთა კონსულტაცია
* სამშობიარო სახლი
* პედიატრიული კლინიკა
* გინეკოლოგიური დეპარტამენტი
პროფესიონალიზმი, უახლესი აპარატურა, ოჯახური გარემო
სამშობიარო: 032 229-56-50
პედიატრიული კლინიკა: 032 223-85-80


ელის უნიკალური კრემი და სასწაულმოქმედი სამკურნალო მალამო თქვენი სილამაზისა და ჯანმრთელობისთვის!

ქალბატონი ელი ამაშუკელის საგვარეულო მალამო 14 წელია, უამრავ ადამიანს კურნავს. ჩვენმა უამრავმა პაციენტმა დაამარცხა ძალზე ვერაგი სახსროვანი დაავადებები. შეიმსუბუქეთ მტანჯველი ტკივილები და უარი თქვით ნემსებზე, მედიკამენტებზე, ჰორმონებზე და უშედეგო მკურნალობაზე, გადაყრილ ფულზე.
აჩერებს ართრიტის, ართროზის, კოქსართროზისა და ოსტეოპოროზის (და სხვა) პროცესს ძალიან ეფექტურად; აქრობს ანთებას თიაქარის დროს და უბრუნებს სახსარს ქმედითუნარიანობას; კურნავს მუხლის სახსროვან პათოლოგიებს და ხსნის ტკივილს; კვებავს სახსარსა და ძვალს; აფერხებს სითხის განლევას; ხსნის შეშუპებასა და დასიებას; აცხრობს ვენების ანთებით პროცესს; აჩქარებს გაბზარული ძვლის აღდგენას; ამაგრებს ქსოვილებს და მყესებს; აუმჯობესებს კანის სტრუქტურას და მასაჟის ფონზე ერევა ცელულიტს; ხდის კანს ელასტიკურს; შეიცავს უამრავ ვიტამინსა და მინერალს.
მალამო არის ქართული საგვარეულო რეცეპტი ბუნებრივი კომპონენტებით.
თბილისი, ფალიაშვილის 81, ვაკის პარკთან
599-22-59-09

წიგნის მუზეუმის ბუკინისტი:
შეიძენს კოლექციისთვის ძველ წიგნებს 1933 წლამდე გამოშვებულს — 1500 ლარად, ჟურნალებს,
ასევე საბავშვო წიგნებს და ჟურნალებს — 1945 წლამდე გამოშვებულს, პლაკატებს, არქივებს, ავტოგრაფებს, ქაღალდის ფულს, მედლებს და ანტიკვარიატს
591-75-35-38

| ამერიკული ავტომობილი | სამაგიდო თამაში | თამბაქოს ნაწარმი | დაქირავებული კავალერი | შორენას შვილის ნუკრი | გადასახური მასალა | კაცის სასიმღერო ხმა |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალიელი რეჟისორი | ვაზის მოკლედ აჭრილი რქა | კუნძულ კრეტას მეფე (მით.) | რიაზანოვის ფილმი | ანჟელიკას თავგადასავლების ავტორები | ლირიკული პოეზიის მუზა | აზიის სახელმწიფო |



თარაზულად: 1. წერტილ-ტირეების ანბანის ავტორი; 6. უბრალო, მარტივი; 11. ერთგვარი შავი ლუდი; 12. ზოდიაქოს ნიშანი; 13. აქილევსის სუსტი ადგილი; 14. გერმანელი მწერალი; 15. ფრანგი მსახიობი; 16. მოძღვრება რიტმის შესახებ; 17. რუსი „მრისხანე“ მეფე; 18. ქიმიური ელემენტი, „გასანათებელი“ გაზი; 19. ერთგვარი მსუბუქი ნამცხვარი; 21. ხარიხა ქათმებისათვის საქათმეში; 23. მიდამო, არემარე; 25. სამი კამათელზე; 26. ჭადრაკის ფიგურა; 27. მსახიობი... პაჩინო; 28. ნორმალური პიგმენტაციის არმქონე ადამიანი; 31. ბრაზილიური რანჩო; 33. არაბი ხელისუფალი საქართველოში (ძვ.); 35. ბრინჯის არაყი; 37. ჩვენებითი ნაწილაკი; 38. ავთვისებიანი სიმსივნე; 39. ავსტრალიური ველური ძაღლი; 40. საშენი მასალა; 41. გ. ტაბიძე — „... ცხენები“; 43. ხელოვნური ბოჭკო; 44. რუსუდანის ვაჟი დავით ...; 45. მოჩვენებითი, გარეგნული ბრწყინვალება; 47. სოციალისტ-რევოლუციონერი; 48. სიტყვა, რომელსაც სხვა სიტყვის საპირისპირო მნიშვნელობა აქვს; 50. სტილი დასავლეთ ევროპის არქიტექტურაში; 53. ჭვარტლი; 54. საჭმელი სოკო; 57. ფილტვში გაჩენილი ღრუ ტუბერკულოზის დროს; 59. მამაკაცის ძალიან წვრილი ხმა; 60. ფატმანის ვაჭარი ქმარი („ვეფხისტყაოსანი“); 61. თარსი; 62. მეფის ხელისუფლების მანიშნებელი საგანი; 63. ეკლესია; 64. ევროპელ ებრაელთა ენა; 65. სიმინდის „პური“.

შვეულად: 1. ქვეყანა სამხრეთ ამერიკაში; 2. დიდი ქართველი პოეტი; 3. ავი ზნე, ბნედა; 4. დაბალი ხარისხის კონიაკი; 5. აფრიკის სახელმწიფო; 6. ზღვის ნიმფა ბერძნულ მითოსში; 7. საცეკვაო კლუბი, კაფე; 8. გონების სიჩლუნგე; 9. ბერიკაობის მონაწილე; 10. თავდაყირა; 12. სუფრაზე ღვინის მიმწოდებელი და დამსხმელი; 20. მურმან ლებანიძე — „გაზაფხული შემოსულა ...“; 22. მაუწყებლობის საშუალება; 24. ეგვიპტის ფარაონი; 29. თმაზე წასასმელი კრემი; 30. ზღვის პატარა თევზი; 32. გლინვით მიღებული ლითონი; 34. ბიბლიური ქალაქი, რომელთა მცხოვრებლები გარყვნილებით გამოირჩეოდნენ; 35. იტალიელი კომპოზიტორი; 36. ფრანგი დიზაინერი; 38. მიმართვა ქალბატონისადმი იტალიაში; 39. ევროპის სახელმწიფო; 42. უნგრელი ფერმწერი, „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრატორი; 45. თხევადი საპონი; 46. ბიზეს ოპერა; 49. ზნეობა; 51. თავდაყირა დგომა; 52. ტურბინის მბრუნავი ნაწილი; 54. კავშირი — ვიდრე; 55. მამათა დიდი მონასტერი; 56. კანტორა, სამმართველო; 57. სამშენებლო მასალა (ძვ.); 58. მოდების ჟურნალი, რომელიც 18 ქვეყანაში გამოიცემა.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 30-ე გვერდზე*

| მუსიკალური ჟანრი | ძვ. სომხეთის დედაქალაქი | მანძილი ეკვატორიდან პოლუსებისაკენ | მავთულის გამოსაყვანი ხელსაწყო | ფრანგი მსახიობი ქალი | ძალიან იშვიათი რამ | ფუფუნებით განებივრებული ადამიანი | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ენა-ჩლუნგი | ვნება, ზარალი | სიფართოვე | დიდებული | ალაფი, ნადავლი | ქარისგან მოტანილი სილის ბორცვი | ცხენის რძის სასმელი | მინერალი, ბარიუმის სულფატი |

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

*დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს*

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

**ასავალ დასავალი**

2022 წლის 16 — 22 მაისი №21 (1433)

გამოდის ორშაბათობით

მედიაჰოლდინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

სარედაქციო კოლეგია

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

წერილები გამოგზავნეთ მისამართზე: **თბილისი, 0160, „ასავალ-დასავალი“.**
ტელეფონები: **215-25-25; 215-35-35; (+995) 570-50-50-50; (+995) 570-50-50-70**
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე:
**www. facebook.com/Asavali.com** გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**

